ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2018 წელი, 31 დეკემბერი, №23-24 (6485)

# ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან

ფასი 60 თეთრი

## გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!



## ...ხელისუფლება ზრუნავს, რომ სხვადასხვა პრიორიტეტული მიმართულებებით განხორციელდეს პროექტები, რომლებიც დადებითად აისახება ჩვენი მოსახლეობის მატერიალურ მდგომარეობაზე



ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდგომ არც თუ დიდი დროა გასული, მაგრამ ბევრი პროექტი განხორციელდა ყვარლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საკეთილდღეოდ. ახალი წლიდან იგეგმება უამრავი პროექტის განხორციელება, რომლებიც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობის საცხოვრებელ პირობებს.

რა პრიორიტეტები გამოიკვეთა, რას გეგმავს მერია და რომელი პროექტები განხორციელდება მომავალი წლიდან, ამასთან დაკავშირებით ყვარლის მუნიციპალიტეტის მერთან, ბატონ როსტომ სესიაშვილთან ინტერვიუს ვთავაზობთ ჩვენს მოქალაქეებს.

გაგრძელება მე-4 გვ.-ზე

## ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სესიაზე 2019 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა

მიმდინარე წლის 24 დეკემბერს გაიმართა ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე დავით ქევხიშვილი, სხდომას ესწრებოდა მუნიციპალიტეტის მერი, როსტომ სესიაშვილი. დღის წესრიგის შესაბამისად, განიხილეს დადგენილების პროექტი „ყვარლის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“. პროექტის თანახმად: შემოსულობები – 8 265.4 ათ. ლარია. გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები – 6 896, 3 ათ. ლარი; გრანტებიდან მიღებული შემოსავლები – 135, 0 ათ. ლარი; არაფინანსური აქტივების კლება – 150, 0 ათ. ლარი, ფინანსური აქტივების კლება (ნაშთი) – 484, 1ათ. ლარი. ყვარლის მუნიციპალიტეტის გადასახდელები 8 265, 4 ათ. ლარია, წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება – 2 364, 5 ათ. ლარი, თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება 95, 0 ათ. ლარი. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია – 1 839, 0 ათ. ლარი. განათლება – 1 679, 9 ათ. ლარი. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი – 1 632, 0 ათ. ლარი; სპორტული ღონისძიებების დაფინანსება – 84, 0 ათ. ლარი; სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა – 479, 0 ათ. ლარი; კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა – 780, 0 ათ. ლარი; კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა



– 224, 0 ათ. ლარი; მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა – 655, 0 ათ. ლარი, ჯანდაცვის პროგრამები – 62, 0 ათ. ლარი, სოციალური პროგრამები – 593, 0 ათ. ლარითაა განსაზღვრული. დადგენილების პროექტი კენჭისყრის შედეგად დამტკიცებული იქნა.

სხდომაზე განხილული იქნა სხვა საკითხებიც.



## „რამდენჯერაც დაეცემი, იმდენჯერ უნდა წამოდგე და დაანახო ყველას, რომ ძლიერი ხარ“

*ემზარ გაგანიძე ერთერთი მათგანია, ვისაც ყვარლის საპატიო მოქალაქის ტიტული ერგო, წლევანდელი ილიაობის დღესასწაულზე. იგი წარმატებული და პერსპექტიული ახალგაზრდაა და უდავოდ ბევრი სიკეთის მომტანი იქნება მისი საქმიანობა ჩვენი ქვეყნისთვის და განსაკუთრებით ყვარლისთვის. როგორც ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა როსტომ სესიაშვილმა დაჯილდოების ცერემონიალზე აღნიშნა, ეს კიდევ უფრო მეტ სტიმულს მისცემს ემზარს. უფრო უკეთესად რომ გაგვეცნო იგი ინტერვიუ ვთხოვეთ.*

**– მოგესალმები ემზარ. უპირველესად, მინდა მოგილოცო ისეთი საამაყო წოდება, როგორიცაა ყვარლის საპატიო მოქალაქეობა.**

**რა განცდაა, რას ნიშნავს ეს შენთვის და რას ეტყვი მშობლიურ ყვარელს?**

– დიდი მადლობა მოლოცვისთვის. ასევე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, რომელმაც წვლილი შეიტანა ჩემთვის აღნიშნული წოდების მინიჭებაში. განსაკუთრებით კი ქ.ყვარლის მერს – ბატონ როსტომ სესიაშვილს, რომელიც ზრუნავს ჩვენი ქალაქის კეთილდღეობაზე და ხელს უწყობს ახალგაზრდებში მოტივაციის ამაღლებას. ჩემთვის ყვარლის საპატიო მოქალაქეობის მინიჭებასთან დაკავშირებით კი გეტყვით,



რომ ეს არის უდიდესი პატივი და ამასთანავე უაღრესად დიდი პასუხისმგებლობა. როგორც დაჯილდოების ცერემონიაზე აღვნიშნე, მე საკუთარ თავს ვუწოდებ ყვარლის საპატიო მოქალაქეობის კანდიდატს და ჩემი სწორი ცხოვრების წესიდან და სწორი ნაბიჯებიდან გამომდინარე, როდესაც მე დავრწმუნდები, რომ დავიმსახურე, მხოლოდ მაშინ შევიგრძნობ ამ უდიდეს სიხარულს ბოლომდე, რასაც ჩემი ყვარლის საპატიო მოქალაქეობა ჰქვია. აქვე კიდევ ერთხელ მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, რომელმაც ჩემი დიდი სიხარული გაიზიარა!

გაგრძელება მე-4 გვ.-ზე

## სწორედ მევენახეობაზეა დამოკიდებული მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა

განსხვავებით ეკონომიკის სხვა დარგებისაგან, სოფლის მეურნეობა – ეს არამარტო წარმოების სფეროა, არამედ ცხოვრების სფეროც. ყვარლის მუნიციპალიტეტში უამრავი ადამიანია დაკავებული აგრარული შრომით არა მარტო იმიტომ, რომ ეს მათი ბიზნესია, არამედ გლეხური (ფერმერული) ცხოვრების წესით იგი მასთანაა დაკავშირებული.

ამდენად, აგრარული სექტორი როგორც ქვეყნის, ასევე ყვარლის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი სფეროა.

სოფლის მეურნეობის დარგების მდგომარეობა, მათი ეფექტიანობა და მდგრადობა ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის განმსაზღვრელია. აქედან გამომდინარე, აგროპროდუქციის წარმოებაზე კონტროლი აუცილებელ პირობას წარმოადგენს იმ ქვეყნისათვის როგორიც საქართველოა, რადგან ხელისუფლებამ აგრარული პოლიტიკა მიიჩნია პრიორიტეტულ და სტრატეგიულ დარგად.



ამის დასტურია პროექტები, რომელსაც სახელმწიფო ახორციელებს სოფლის მეურნეობის დარგის სტაბილურად განვითარებისათვის. მათგან აღსანიშნავია შეღავათიანი აგროპროექტი, გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების, აგროდაზღვევის, ახალგაზრდა მეწარმეს, აწარმოე საქართველოს პროექტები და აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა.

თუ როგორ ხორციელდება აღნიშნული პროექტები ყვარლის მუნიციპალიტეტში და რა შედეგებია მიღწეული სოფლის მეურნეობაში, ამის გასარკვევად სურსათისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყვარლის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსს მამუკა ბერიაშვილს ვთხოვეთ გამოენახა დრო და გვესაუბრა აღნიშნულ საკითხებზე.

**– ბატონო მამუკა, კმაყოფილი ხართ თუ არა პროექტების მიმდინარეობით?**

გაგრძელება მე-3 გვ.-ზე

# ...ხელისუფლება ზრუნავს, რომ სხვადასხვა პრიორიტეტული მიმართულებებით განხორციელდეს პროექტები, რომლებიც დადებითად აისახება ჩვენი მოსახლეობის მატერიალურ მდგომარეობაზე

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

**– ბატონო როსტომ, 14 თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ყვარლის მუნიციპალიტეტის მერად აგირჩიეს. რა იყო მთავარი პრიორიტეტები და მოსახლეობისათვის მტკივნეული პრობლემებიდან რომლები მოაგვარეთ, კონკრეტულად რისი გაკეთება შეძელით ამ ხნის განმავლობაში?**

– ჩვენი საქმიანობის დაწყებიდან მართალია დიდი დრო არ გასულა, მაგრამ წინასაარჩევნო პროგრამით განსაზღვრული ძირითადი კულტურული, სოციალური თუ ინფრასტრუქტურული მიმართულებებით მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა.

დასრულდა სოფელ შაქრიანში, კუჭატანსა და ახალსოფელში გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები. სოფელ შილდასთან მისასვლელი ცენტრალური გზა მოასფალტდა, გარკვეულ ნაწილზე კი, გამოცხადებული გვაქვს შილდის სასმელი წყლის სათავე-ნაგებობების, წყალსადენის მაგისტრალის რეაბილიტაციისა და დაქსელვა-გამრიცხველიანების ტენდერი და მომავალ წელს გზის დარჩენილი მონაკვეთი სრულად რეაბილიტირდება.

უმნიშვნელოვანესი პროექტია სოფ. ბალღოჯიანთან დამაკავშირებელი ცენტრალური გზის რეაბილიტაცია. უახლოეს დღეებში დასრულდება გზის ბოლო, მე-4-ე მონაკვეთის მოასფალტება.

გზების მოწესრიგების გარდა სოფელ საბუეში მოვახდინეთ სასმელი წყლის ქსელის გამრიცხველიანება, ხოლო ენისელში სასმელი წყლის სათავე ნაგებობიდან სოფლამდე წყალსადენის მაგისტრალის რეაბილიტაცია.

წინასაარჩევნო დაპირება იყო სასაფლაოებთან მისასვლელი გზების და ტერიტორიების კეთილმოწყობა, აღნიშნული სამუშაოები მიმდინარეობს ახალსოფელსა და გავაზში.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვიჩენთ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მიმართ, რომ მეტი კომფორტი შევუქმნათ ბავშვებს. მიმდინარე წელს მოვახდინეთ სამი სკოლამდელი დაწესებულების შენობის რეაბილიტაცია. ერთ-ერთი მათგანის ქ. ყვარლის №3 ბაგა-ბაღი უკვე დასრულდა, ხოლო ახალსოფლის და გრემის პრაქტიკულად დასრულების პროცესშია. დაგეგმილი გვაქვს სხვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა შენობების რეაბილიტაციაც უკვე მომავალი წლისთვის. წელს საბავშვო ბაღებს შევუძინეთ სათამაშოები, ახალი საყოფაცხოვრებო ინვენტარი ხოლო ახალი წლიდან მნიშვნელოვნად გამრავალფეროვანდება საკვები მენიუც.

ჩვენი პრიორიტეტი იყო ასევე არსებული სკვერების კეთილმოწყობა. უკვე რეაბილიტაცია გავუკეთეთ ქ.ყვარლის ორ სკვერს. ასევე „ილიას“ ტბაზე აღვადგინეთ ამფითეატრი, სადაც ილიაობისთვის ძალიან კარგი ღონისძიება ჩატარდა და ერთგვარი პრეზენტაციაც იყო. მნიშვნელოვანია ასევე ისიც, რომ სოფლის სახალხო დღესასწაულები მეტად ცივილურ და კომფორტულ გარემოში აღინიშნება.

სახალხო დღესასწაულებზე ქართული ჭიდაობის პოპულარიზაციისთვის საკმაოდ მნიშვნელოვან რესურსს ვხარჯავთ და თითქმის ყველა ღონისძიებაზე იჭიდავეს მსოფლიო და ევროპის პრიზიორებმა და სხვა მაღალი რანგის მოჭიდავეებმა.

წელს გრანდიოზულად ვიზეიმეთ „ილიაობა 2018“, რომელიც „ილიას ტბაზე“ ჩატარდა. წარმოდგენილი იყო „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში სამეწარმეო მარკეტი, მთელი დღის განმავლობაში დატვირთული იყო მრავალფეროვანი გასართობი პროგრამებით, საღამოს კი ყვარლის საპატიო მოქალაქეები გამოვავლინეთ და დღესასწაული ნინო ქათამაძის და ჯგუფი ინსაითის, ნატო მეტონიძის და ლიზა ბაგრატიონის გალა კონცერტით დასრულდა.

ასევე, დავამატებ იმასაც, რომ სოფელ ბალღოჯიანში ჩავატარეთ ღონისძიება „ბალღოჯიანი 100 წლისაა“. ქ. ყვარელში, ილიას ტბაზე დავამკვიდრეთ ტრადიცია, სპორტულ-კულტურული ღონისძიებების კვირეულის ჩატარების, რომელიც დატვირთული იქნება სხვადასხვა საინტერესო ღონისძიებებით. მომავალ წელს უფრო მომზადებულები და ფართო სპექტრით შევხვდებით აღნიშნულ ღონისძებას.



ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი მოქალაქეების, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების სულიერი განვითარების ზრუნვაზე და წარმატებული აღმოჩნდა ჩვენი გადაწყვეტილება თეატრალური დასის შექმნა-განვითარებაზე. წელს გაიმართა ახალი სპექტაკლების პრემიერები, რომლებმაც სრული ანშლაგით ჩაიარა.

**– 2019 წლის მთავარ გამოწვევებზე რას გვეტყვით, რომელი პროექტების განხორციელებას ფიქრობთ?**

– 2019 წლის გამოწვევებიდან ერთ-ერთი დაპირება იყო, რომ ჩვენ დავიწყებდით წყალკანალიზაციის და სასმელი წყლის რეაბილიტაციას ქ. ყვარელში. ცენტრალური ხელისუფლების ჩართულობით უკვე შევძელით და გამოვაცხადეთ ტენდერი ყველა წყლის სათავე-ნაგებობების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით. ეს საკმაოდ შრომატევადია და ფინანსურადაც მოცულობითი პროექტია. მარტო საპროექტო სამუშაოების ღირებულება 1700 000 ლარს შეადგენს. გვაქვს მოლოდინი, რომ მომავალ წელს პროექტი ხორცს შეისხამს და ყვარელში ეს უმნიშვნელოვანესი პრობლემა მოგვარდება. ამ საკითხის მოწესრიგების შემდეგ, დავიწყებთ გარკვეულ ქუჩებზე ასფალტ-საფარის დაგებას.

ამ საკითხის მოგვარება აქტუალურია სოფელ გრემში, საბუეში, ალმატსა და ენისელშიც. მომავალი წლისთვის განსაზღვრულია ამ სოფლების წყლის სათავე-ნაგებობების რეაბილიტაციაც, რომლის ბიუჯეტიც ნახევარმილიონამდე იქნება. აქტიურად ვმუშაობთ, რომ უახლოეს პერიოდში გაკეთდეს უეფას დონის სტადიონი ქ.ყვარელში, ტენდერი უკვე ჩატარებულია და გამოიკვეთება პროექტის ღირებულება და სავარაუდოდ გაზაფხულზე დაიწყება მშენებლობა.

ასევე სოფელ ახალსოფელსა და გავაზში სპორტული კომპლექსების მშენებლობას დავიწყებთ. განსაზღვრულია ასფალტსაფარის მოწესრიგება წინკანაანთსერში, შილდაში, გავაზში შიდა გზების, სოფელ ალმატში სკოლასთან და ბაღთან მისასვლელი გზის, ასევე იგეგმება წინკანაანთსერის და ალმატის საბავშვო ბაღების, სოფელ ჭიკაანში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზის რეაბილიტაცია. იმ ეთნიკურ დასახლებებში, რომლებიც ჩვენს მუნიციპალიტეტშია მოვაწესრიგებთ ამბულატორიების რეაბილიტაციის საკითხებს.

**– მატერიალურად გაჭირვებული ადამიანების დახმარების მიზნით თუ გაიზარდა ბიუჯეტის სოციალური პაკეტი?**

– სოციალურად გაჭირვებული ადამიანების ყოფითი პირობების გასაუმჯობესებლად შევქმენით სოციალურ საკითხთა კომისია, რომელმაც ეფექტურად იმუშავა, რაც ობიექტურობას ზრდის სოციალურად დაუცველების მიმართ. თუმცა საჭიროებამ მოიტანა 2019 წლისათვის გაგვეზარდა ბიუჯეტი 150 000 ლარით. სოციალური პაკეტი იქნება გაზრდილი და მეტი საშუალება გვექნება მოსახლეობის დასახმარებლად.

**– ყვარლის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური წინსვლისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი აგრარული სექტორის განვითარება და ხელშეწყობაა. ამასთან დაკავშირებით ბევრი ახალი პროექტი განხორციელდა, როგორც სახელმწიფოს, ასევე დონორი ორგანიზაციების მხრიდან. რა შეიცვალა ამ სექტორში სასიკეთოდ და ზოგადად რა მდგომარეობაა ყვარლის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით?**

– რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია ჩვენთვის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და კერძო სექტორთან თანამშრომლობით, ვცდილობთ გავაუმჯობესოთ მოსახლეობის ცხოვრების პირობები. გვაქვს კონკრეტული შეთავაზებები მათთან. ადგილობრივი ხელისუფლება აქტიური იქნება კერძო სექტორთან კომუნიკაციაში რომ შევუქმნათ საჭირო პირობები ბიზნესის განვითარებისთვის. 2018 წელში შეიქმნა ბევრი საოჯახო სასტუმრო, მცირე მარანი, რაც ზრდის მოტივაციას, რომ საშუალო ბიზნესი კარგად ვითარდება და ცხადყოფს, რომ მუნიციპალიტეტში ეკონომიკის ზრდა ეფექტურად მიმდინარეობს.

**– როგორ ჩატარდა და რა შედეგით დასრულდა წლევანდელი რთველი, მოსახლეობა თუ დარჩა კმაყოფილი?**

– მართალია ყურძნის ფასების დადგენა ჩვენი პრეროგატივა არ არის, მაგრამ ცენტრალურმა ხელისუფლებამ ეს პროცესი დაარეგულირა, რომ ბაზრების დივერსიფიცირებით და ზოგადად მეზობელ ქვეყნებთან კარგი ურთიერთობების ჩამოყალიბებით ბოლო ექვსი წლის განმავლობაში მზარდი ექსპორტის მაჩვენებლები გვაქვს. ამ ფორმატში ჩვენს რაიონში საფერავის ფასი დასტაბილურდა და 3 ლარამდე გაიზარდა. სახელმწიფომ სუბსიდირება გააუქმა, ცხადი გახდა, რომ ამ ბიზნესს დამოუკიდებლად შეუძლია იარსებოს, ფერმერმა და ბიზნესმენმა შეხმატკბილებულად იცხოვრონ. მოსახლეობის მხრიდან უკმაყოფილება გამოიხატა თეთრი ყურძნის ფასთან დაკავშირებით, მაგრამ მომავალში ესეც დარეგულირდება. სახელმწიფოს დახმარება აღარ სჭირდება ამ ბიზნესს და ის სახსრები, რომელიც ამ მიმართულებით იხარჯებოდა სხვა პრიორიტეტული საკითხების მოგვარებას მოხმარდება.



**– ბატონო როსტომ, ზოგადად რა აზრის ხართ სახალხო დღესასწაულებზე. რამდენად მნიშვნელოვანია მათი აღნიშვნა და რა სიკეთის მოტანა შეუძლია მომავალი თაობისათვის?**

– უფრო ორგანიზებული და მოწესრიგებული იქნება სახალხო დღესასწაულები, ამის გამოცდილება უკვე გვაქვს. ღონისძიებებიც უკეთესი იქნება, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალგაზრდების დაინტერესება და აქტივობა გაიზრდება. ეს ღონისძიებები ტურისტულ მარშრუტში ჩაჯდება და სახალხო დღესასწაულზე წარმოდგენილი ღონისძიებებით ტურისტები ეზიარებიან ქართულ ტრადიციებს.

**– როგორც ვიცით თქვენი სურვილი იყო, რომ „ილიაობა“ ბევრად მასშტაბურად და ცივილურ გარემოში აღნიშნულიყო, კმაყოფილი თუ ხართ ჩატარებული ღონისძიებით?**



– ძალისხმევა არ დავაკელით მთელმა გუნდმა, მოვინდომეთ, რომ ილიაობა ყოფილიყო რადიკალურად განსხვავებული, ყოფილიყო მასშტაბური, რისთვისაც დაიხარჯა 54000 ლარი, მათ შორის „ჩექ ინ ჯორჯიამ“ 25 000 დაამატა, რამაც მთლიანობაში 80 000 ლარი შეადგინა. ყველა ჩვენი ქმედება უნდა აისახებოდეს საზოგადოების კმაყოფილებაზე, რადგან ჩვენ ვემსახურებით საზოგადოებას. ჩვენი ახალგაზრდული ხედვებით ვცდილობთ საზოგადოებას ვაჩვენოთ ჩვენი უნარები, შესაძლებლობები.

**– მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი შემოსავლების წყაროდ იქცა ტურიზმი, მერიის ჩართულობა ამ სფეროში როგორია და რა გაკეთდება მომავალში ამ მიმართულებით?**

– მერიის ჩართულობა მნიშვნელოვანია, როგორც აღვნიშნე ტურიზმის განვითარებაში, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ხელს შეუწყობს ვიზიტორების რაოდენობის ზრდას. ამასთან დაკავშირებით ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად აქტიურად ვმუშაობთ. მდ.დურუჯის გასუფთავებასთან ერთად შევძელით, რომ ილიას ტბიდან დაკავშირებოდა დამბა დოლოჭოპის უნიკალურ ნაქალაქარს, რომელიც ყვარლისთვის და მთელი საქართველოსთვის არის უმნიშვნელოვანესი ისტორიული ძეგლი, რომელიც ახალ ტურისტულ ზონად იქცევა. ამჟამად ვცდილობთ ერთმანეთს დავაკავშიროთ ყვარელი, ილიას ტბა და დოლოჭოპის კომპლექსი.

**– როგორ შეაფასებთ და თუ ხართ კმაყოფილი საქართველოს პრეზიდენტის ახლახანს ჩატარებულ არჩევნებში ყვარლის მუნიციპალიტეტში დაფიქსირებული შედეგებით?**

– მნიშველოვანია, რომ ჩვენმა პოლიტიკურმა პარტიამ „ქართულმა ოცნებამ“, ასეთი დემოკრატიული ნაბიჯი გადადგა და მხარი დაუჭირა დამოუკიდებელ კანდიდატს სალომე ზურაბიშვილს. ის შედეგები, რაც ყვარელში მივიღეთ, რადიკალურად განსხვავდება სხვა მუნიციპალიტეტების შედეგებისაგან. უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენს მოქალაქეებს მხარდაჭერისათვის და გვერდში დგომისთვის. მადლობა იმ ადამიანებსაც, ვინც განსხვავებული აზრი დააფიქსირეს. იმიტომ რომ ეს არის დემოკრატიული პროცესები და ეს პროცესები ყველასთვის მნიშვნელოვანია. ეს ფორმატი პარტიისგან დემოკრატიული პროცესების წარმოსაჩენად იყო შემოთავაზებული.

**– ინტერვიუს დასასრულს, რას ეტყვით მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, ახალი წელი უკეთესი იქნება მატერიალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით?**

– ახალი წლისთვის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მუნიციპალიტეტის ხელისუფლება ზრუნავს, რომ სხვადასხვა პრიორიტეტული მიმართულებებით განხორციელდეს პროექტები, რომლებიც დადებითად აისახება ჩვენი მოსახლეობის მატერიალურ მდგომარეობაზე. ამისათვის ბიზნესი უნდა ვითარდებოდეს და ვითარდება კიდეც. მე ვისურვებდი, რომ ჩვენი მოქალაქეების მხრიდან იყოს მეტი ჩართულობა და აქტიურობა.

**ალექსანდრე გიგილოშვილი**
**გაზეთი „ყვარელი“**





# სწორედ მევენახეობაზეა დამოკიდებული მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა



დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

– საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2013 წლიდან აგრარული დარგის განვითარების რეფორმის მიზნით მასშტაბურ პროექტებს ახორციელებს. აღნიშნული პროექტების განხორციელება უზრუნველყოფს ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის დარგში კონკურენტუნარიანობის ამაღლების, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას და სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას.

ყვარლის მუნიციპალიტეტის ფერმერები აქტიურად იღებენ მონაწილეობას თქვენს მიერ აღნიშნულ პროექტებში, რაშიც დიდია სამინისტროს ყვარლის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის როლი. ჩვენ ყოველდღიურ რეჟიმში ვაწვდით ინფორმაციებს ფერმერებს, როგორც ინდივიდუალურად, ასევე შეხვედრებით, რაზეც მეტყველებს მიღწეული შედეგები. კონკრეტულად შეღავათიანი აგროკრედიტით ისარგებლა ყვარლის მუნიციპალიტეტის 1500-მდე ფერმერმა, რომლებმაც გააშენეს ახალი ვენახები და ხეხილის ბაღები. შეღავათიანი სესხებით მოხდა ახალი გადამამუშავებელი საწარმოების აშენება და ძველი საწარმოების გადაახლება, შემოყვანილია მაღალპროდუქტიული საქონელი. პროექტის ფარგლებში აშენებული იქნა თითქმის ყველა დიდი და მცირე ყურძნის და ხილის გადამამუშავებელი საწარმო. აგროდაზღვევის პროგრამით სარგებლობს ყოველწლიურად 2500-მდე ბენეფიციარი, რომელთა მიერ დაზღვეული ფართობი შეადგენს 2800 ჰექტარს. აგროწარმოების პროექტით ყვარლის მუნიციპალიტეტში ისარგებლა 50-მა ბენეფიციარმა, რომლებმაც შეიძინეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

**– მათგან რომელია უფრო პოპულარული და რამდენმა ადამიანმა ისარგებლა სახელმწიფოსგან მიღებული ფინანსებით?**

– ჩვენს ფერმერებში სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტებიდან დიდი პოპულარობით სარგებლობს აგროდაზღვევის და შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამები. აგროდაზღვევის პროგრამით ბენეფიციარს შეუძლია დააზღვიოს 5 ჰექტრამდე მიწის ნაკვეთი,



სადაც დამზღვევი 70 პროცენტიან თანადაფინანსებას იღებს პროგრამით გათვალისწინებულ ყველა კულტურაზე, ხოლო ვაზზე 50 პროცენტს. საანგარიშო წელს პროგრამით ისარგებლა 2500-მდე ბენეფიციარმა და დაზღვეულმა ფართობმა შეადგინა 2800 ჰექტარი. შეღავათიანი აგროკრედიტი ითვალისწინებს საფინანსო ინსტიტუტების მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებელი და გადამამუშავებელი საწარმოებისათვის გამოყოფილ სესხებზე დაწესებული საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას 9-11 პროცენტის ფარგლებში, პროგრამით ისარგებლა 1500-მდე ფერმერმა.

**– გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების რაოდენობა თუ იზრდება ყვარლის მუნიციპალიტეტში?**

– მნიშვნელოვნადაა გაზრდილი გადამამუშავებელი და შემნახველი საწამოების თანადაფინანსება. მიმდინარე წელს აშენდა 20-მდე გადამამუშავებელი დიდი და მცირე საწარმო, ასევე რამდენიმე მარცვლეულის შესანახი საწარმო. ცალკე თემაა კოოპერატივების დაფინანსება. 2017 წელს მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის პროექტით მუნიციპალიტეტში ორი კოოპე-



რატივი" „გავაზის საუკეთესო ვენახები" და „საბა" დაფინანსდა ყურძნის გადამამუშავებელი დანადგარების შესაძენად, რომელთა ღირებულებამ ცალ-ცალკე შეადგინა 400 ათასზე მეტი ლარი. ქვეყანაში აშენებული 3 საწარმოდან ყვარელში აშენდა ორი საწარმო. 2018 წელს კი მუნიციპალიტეტში აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა ოთხი საწარმოს მშენებლობა.

**– რას ნიშნავს დანერგე მომავალი?**

– პროექტი „დანერგე მომავალი" ინიცირებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და ახორციელებს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო „ერთიანი აგროპროექტის" ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით.

თანადაფინანსება განხორციელდება ორი დამოუკიდებელი კომპონენტის ფარგლებში:

ა) მრავალწლიანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტი (შემდგომში ბაღების კომპონენტი);

ბ) სანერგე მეურნეობების თანადაფინანსების კომპონენტი (შემდგომში სანერგეების კომპონენტი);

პოტენციურ ბენეფიციარს შეუძლია ისარგებლოს პროგრამის ორივე კომპონენტით დადგენილი წესებითა და პირობებით.

პროექტი მიზნად ისახავს:

1)საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტურ გამოყენებას მრავალწოვანი კულტურების გაშენების გზით, რის შედეგადაც განხორციელდება იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლება და გაიზრდება საექსპორტო პოტენციალი, გაადვილდება გადამამუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფის შესაძლებლობა და გაუმჯობესდება სოფლად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა;

## ბაღების კომპონენტი

ბაღების კომპონენტი ითვალისწინებს მრავალწლიანი კულტურების ახალი ბაღების გასაშენებლად პოტენციური ბენეფიციარებისათვის ფინანსური და ტექნიკური დახმარების გაწევას.

კახეთი: ვაშლი, ჟოლო, მაყვალი, გარგარი, კივი, ატამი, ქლიავი, ბალი, ტყემალი, ზეთის ხილი, ხურმა, ბროწეული, კაკალი, ნუში, თხილი, მსხალი, ალუბალი, კომში, ფსტა (ფისტა), სუფრის ყურძენი.

## ფინანსური დახმარება

ბაღების კომპონენტის ფარგლებში ფინანსური დახმარება ითვალისწინებს პოტენციური ბენეფიციარებისათვის მიზნობრივი ფულადი დახმარების გამოყოფას თანადაფინანსების სახით, როგორც მრავალწლიანი კულტურების ნერგების შეძენის, ასევე თანამედროვე წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის მიზნით.

ბაღების კომპონენტის ფარგლებში დაფინანსდება შესაძენი ნერგების ღირებულების არაუმეტეს 70 პროცენტი. როგორც ნერგების ადგილობრივ ბაზარზე შეძენისას, ასევე მათი იმპორტის შემთხვევაშიც, ამავდროულად დადგენილია თითოეულ ნერგზე თანადაფინანსების მაქსიმალური მოცულობა. ნერგების იმპორტის შემთხვევაში 1 ნერგზე დადგენილი დაფინანსების მაქსიმალური თანხობრივი ლიმიტი იზრდება 20 პროცენტით. ბაღების კომპონენტის ფარგლებში დაფინანსდება სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის ღირებულების 50 პროცენტი (დღგ-ს ჩათვლით), მაგრამ არაუმეტეს 2 500 ლარისა 1 ჰა-ზე.

ყვარლის მუნიციპალიტეტში პროექტით ისარგებლა 50-მდე ფერმერმა. პროექტის ფარგლებში გაშენდა 100 ჰექტარამდე კაკლის ნარგაობა და 110 ჰექტარ ფართობზე სხვადასხვა ხეხილის კულტურები.

**– ახალგაზრდა მეწარმის პროექტში რამდენი ადამიანია ჩართული და რა ფართობებზე გაშენდა ვენახები?**

– დიდად დაინტერესდა ჩვენი ახალგაზრდობა პროგრამით – „ახალგაზრდა მეწარმე", რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ახალგაზრდა მეწარმეების სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს და ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს. პროექტში მონაწილეობს ფიზიკური პირი ან ინდმეწარმე, რომლის ასაკი განაცხადის წარდგენის მომენტისთვის შეადგენს 18-დან – 35 წლამდე ჩათვლით მამაკაცები, ხოლო 18-დან 40 წლამდე ასაკის ქალები. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება როგორც სასოფლო-სამეურნეო, ასევე არასასოფლო-სამეურნეო ბიზნესსაქმიანობა. სააგენტოს თანადაფინანსება შეადგენს პროექტის საინვესტიციო ღირებულების 40 პროცენტს, მაგრამ არაუმეტეს 60 000 ლარს. ყვარლის მუნიციპალიტეტში აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 35-მდე ბენეფიციარმა, გაშენდა და შენდება 100 ჰა-მდე ვენახი.

**– პროექტების წარმატებულ განხორციელებაზე დარგში მიღწეული შედეგები მეტყველებს, სამეურნეო წელი დამთავრდა და როგორი მაჩვენებლებია მოპოვებული მევენახეობის, მეცხოველეობის და მემცენარეობის დარგებში?**

– სოფლის მეურნეობის დარგში უკანასკნელ წლებში განხორციელდა სხვა მნიშვნელოვანი პროგრამები, რამაც გააუმჯობესა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხი და დიდად გაზარდა მოსავლის რაოდენობა. აღსანიშნავია მუნიციპალიტეტში სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარების განთავსება, რამაც მინიმუმამდე დაიყვანა სეტყვისგან მიყენებული ზარალი. მუნიციპალიტეტში განთავსებულია 8 დანადგარი, რომელიც ოპერატიულად ახდენს პრევენციას, რაც ბოლო ორ წელიწადში ვენახის მოსავლიანობის გაორმაგებით გამოიხატება. უკანასკნელ წლებში ყურძენზე არსებულმა ფასებმა ვენახების ფართობების თითქმის გაორმაგება გამოიწვია. გაოთხმაგდა მოსავლიანობაც. 2018 წელს მუნიციპალიტეტში მიღებულმა მოსავალმა სარეკორდო რაოდენობას მიაღწია. მოიკრიფა 57100 ტონაზე მეტი ყურძენი, მათ შორის რქაწითელი 28 223 ტონა, საფერავი – 26660, სხვა ჯიშები – 2217 ტონა. გაორმაგებულია ბაღჩეული კულტურების მოსავლიანობა და მიღებულია 100 ათას ტონამდე ბაღჩეულის მოსავალი. მნიშვნელოვნად მოიმატა თხილის და კაკლის მოსავლიანობამ. ასევე მეცხოველეობამაც: გაიზარდა ცხვრის, ფრინველის, ღორის და ფუტკრის ოჯახების რაოდენობა და შესაბამისად წარმოებული პროდუქცია.

**– გაუმჯობესდა თუ არა მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობა და როგორია საერთო მასშტაბით ფინანსური შემოსავლები?**

– სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოსავლიანობის ზრდამ და ხარისხის გაუმჯობესებამ შესაბამისად გააუმჯობესა მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა, რაც აისახება მოსახლეობის დიდ რაოდენობაზე. 2018 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულმა შემოსავალმა 130 მილიონ ლარს გადააჭარბა. ყველაზე შემოსავლიანია ვენახი, ყურძნის რეალიზაციით მიღებულია 100 მილიონამდე ლარის შემოსავალი, ასევე თხილის და ბაღჩეული კულტურებიდან მიღებული შემოსავალი. თუმცა ივლისის ბოლოს ბაღჩეულზე ფასები მნიშვნელოვნად დაეცა, რამაც გამოიწვია მოსავლის მიტოვება. მუნიციპალიტეტისათვის საკმაოდ შემოსავლიანია მეფუტკრეობის დარგი, წარმოებული თაფლის რაოდენობა შეადგენს 350-400 ტონას, რომლის რეალიზაციიდან 3, 5-4, 0 მილიონი ლარია შემოსავალი. აქტიურად მიმდინარეობს მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქციის გადამუშავება და მიღებული პროდუქტის რეალიზაცია. გაშენდა ბევრი მცირე გადამამუშავებელი საწარმო, ფერმერები კი მიღებული მოსავლის ნაწილს საოჯახო მარნებში წურავენ და ღვინის რეალიზაციით იორმაგებენ შემოსავალს.

**– თქვენი აზრით როგორი იქნება მომავალი წელი ჩვენი ფერმერებისათვის?**

– ბოლო წლებში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად გაზარდა ფასები სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე, გარკვეული გამონაკლისის გარდა. ობიექტური პროცესია ჩვენი ღვინოების ცნობადობის გაზრდა მსოფლიოს ბაზრებზე, რაც შეუქცევადს ხდის საფერავი ყურძნის ფასების მატებას. თუ გავითვალისწინებთ, რომ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 50-60 პროცენტი დასაქმებულია მევენახეობაში, ან თვითონ ფლობს ვენახების გარკვეულ რაოდენობას, სწორედ მევენახეობაზეა დამოკიდებული მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობა. შენდება ახალი ვენახები და მასზეა მოსახლეობის იმედები, რაც აუცილებლად მოიტანს დადებით შედეგს და არა მარტო მომავალ 2019 წელს, შემდგომ წლებშიც მოსახლეობას გამოიყვანს კრიზისული მდგომარეობიდან.

**ესაუბრა**
**ალექსანდრე გიგილოშვილი**



# „რამდენჯერაც დაეცემი, იმდენჯერ უნდა წამოდგე და დაანახო ყველას, რომ ძლიერი ხარ“



დასაწყისი 1-ელ გვ.

**– ვინ არის ემზარ გაგნიძე, მოგვიყევი შენს შესახებ.**

– დავიბადე ქ.ყვარელში. აქვე დავამთავრე ილია ჭავჭავაძის სახელობის №1 საჯარო სკოლა, შემდეგ კი გავაგრძელე სწავლა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 2013 წლიდან დღემდე კი ვმუშაობ საქართველოს მთავარ პროკურატურაში. სწავლისადმი განსაკუთრებული ინტერესის ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი მიუძღვით ჩემს და-ძმას – ლელა და ლერი გაგნიძეებს, რომლებიც ყოველთვის ჩემს გვერდით იდგნენ როგორც ფსიქოლოგიურად, ისე ფინანსურად. ძალიან მიყვარს სპორტი და ვიცავ ჯანსაღი ცხოვრების წესს.

**– რა არის შენთვის ყველაზე მთავარი ცხოვრებაში?**

– ჩემი ცხოვრების მთავარი არსი არის ის, რომ ვიცხოვრო სწორად და დავრჩე ადამიანად!

**– შენი ყველაზე დიდი მიზანი?**

– ჩემი მიზანია, კიდევ უფრო მეტი განათლების მიღება და დაგროვებული გამოცდილების ჩემი ქვეყნის განვითარებისთვის გამოყენება.

**– როგორია შენეული „წარმატების საიდუმლო“ და რა არის წარმატება შენთვის?**

– ჩემი აზრით, წარმატება შეფასებითი კატეგორიაა. პირადად მე, საკუთარ თავს წარმატებულად არ ვთვლი, უბრალოდ სურვილი მაქვს და ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ წარმატებული გავხდე. რა თქმაუნდა, გარკვეული წარმატებები არის ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ ვთვლი, რომ ჯერ ყველაფერი წინ არის. არასდროს არ უნდა დაკმაყოფილდეს ადამიანი, მიღწეულით და ისეთი ენერგიით უნდა იღვწოდეს, რაც სიკეთის მომტანი იქნება არა მხოლოდ მისთვის, როგორც ერთი კონკრეტული ინდივიდისთვის, არამედ მთელი ქვეყნისთვის. მე ვფიქრობ, რომ „წარმატების საიდუმლო“ მდგომარეობს თავდაუზოგავ შრომაში, თავმდაბლობასა და ხალხის სიყვარულში. თუ ეს ყველაფერი ერთად არ იარსებებს, არანაირ წარმატებას არ ექნება აზრი.

**– რას გამოყოფდი, როგორც მნიშვნელოვან მომენტს ან მოვლენას ცხოვრებაში?**

– ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი მომენტებიდან გამოვყოფდი, ეროვნული გამოცდების ჩაბარების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხვას. არასდროს დამავიწყდება ის პერიოდი, რადგან სწორედ მაშინ მოხდა ჩემი ტრანსფორმირება ბავშვობიდან ზრდასრულობაში. გავხდი სტუდენტი და ვიგრძენი პასუხისმგებლობა, რომ უნდა დამეფასებინა ოჯახი, რომელიც ძალიან ბევრს წვალობდა ჩემს გამო. ყოველდღიურად ერთი აზრი მიტრიალებდა თავში – ვყოფილიყავი გამორჩეული სტუდენტი და გამეხარებინა ოჯახი.

**– რა მიგაჩნია ყველაზე დიდ სირთულედ, ცხოვრებაში?**

– ცხოვრება სავსეა სირთულეებით და ადამიანები ხშირად ვუშვებთ შეცდომებს. მეც დამიშვია არაერთი შეცდომა და ამ მხრივ ყველაზე რთულია იცხოვრო ისე, რომ შენ მიერ დაშვებული შეცდომა გამოუსწორებელი არ აღმოჩნდეს.

**– რა იყო ყველაზე დიდი შიში, რომელიც დაგიძლევიათ?**

– ჩემ ცხოვრებაში იყო პერიოდები, როცა გარკვეული წარუმატებლობების დროს თვითშეფასება იკლებდა და ვკარგავდი საკუთარი თავის რწმენას. თუმცა, ერთ მშვენიერ დღეს დავფიქრდი და ვთქვი: „რამდენჯერაც დაეცემი, იმდენჯერ უნდა წამოდგე და დაანახო ყველას, რომ შენ ძლიერი ხარ“, – სწორედ ამ დროს დავძლიე პიროვნული შიში და დღემდე ამ, დევიზით ვცხოვრობ.

**– რას ურჩევდი ახალგაზრდებს?**

– სწავლა, სწავლა და სწავლა! ეს არის ერთადერთი რჩევა, რომელსაც ჩემს თანატოლებს ვურჩევ.

**– როგორია შენი სამომავლო გეგმები?**

– ჩემი სამომავლო გეგმები კვალიფიკაციის ამაღლებას უკავშირდება. ვგეგმავ დოქტორანტურაზე სწავლის გაგრძელებას და აკადემიურ (საუნივერსიტეტო) საქმიანობაში ჩართვას. დანარჩენს დრო გამოავლენს და იმედი მაქვს, რომ ეს არ იქნება პირველი და უკანასკნელი საგაზეთო ინტერვიუ ჩემს ყვარლელებთან.

**– მინდა მოგილოცო ახალი 2019 წელი. გისურვო ჯანმრთელობა, წინსვლა და წარმატებები ცხოვრებაში.**

– გმადლობ მილოცვისათვის. დარწმუნებული ვარ, ახალი წელი ბევრ სიკეთეს მოუტანს ჩემს თანამემამულეებს და სრულიად საქართველოს.

გილოცავთ. დაე, ეს წელი იყოს თქვენი სურვილების ასრულების და ბედნიერების მომტანი.

**ია გიგიაშვილი**

# ახალი წელი და ქართული ფოლკლორი

ახალი წელი ერთ-ერთი გამორჩეული დღესასწაულია, რომელსაც დიდი თუ პატარა განსაკუთრებული სიხარულით ელის. ამ დღეს ყველა ცდილობს, დაივიწყოს ყველაფერი ცუდი, მადლიერებით გააცილოს ძველი წელი და იმედის თვალით შესცქეროს ახალი წლის შემობრძანებას. საახალწლო საწესჩვეულებო ცერემონიალი საქართველოში მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა, თუმცა, ცალკეულ კუთხეებში წესები მაინც განსხვავებული იყო. თუ როგორ ხვდებოდნენ ახალ წელს ძველად, რატომ ჰქონდა ამ დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა და ეწინააღმდეგება თუ არა აღნიშნული რიტუალები ქრისტიანობას? ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე გვესაუბრება ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ქეთევან სიხარულიძე.

ქეთევან სიხარულიძე: ახალი წელი, დროის ახალი მონაკვეთის დასაბამი, განსაკუთრებული მაგიური ნიშნით აღიბეჭდა ადამიანის წარმოსახვაში და ამიტომაც მას ყველგან გამორჩეულად ზეიმობდნენ. იგი ეფუძნებოდა წლის პირველი დღის მაგიას, ანუ იმის რწმენას, რომ ეს დღე განაპირობებდა დამდეგი წლის ბარაქიანობასა და საზოგადო ვითარებას. საახალწლო რიტუალთა მთელ წყებას საკმაოდ ღრმა რელიგიური ფესვები აქვს. წელიწადის დროთა მონაცვლეობა დაუკავშირდა ნაყოფიერების ღვთაების მითოსს, რომლის მიხედვითაც ეს ღვთაება ზამთარში გადადიოდა საიქიოში, მიწისქვეშა სამყაროში, სასიცოცხლო ძალებიც წყვეტდნენ თავიანთ მოქმედებას. გაზაფხულზე ნაყოფიერების ღვთაება ბრუნდებოდა და ზამთარში მიძინებული ბუნება კვლავ იღვიძებდა. ძველების წარმოდგენით, სწორედ ამ დროს იწყებოდა სიცოცხლის ციკლის ახალი ეტაპი, ანუ ახალი წელი. ეს იყო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საზოგადო მოვლენა, ამიტომ მას განსაკუთრებული რიტუალებით აღნიშნავდა მთელი კოლექტივი.

იწყებოდა იგი პირველი ხნულის გავლებით, რასაც საქართველოში მიწის გაღვიძება ერქვა. ხნული, იგივე კვალი, იყო ის გზა, რომელსაც მიწისქვეშეთიდან მოჰყვებოდა ნაყოფიერების ღვთაება. იგი განახლებული უბრუნდებოდა თავის საუფლოს და თან მოჰქონდა ახალი სიცოცხლე. მას ხვდებოდნენ საჩუქრებით (პროდუქტით), რათა იგივე მიეღოთ მისგან. ამიტომაც გამოირჩევა ახალი წელი სანოვაგის სიუხვით.

პირველი ხნული (კვალი) გაჰქონდა კაცს, რომელიც საზოგადოებაში ცნობილი იყო დავლათიანობით (ბედის, ბარაქიანობის, ღვთის მადლის მქონე), რათა მის მიერ მოხნულ მიწას მოსავლიანობა დაჰბედებოდა. აქედან მოდის მეკვლეს სახელიც, რომლის ფუნქცია დავიწროვდა იმის შემდეგ, რაც ახალი წლის აღნიშვნამ უმთავრესად საოჯახო ხასიათი მიიღო.

### როგორ ემზადებოდნენ ახალი წლის შესახვედრად?

საქართველოში (ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში) ახალი წლის დღესასწაული გამორჩეულად აღინიშნებოდა. მასთან დაკავშირებული რიტუალები ყველგან თითქმის ერთნაირი იყო, რადგან უმთავრეს მიზანს ამ რიტუალებისა შეადგენდა სიუხვისა და კეთილდღეობის მოპოვება. რასაკვირველია, იყო კუთხური თავისებურებებიც, მაგრამ ისინი მხოლოდ ნიუანსებში განსხვავდებოდნენ ძირითადი წეს-ჩვეულებებისგან. ახალი წლის წინა დღეებში იწყებოდა დიდი სამზადისი: სახლისა და კარმიდამოს დასუფთავება, სანოვაგის მომზადება საგანგებო სუფრისთვის, სხავადასხვა ფორმის (ცხოველების, ფრინველების, შრომის იარაღების) კვერების ცხობა და სხვა. ყურძნის უხვი მოსავლის მისაღებად საგანგებო პურს აცხობდნენ, რომელსაც ქართლში, იმერეთსა და რაჭაში ყურძნის მტევნის მოყვანილობა ჰქონდა. გურიაში კი კვერის სახით ცხვებოდა და მას აგუნას პური ეწოდებოდა. სამეგრელოში კი აგუნას სახელზე ოთხი ხაჭაპური ცხვებოდა. გამომცხვარი კვერები თუ პურები ხონჩაზე დაწყობილ სხვა სანოვაგესთან ერთად მარანში შეჰქონდათ, სადაც საგანგებო ტექსტს წარმოთქვამდნენ, თან გადაბრუნებულ საწნახელს ნაჯახის ყუას უკაკუნებდნენ. შემდეგ იმართებოდა რიტუალური ჭამა-სმა.ოჯახის თავი გარეთ გადიოდა ხონჩით ხელში და ახალი წლის მოსვლას ულოცავდა შინაურ პირუტყვსა და ფრინველს, ვაზს, კარ-მიდამოს. ვენახში მიჰქონდათ ვაზის პური, ხელადა ღვინო და ნასუქი მამალი. გურიაში ამ დროს ღორის თავიც დაჰქონდათ. მოხარშულ თავს ხორცს მოაშორებდნენ და დარჩენილ ძვალს უკაკუნებდნენ, თან დააყოლებდნენ: „ჩვენს მამულში – ყურძენი, სხვის მამულში – ფურცელი“.

ეზოს შემოვლის შემდეგ ოჯახის უფროსი სახლში შედიოდა სავსე ხონჩით, მიმოაბნევდა ხორბალს (ან სხვა მარცვლეულს) გამრავლების ნიშნად და დაილოცებოდა, ოჯახის წევრებს ულოცავდა ახალ წელს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რომ კერაში ცეცხლი ჩაუქრობლად შეენახათ. სიტყვიერადაც ცდილობდნენ ცეცხლისთვის ძალის შემატებას:

„ცეცხლო ელოდე, მელოდე,
მე მელოდე, მზეს ელოდე,
ადრიანად ავდგებოდე,
დოჩხოურა (ანუ ნაკვერჩხლიანი)
დამხვდებოდე“.

ანთებული მუგუზლიდან დაცვენილი ნაპერწკლების სიმრავლე პურის, ღვინის, დოვლათის, ოჯახის გამრავლების სიმბოლო იყო.

დილით წყალსაც მიულოცავდნენ. დიასახლისები წყაროზე მიდიოდნენ, ულოცავდნენ და შინაური ფრინველისთვის საკენკს ალბობდნენ, რომ მათ გამრავლების უნარი მომატებოდათ. ხევსურები მიდიოდნენ მდინარესთან, სიტყვიერად მიულოცავდნენ ახალ წელს და ძღვნად ერბოიან-ყველიან პურის ნაჭერს აგდებდნენ წყალში.

როცა ახალი წლის ღამე იწურებოდა, სახლში შემოდიოდა პირველი სტუმარი – მეკვლე. ხალხის რწმენით, მის ნაფეხურს მოჰყვებოდა მომავალი წლის ბედი, რაც დიდად იყო დამოკიდებული მეკვლეს პიროვნებაზე, მის ბედიღბლიანობაზე. იგი ხელდამშვენებული მოდიოდა იმის ნიშნად, რომ ბარაქიანობა შემოჰქონდა ოჯახში. ხონჩაზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო ვაზის ლერწი, თავის სურვილს კი აუცილებლად ლექსით გამოთქვამდა:

„ახალ წელიწადს წლის თავსა
გიკვლევ ვაზისა რქითამცა,
შენიმცა სახლი ავსილა
ტყავ-კაბა-ზარბაბთითამცა;
ცხენზედაც მოგადგებიან
მშვილდისრიანნი ხმლითამცა,
ტახტზედაც დაგიდგებიან
თავ-ოქრო-გვირგვინითამცა,
მოკეთე ღმერთმა გიმრავლოს,
მოყვარე მრავალგზითამცა,
ასრე დასტკბი ამ ქვეყანას,
ვით თაფლი ფუტკრის სკითამცა;
უხვათამც მოგეცემოდეთ
თვალ-მარგალიტი ზღვითამცა“.

ახალი წლის დღეს საქართველოში ზოგან „ბასილის დღეს“ უწოდებდნენ, რადგან 1 იანვარს მართლმადიდებლური ეკლესია წმინდა ბასილი დიდს იხსენიებს. ამ დროს აცხობდნენ ადამიანის ფორმის „ბასილას კვერებს“, რომელსაც ასევე „კაცბასილას“ უწოდებდნენ. ჩიჩილაკსაც ბასილას წვერები ერქვა.

მეკვლეობის ტრადიციას დღესდღეობით ძველი სახე და ფუნქცია აღარ აქვს, თუმცა ახალი წლის ღამით მოსულ პირველ სტუმარს დღესაც მეკვლედ თვლიან და, ძველი წესის დაცვით, ისიც აუცილებლად ხელდამშვენებული შედის ოჯახში.

### ძველად საქართველოში ახალი წელი სხვადასხვა დროს იწყებოდა. რა განაპირობებდა თარიღის ცვლილებას და ბოლოს როდის დადგინდა ახალი წელი 1 იანვარს?

საქართველოში ახალ წელს სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა დროს აღნიშნავდნენ. IV საუკუნეში 6 აგვისტოს ზეიმობდნენ, VII საუკუნიდან იგი ბიზანტიურ-ქრისტიანულმა ინდიქტიურმა, ანუ სექტემბერის წელიწადმა შეცვალა. IX საუკუნის 20-იანი წლებიდან გაზაფხულზე მარტიდან იწყებოდა დროის ახალი ათვლა, XIV საუკუნიდან კი მისი თარიღი საბოლოოდ დადგინდა ევროპული კალენდრით იანვარში.

25 დეკემბერი (7 იანვარი) ეკლესიამ ქრისტეშობის დღედ IV საუკუნეში დააწესა. იგი წინ უძღოდა ახალ წელს და მორწმუნისათვის მასზე უფრო მნიშვნელოვანიც იყო. რელიგიური თვალსაზრისით, ყოველგვარი განახლების სათავე ქრისტეს ამქვეყნად მოვლინებაა. მას მოსდევს ახალი სიცოცხლე, დროის განახლება. XX საუკუნის დასაწყისში ასტროლოგიური გამოთვლების საფუძველზე დადგინდა, რომ კალენდარში ცვლილებები შეეტანათ. 1918 წელს რუსეთში შემოიღეს დასავლურ-ევროპული კალენდარი. მიღებული დეკრეტით, 31 იანვრის მომდევნო დღე იყო არა 1, არამედ – 14 თებერვალი. აქედან მოყოლებული, დროის ათვლა გაიყო ორად: ძველი სტილი შეინარჩუნა ეკლესიამ, ხოლო ახალ სტილს მიჰყვება სახელმწიფო და სამოქალაქო მოსახლეობა. ასეა ეს საქართველოშიც. რეფორმის შედეგად ახალი წელი მოექცა შობისა და ნათლისღების დღესასწაულთა წინ.

### შობის დღესასწაულზე კარდაკარ სიარული და „ალილოს“ სიმღერა დღემდე შემორჩენილია. რა განსხვავებაა დღეს ამ დღესასწაულის აღნიშვნაში?

საქართველოში შობა უდიდესი დღესასწაულია და მას თავისებური რიტუალი ახლავს – კარდაკარ სიარული და მამაკაცთა მიერ „ალილოს“ სიმღერა. ფიქრობენ, რომ მისამღერი სიტყვა და რიტუალის სახელი „ალილო“ მომდინარეობს „ალილუიადან“. ეს წეს-ჩვეულება თითქმის ერთნაირად ტარდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ალილოს მომღერლები დახელოვნებულნი იყვნენ ტრადიციული გალობა-სიმღერის შესრულებაში. კარდაკარ ჩამოვლისას მათი ხმა მთელ მხარეს ეფინებოდა:

„ოცდახუთსა დეკემბერსა
შობა გათენებულაო,
ქვაბსა ბეთლემისასა
ქრისტე დაბადებულაო.
მადლი მახარობელსაო,
ქვეყნის გამხარებელსაო.
სახლო ღმერთმა აგაშენოს,
მხიარულად დაგამშვენოს“.



ზოგჯერ ერთსა და იმავე სოფელში მომღერალთა 2-3 ჯგუფიც გამოჩნდებოდა. მოსახლეობა ხელგაშლილი ელოდა მათ, რადგან სჯეროდათ, რომ მეალილოების დასაჩუქრება ბარაქას შემატებდა მათ ოჯახებს. კარდაკარ ჩამომვლელები თვითონაც ითხოვდნენ საშობაო საჩუქარს:

„ალათასა ბალათასა,
ხელი ჩაყავ კალათასა,
ცოტა რამე გამოგვიტა,
ღმერთი მოგცემთ ბარაქასა“.

ალილოს ლექსებში შექებულია პურადი და უხვი მასპინძელი, ძუნწი და ხელმოჭერილი კი – გაკიცხული. მეალილოები ზოგჯერ კატეგორიულებიც იყვნენ, თუ მასპინძელი საჩუქრის მიცემას აყოვნებდა:

„ტყიდან მგელი გამოვარდა,
თხა შეგვიჭამა ნისლაო,
თუ გამოგაქვთ, გამოიტათ,
სხვაგანაც გვინდა მისვლაო“.

ალილოზე სიარულის ტრადიცია კვლავ ააღორძინა საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ. შეგროვებული სანოვაგე და შესაწირი ურიგდებათ უმწეოებსა და პატიმრებს.

### რამდენად ეწინააღმდეგება აღნიშნული რიტუალები ქრისტიანობას?

ახალი წლის დღესასწაული უძველესი წარმოშობისაა და მასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებათა დიდი ნაწილი წარმართობიდან მომდინარეობს, მაგრამ დღესაც არსებობს, რადგან მთავარი მიზანი ამ დღესასწაულისა – ცხოვრების განახლება, ბარაქიანობის მოთხოვნა, სიხარულის მოლოდინი – ადამიანის უმთავრესი მოთხოვნილებაა და იგი ქრისტიანული რელიგიისთვისაც არ არის უცხო.

### როდის ჩნდება ნაძვის ხე და ჩიჩილაკი?

საქართველოში ახალ წელს ახლდა მისი აუცილებელი ატრიბუტი – ჩიჩილაკი, რომელსაც „ბასილას წვერებსაც“ ეძახდნენ. იგი წმინდა ბასილის სახელს უკავშირდება და, რასაკვირველია, ქრისტიანობის ხანაში უნდა დამკვიდრებულიყო. თუმცა მორთული ხის სიმბოლიკაც ძალიან ძველია და ნაყოფიერებას უკავშირდება. ფიქრობენ, რომ ჩიჩილაკი თავისი ბურბუშელებით მზის სხივებსაც განასახიერებდა. მის თავზე ჯვრის გამოსახულებას აკეთებდნენ და ჩირით, ხილით, სუროს ფოთლებით რთავდნენ. მას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საახალწლო ხონჩაზე. ნათლისღების წინა დღეს კი ბასილას წვერებს წვავდნენ და მის ფერფლს ატანდნენ გასული წლის უსიამოვნებებს. ზეპირგადმოცემით, თითქოს პირველი ჩიჩილაკი ღვთისმშობლის მეუღლემ, მართალმა იოსებმა (იგი ხომ ხურო იყო) გაუკეთა პატარა იესოს გასართობად.

დროთა განმავლობაში საახალწლო მორთულობებში წამყვანი ადგილი ნაძვის ხემ დაიკავა. საიდან მოვიდა ეს ტრადიცია? გერმანული მოდგმის ხალხებში უძველესი დროიდან არსებობდა რწმენა, რომ მარადმწვანე მცენარეები სასიკეთო გავლენას ახდენენ მოსავლიანობაზე. ამიტომ ტოტები, ან მთელი ხეც მოჰქონდათ სახლში. ეკლესია ებრძოდა ამ წარმართულ ჩვეულებას, მაგრამ მერე დააკანონა და შობას დაუკავშირა. უჭკნობ სიმწვანეს აღიქვამდნენ, როგორც მარადიულ სიცოცხლეს. ნაძვის სამკუთხა კონტური წმინდა სამებას გამოხატავდა. ნაძვს რთავდნენ ვაშლებით, რითაც ის სამოთხის ხეს განასახიერებდა. ასევე, მასზე კიდებდნენ ვაფლის ნაჭერს, რომელიც ზიარების პურის სიმბოლო იყო. ნაძვის წვერს კი რთავდნენ „ბეთლემის ვარსკვლავით“.

რუსეთში ნაძვის მორთვა დაიწყეს XIX საუკუნეების შუა ხანებიდან. თავდაპირველად ამას აკეთებდნენ გერმანულ ოჯახებში, რომლებიც მრავლად იყო როგორც პეტერბურგში, ისე – მოსკოვში. შემდეგ ეს ახალი ჩვეულება გავრცელდა რუსებს შორისაც. სავარაუდოა, რომ საქართველოში ნაძვის ხის მორთვა საახალწლოდ რუსეთიდან შემოვიდა. დღეს ქართულ ოჯახებში ისევ მკვიდრდება ჩიჩილაკი და იკავებს ადგილს ნაძვის ხის გვერდით.

**თეონა ნოზაძე**

# როგორ უნდა მოიქცეთ, თუ მეკვლე ხართ და რა უნდა იცოდეთ მეკვლეს არჩევისას?



საქართველოში ერთი უძველესი ტრადიცია არსებობს, რომელსაც დღესაც გულმოდგინედ იცავენ. ახალი წლის ღამეს ან განთიადისას ოჯახს მეკვლე უნდა ესტუმროს. მეკვლე არის ადამიანი, რომელმაც მომდევნო წელიწადს მოზეიმეებს ბედნიერება და კეთილდღეობა უნდა მოუტანოს.

მეკვლის სტუმრობა მთელი რიტუალია, რომელსაც ძველად ზედმიწევნით ზუსტად იცავდნენ. შუაღამის დადგომის შემდეგ სახლიდან არავინ გადიოდა, სანამ მეკვლე არ ესტუმრებოდათ. ეს უკანასკნელი ტკბილეულითა და ხილით ხელდამშვენებული მოდიოდა. მეკვლეობა, სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციიდან იღებს სათავეს. სტუმრის მიღება, ტრადიციულად, ოჯახის ღირსებად ითვლება და ქართველ კაცსაც უჩნდება პრეტენზია – ეს ღირსება ახალ წლის პირველ წუთებშივე დაიცვას.

მეკვლე, პირველ ყოვლისა, სტუმარს ნიშნავს და ოჯახის წევრის გარეთ გასეირნება და უკან შემობრუნება მეკვლეობად არ ითვლება. საერთოდ, მეკვლეს ძველ საქართველოში წინასწარ ირჩევდნენ. პირველ რიგში, ის ოჯახის ახლობელი და სასურველი სტუმარი უნდა ყოფილიყო. ეს ტრადიცია დღესაც შენარჩუნებულია. „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი – კვალი ანგელოზისა“, ასეთია მეკვლის დალოცვა.

2019 წელს საკმარისი არ იქნება უბრალოდ დალოცვა და ოჯახში ტკბილეულის მიტანა. იმისთვის, რომ მეკვლემ სახლში ხვავი და ბარაქა შეიტანოს აუცილებელია:

1. ცალ ხელში ეჭიროს ბრინჯით/ხორბალით სავსე ჯამი ან ღრმა თეფში. სახლის ზღურბლზე მარჯვენა ფეხით გადაბიჯებისას ბურღულეული უნდა მოაყაროს შემოსასვლელს. რაც უფრო მეტად მიმოიფანტება მარცვლები და მით უკეთესი.

2. ბრინჯში/ხორბალში იდოს ოცთეთრიანები.

3. მეორე ხელში უნდა ეჭიროს ხილითა და თხილით სავსე სინი.

4. მეკვლეს ჯიბეში ეყაროს ორლარიანები (ერთი მაინც), რომელსაც ამოიღებს და ოჯახის ყველაზე პატარა წევრს აჩუქებს.

5. მეკვლეს უნდა ეკეთოს ბრჭყვიალა სამკაული, აქსესუარი ან ჯიბეში ედოს ბრჭყვიალა ნაჭერი.

ღორისთვის ფინანსები მნიშვნელოვანია, ამიტომ თქვენს მომავალ მეკვლეს მიაწოდეთ საჭირო ინფორმაცია.

# რა უნდა ვიცოდეთ თოვლის შესახებ



თოვლმა უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა დედამიწის გეოლოგიურ ისტორიაში. სწორედ იმის გამო, რომ დედამიწაზე თოვლი წამოვიდა, ვულკანური პროცესების შედეგად გახურებული დედამიწის ზედაპირის ტემპერატურამ კლება დაიწყო. ამის წყალობით, პლანეტაზე სიცოცხლისთვის ხელსაყრელი კლიმატური პირობები შეიქმნა. რომ არა თოვლი, დედამიწა პლანეტა ვენერას დაემსგავსებოდა – გავარვარვარებულ, სიცოცხლისთვის შეუსაბამო ადგილს.

დღეს უკვე კარგად ცნობილი ფაქტია, რომ ბუნებაში ორი ერთნაირი ფიფქი არ არსებობს, თუმცა ამ დასკვნამდე მეცნიერები არც თუ ისე დიდი ხნის წინ მივიდნენ. ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასასრულს ამის შესახებ ცნობილი არ იყო. ამერიკელმა ფოტოგრაფმა, უილსონ ბენტლიმ, იმავე საუკუნის 80-იან წლებში, მიზნად დაისახა ფიფქების კატალოგი შეედგინა.

პირველი ფოტოს გადაღება მან 1885 წლის 15 იანვარს მოახერხა. იმ დღიდან მოყოლებული უილსონ ბენტლიმ 5000-ზე მეტ ფიფქს გადაუღო სურათი, შემდეგ კი მათი შესწავლა დაიწყო თავის ფიზიკოს მეგობართან პერკინსთან ერთად. ზუსტად ბენტლიმ და პერკინსმა განაცხადეს პირველად, რომ ორი ერთნაირი ფიფქი არ არსებობს. დღეს კი მეცნიერები უფრო შორს წავიდნენ და მათემატიკური ფორმულებით ამტკიცებენ, რომ ფიფქების ფორმების რაოდენობა აჭარბებს ატომების რაოდენობას ადამიანის მიერ კონტროლირებად სამყაროს ნაწილში.

უმეტესობა ჩვენთაგანი თვლის, რომ თოვლი მხოლოდ თეთრია. თუმცა, ეს ყოველთვის ასე არ არის. სიერა-ნევადას მაღალმთიან რეგიონში თოვლი ხშირ შემთხვევაში ვარდისფერია, ამიტომაც მას „საზამთროს“ თოვლს უწოდებენ. ასეთ შეფერილობას მასში არსებული წყალმცენარეების Chlamydomonas nivalis-ის გამო იღებს, რომელიც ასტაქსანტინის წითელ პიგმენტს შეიცავს. ისტორიაში ცნობილია ასევე ფაქტები, როდესაც შავი თოვლი წამოვიდა შვედეთში შობა დღეს, 1969 წელს. ამის მიზეზად ცუდი ეკოლოგია დაასახელეს. რაც შეეხება თეთრ თოვლს... ეს ჩვენთვის არის თეთრი. ესკიმოსები კი თოვლის 24 ფერის ტონალობას არჩევენ, საამები კი – 41.

უამრავი სახის თოვლი არსებობს, თუმცა მხოლოდ იაპონელებმა შეძლეს და ამ ფაქტის გამოყენებით მარკეტინგული სვლა გააკეთეს. 1980 – იანი წლების დასაწყისში იაპონიაში, იმ მიზნით რომ თხილამურების ადგილობრივი წარმოებისთვის ხელი შეეწყოთ, საზღვარგარეთიდან სამთო-სათხილამურო ინვენტარის იმპორტი შეზღუდეს.

ამის ხელშეწყობისთვის მითიც კი შეთხზეს იაპონიის თოვლის განსაკუთრებულობაზე, რომელზეც საზღვარგარეთული თხილამურებით ვერ შეძლებდნენ სრიალს. იაპონიაში ამ ისტორიასთან დაკავშირებული საახალწლო სიმღერაც კი გამოჩნდა – თითქოს იაპონელი მოთხილამურე ჩემპიონს ადგილიდან დაძვრა არ შეეძლო, რადგან ის უცხოურ თხილამურებზე იდგა, თოვლი კი მის ქვემოთ განსაკუთრებული, იაპონური იყო.



თოვლი ჩვენთვის გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ გაყინული წყლის კრისტალები. პირველ თოვლთან ერთად ნამდვილი ზამთარი დგება ან უბრალოდ ასეთი განცდა გვიჩნდება. ზამთრის სპორტის მოყვარულები სამთო კურორტებისკენ მიემართებიან, ადამიანებს ამ დროს უფრო მეტად ეუფლებათ საზეიმო განწყობა საყვარელი დღესასწაულების აღსანიშნავად.

თოვლი – ეს არის ატმოსფერული ნალექის ფორმა. ფიფქი იქმნება, როდესაც წყლის მიკროსკოპული წვეთები ღრუბლებში ეწებება მტვრის ნაწილაკებს და იყინება. ახლადშექმნილი ყინულის კრისტალები თავდაპირველად არ აჭარბებეს 0, 1 მმ. დიამეტრში, ქვემოთ ვარდნისას მათი ზომა იზრდება ატმოსფეროში არსებული ტენის კონდენსაციის შედეგად.

დედამიწის მოსახლეობის დიდ ნაწილს თოვლი საერთოდ არ უნახავს – მხოლოდ სურათებსა და ფილმებში. ჩვენ კი შევეჩვიეთ თოვლს და აღვიქვამთ მას, როგორც მოცემულობას. თუმცა, იმისთვის რომ ერთი ფიფქი შეიქმნას, ატმოსფეროში უნდა მოხდეს კრისტალიზაციის ენერგოხარჯვითი პროცედურა.

იმისთვის რომ ერთი ფიფქი შეიქმნას, საჭიროა მილიონი წყლის მიკროწვეთი. ზამთარში დედამიწაზე ნალექის სახით მოდის დაახლოებით სეპტილიონი (24 ნული) ფიფქი. ახლა შეგვიძლია გავამრავლოთ სეპტილიონი მილიონზე და გავიგოთ წყლის წვეთების რაოდენობა.

ფიფქის 95პროცენტი ჰაერია, ამიტომ მშვიდ ამინდში ის ძალიან ნელა ჩამოდის – 0.9 კმ/სთ სიჩქარით. თუმცა, 1 სმ თოვლის საფარისგან 1 ჰექტარზე შეიძლება მივიღოთ 25–35 კუბომეტრი წყალი.

# ახალ წელთან დაკავშირებული საინტერესო ფაქტები



* 1930-იან წლებში, ოფიციალური საბჭოთა იდეოლოგია იბრძოდა ძველი ტრადიციების წინააღმდეგ და შესაძლოა, ეს ნაძვის ხესაც შეხებოდა. ამიტომაც, ზოგიერთი ადამიანი, ნაძვის ხის სახლში წასაღებად იყენებდა კონტრაბასის ფუტლარს, რათა არასასურველი თვალისგან დაეფარა მისი სახლში მიტანა.

* სასაათო სარტყლების მიხედვით, ახალი წლის აღნიშვნა პირველად ყოველთვის იწყება წყნარ ოკეანეში, კირიბატის კუნძულებზე[2]. უკანასკნელები კი ძველ წელს აცილებენ კვლავ წყნარ ოკეანეში მდებარე კუნძულ მიდუეის მცხოვრებლები[3].

* ზოგიერთი ქვეყანა ახალ წელს მთვარის კალენდრის მიხედვით აღნიშნავს.

* ძველ რომში ეს დღე ეძღვნებოდა იანუსს – არჩევნის, კარებისა და ყოველივე საწყისის ღმერთს. იანვარმა სახელწოდება სწორედ იანუსის პატივსაცემად მიიღო, რომელსაც გამოსახავდნენ ორი სახით: ერთი იყურებოდა წინ, მეორე კი – უკან[4].

### ავსტრალია

ახალი წლის დღეს, სიდნეის პლაჟებზე შესაძლებელია საცურაო კოსტიუმში გამოწყობილი თოვლის პაპის ხილვა. ასეთ ეგზოტიკურ თოვლის პაპას ტრადიციული სანტა-კლაუსისთვის დამახასიათებელი ატრიბუტები – თეთრი წვერი და წითელი ქუდი მაინც აქვს.

### არგენტინა

ძველი ტრადიციის თანახმად, არგენტინაში დაწესებულებების თანამშრომლები წლის ბოლო სამუშაო დღეს, ფანჯრიდან ძველ კალენდრებს, უვარგის უწყისებსა და ბლანკებს ყრიან. ისე რომ ბუენოს-აირესის იმ ნაწილში, სადაც სამუშაო დაწესებულებები მდებარეობს, შუადღისთვის ქუჩები ქაღალდების თხელი ფენით იფარება. ამ ტრადიციის წარმომავლობის შესახებ არავინ არაფერი იცის, თუმცა მის გარეშე არგენტინელებისთვის ახალი წელი არ არსებობს.

### ავსტრია

ვენაში დაუწერელ კანონად ითვლება ახალ წელს წმინდა სტეფანეს ეკლესიაში ჩამოკიდებული „მსოფლიო ზარის“ საზეიმო ხმის მოსმენა. ძველ დროში კი კარგი ნიშანი იყო ბუხრის მწმენდავთან შეხვედრა, შეხება და დასვრა. ეს ტრადიცია ბედნიერების მომტანად მიაჩნდათ.

### ბულგარეთი

ახალი წლის წინა დღეს ბულგარელები შინდის ჯოხს იძენენ, რაც აუცილებელი ატრიბუტია. პირველ იანვარს ბავშვები მშობლებთან მიდიან და ჯოხის მსუბუქი დარტყმით ახალი წლის დადგომას ულოცავენ. იმ დროს, როდესაც საათი ბოლოჯერ ჩამოჰკრავს და მოსახლეობას ძველი წლის წაბრძანებას ამცნობს, ბუგარელების სახლში სინათლე სამი წუთით ქრება. ეს დრო საახალწლო კოცნას ეთმობა. ბულგარელებს უხარიათ, თუ საახალწლო სუფრის დროს ვინმე დააცემინებს, რადგან მათი აზრით ეს ბედნიერების მომტანია.

### საბერძნეთი

ბერძნული ტრადიციის თანახმად, ზუსტად 12 საათზე ოჯახის უფროსი ეზოში გადის და კედელს ბროწეულს ესვრის. თუ ბროწეულის მარცვლები მთელს ეზოში მიმოიფანტება, მაშინ ახალ წელს ეს ოჯახი ბედნიერად გაატარებს. სტუმრად მისვლისას ბერძნებს თან დახავსებული ქვა მიაქვთ და სახლში მისვლისას მასპინძელს ეუბნებიან: „დაე, ჩემი მასპინძლის ქისა ამ ქვასავით მძიმე იყოს“.

### დანია

დანიაში ტყის მცველებმა ბრაკონიერებთან – რომელთაც ნაძვის ხის მოჭრა და სახლში წაღება უნდათ – ბრძოლის მეტად ეფექტურ მეთოდს მიაგნეს. წინასაახალწლო დღეებში ისინი ნაძვის ხეს სპეციალურ ხსნარს უსვამენ, რომლის მყრალი სუნიც სიცივეში შეუმჩნეველია, მაგრამ როგორც კი ხე თბილ გარემოში აღმოჩნდება, იგი მაშინვე საშინელ სუნს უშვებს.

### ირლანდია

ახალი წლის ღამეს, ირლანდიელები საკუთარი სახლის კარს ფართოდ აღებენ. ნებისმიერი ადამიანი, ვინც ღია კარში შესვლას მოინდომებს, სახლის სასურველი სტუმარი გახდება. ასეთ სტუმარს მაგიდის საპატიო ადგილას დასვამენ და ტრადიციულ სადღეგრძელოს – „მშვიდობა ამ სახლსა და მთელ მსოფლიოში!“ შესვამენ.

### კუბა

ახალი წლის ღამეს კუბელები ჭიქებს წყლით ავსებენ და ზუსტად 12 საათზე ფანჯრიდან ასხამენ. ასეთი ჟესტით კუბელები ერთმანეთს უსურვებენ, რომ დამდეგი წელი წყალივით ნათელი, სუფთა და ბედნიერი ყოფილიყოს.

### მიკრონეზია

მიკრონეზიის ერთ–ერთი კუნძულის მოსახლეობა ყოველ ახალ წელს სახელს იცვლის. მათი აზრით, ამ გზით ისინი ბოროტ სულებს თავგზას უბნევენ. პირველ იანვარს გაღვიძებული ოჯახის წევრები, თავიანთ ახალ სახელს პირზე ხელმიფარებულები წარმოთქვამენ, ამავე დროს, ოჯახის სხვა წევრი დაირას აახმაურებს, რომ ბოროტმა სულმა სახელი ვერ გაიგოს. სახელს ყველა ინდივიდუალურად ირჩევს, რის გამოც ერთ წელს სოფლის ნახევარზე მეტს მაიკლ ჯეკსონი ერქვა.

### პერუ

პერუში მიაჩნიათ, რომ ის, ვინც საკუთარ სახლს ჩემოდნით ხელში შემოუვლის, დიდი ხნის ნატვრას აისრულებს და სამოგზაუროდ გაემგზავრება. სხვა ტრადიციის თანახმად კი, თუ გოგონა, რომელსაც ხელში ტირიფის წნელი უჭირავს, მის მეორე ბოლოს უცნობ ყმაწვილს შეახებს, იგი მისი საქმრო გახდება.

### შოტლანდია

ახალი წლის ღამეს, შოტლანდიელები კასრში ფისს ასხამენ და მას ქუჩებში მოატარებენ. მათი აზრით, ეს გასული წლის დაწვის სიმბოლოა, რის შემდეგაც ახალ წელს გზა ხსნილი აქვს. როდესაც საათის ისრები 12–ს მიუახლოვდება, სახლის უფროსი კარს აღებს და მანამ არ კეტავს, სანამ ზარის უკანასკნელ დარეკვას არ გაიგონებს. ამით იგი სახლიდან ძველ წელს აძევებს, ახალს კი უშვებს. ახალი წლის ღამეს სახლში შავთმიანი მამაკაცის შესვლა კარგის ნიშანია.

### ჩინეთი

ჩინეთში ახალი წელი მთვარის კალენდრით აღინიშნება, რის გამოც თარილი მოძრავია და 21 იანვრიდან 21 თებერვლამდე მერყეობს.

# რამდენად იმოქმედებს საქართველოზე ანომალიური კლიმატური მოვლენა?



გაეროს მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის ინფორმაციით, 2018 წლის დეკემბრიდან 2019 წლის თებერვლის ჩათვლით, გლობალური კლიმატური მოვლენა ელ-ნინიოა (El Niño) მოსალოდნელი. როგორც ცნობილია, ეს ანომალიური კლიმატური მოვლენა მსოფლიოს კლიმატზე დიდ გავლენას მოახდენს.

დავინტერესდით, რამდენად იმოქმედებს მსოფლიოში მიმდინარე კლიმატური ცვლილებები საქართველოს ჰავაზე და ამის გასარკვევად გარემოს ეროვნულ სააგენტოს დავუკავშირდით. უწყებაში გვითხრეს, რომ ბუნებრივია, მსოფლიოში მიმდინარე კლიმატური ცვლილებები საქართველოზეც აისახოს.

მიმდინარე და სამომავლო კლიმატის შესაძლო ცვლილებების გამოსავლენად კვლევები ტარდება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში. კვლევის შედეგად დადგენილია, რომ ბოლო 20-25 წლის განმავლობაში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ადგილი აქვს ჰაერის ტემპერატურის მატებას, რაც ყველაზე მეტად ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილშია გამოხატული.

დატბორილი ფოთი, 2018 წლის აგვისტო.

ატმოსფერული ნალექების რაოდენობის ცვლილების დინამიკა არაერთგვაროვანია. დასავლეთ საქართველოში, რომელიც ისედაც ჭარბი ნალექიანობით ხასიათდება, აღინიშნება ნალექების მატების ტენდენცია, მაშინ როდესაც, აღმოსავლეთ საქართველო (განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში) ნალექების შემცირებით ხასიათდება, რაც უარყოფითად აისახება მეურნეობის სხვადასხვა სექტორზე.

„მსოფლიოს მეტეოროლოგები ამინდის გრძელვადიანი (სეზონური) პროგნოზების შედგენისას აუცილებლად ითვალისწინებენ ოკეანეებში მიმდინარე პროცესებს, განსაკუთრებით ისეთ მასშტაბურ პროცესს, როგორსაც El Niño წარმოადგენს.

ექსპერტების დასკვნით, სათბურის გაზების ემისიების შემდგომი მატება გამოიწვევს კიდევ უფრო ინტენსიურ დათბობას და გაამძაფრებს კლიმატური სისტემის ყველა კომპონენტის ცვლილებას. სავარაუდოდ, გაიზრდება ექსტრემალური მოვლენების ინტენსივობა და ხდომილების ალბათობა" – გვითხრეს გარემოს ეროვნულ სააგენტოში.

ყველასთვის საინტერესოა, რამდენად ცივი ზამთარი გველოდება წელს, ამის შესახებ კი სააგენტოში გვაცნობეს, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის ქვეყნების, მათ შორის საქართველოს ექსპერტების კლიმატური პროგნოზის ფორუმზე (SEECOF-18) მომზადებული 2018-2019 წლების ზამთრის სეზონის ამინდის პროგნოზი ეყრდნობა გლობალურ და ხმელთაშუა ზღვის და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონების დინამიკურ და სტატისტიკურ მოდელებს.

ექსპერტების დასკვნით, 2018-2019 წლების ზამთრის პერიოდში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, მის შიდა რაიონებზე და კავკასიის რეგიონზე, ამინდის ფორმირებაზე დომინანტურ როლს წყნარ და ატლანტის ოკეანეებში მიმდინარე და მოსალოდნელი პროცესები შეასრულებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ზამთრის პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე მოსალოდნელია:

– ჰაერის საშუალო ტემპერატურა ნორმასთან ახლოს ან ნორმაზე 1 ან 2 გრადუსით მაღალი;

– ნალექების რაოდენობა ნორმაზე მეტი.

რაც შეეხება, საქართველოში ზამთრის სეზონის საშუალო მრავალწლიური ტემპერატურა (ნორმა) დასავლეთ საქართველოს დაბლობზე +5, 7 მთაში 0, +2 მაღალ მთაში – 4, +1 აღმოსავლეთ საქართველოს ბარში +1, +5 მთაში – 1, +4 გრადუსს შეადგენს.

ზამთრის სეზონის ნალექების საშუალო მრავალწლიური რაოდენობა (ნორმა) დასავლეთ საქართველოს დაბლობზე 500-700 მმ, მთაში 300-400 მმ, მაღალ მთაში 200-300 მმ, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში 70-120 მმ, მთაში 80-150 მმ, მაღალ მთაში 70-150 მმ – ს შეადგენს.

**ეკა გადახაბაძე**

ambebi.ge

# უხვნალექიანი, რბილი ზამთარი – როგორ სეზონს პროგნოზირებენ მეტეოროლოგები საქართველოში



ზამთარი თანდათან იკრებს ძალას, შესაბამისად, ტემპერატურა და მზიანი დღეები სულ უფრო იკლებს. გველის თუ არა მკაცრი ზამთარი წელს საქარ-თველოში, უნდა ველოდოთ თუ არა უხვ ნალექს და როგორი ტემპერატურაა მოსალოდნელი – ამ თემაზე I.-ს მკითხველს ვრცელ ინფორმაციას აწვდის გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტა-მენტის უფროსი რამაზ ჭითანავა.

ექსპერტების დასკვნით, 2018-2019 წლების ზამთრის პერიოდში, სამხრეთ-აღ-მოსავლეთ ევროპის რეგიონში, მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე ამინდის ფორმირებაზე დომინანტურ როლს წყნარ და ატლანტიკის ოკეანეებში მიმდინარე და მოსალოდნელი პროცესები შეასრულებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, რამაზ ჭითანავას თქმით, მომავალი ზამთრის პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე ჰაერის საშუალო ტემპერატუ-რა ნორმის ფარგლებში ან ნორმაზე 1-2 ც-ით მაღალია მოსალოდნელი. რაც შეეხება ნალექებს, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ზამთრის პერიოდში მოსუ-ლი ნალექების რაოდენობა ნორმაზე მეტი იქნება.

**– მოსალოდნელია თუ არა ძლიერი თოვლი, ყინვა? იქნება თუ არა ზამთრის სეზონი სიმკაცრით გამორჩეული?**

– ჰაერის ტემპერატურული რეჟიმის თვალსაზრისით შედარებით რბილ ზამ-თარს ვვარაუდობთ. მოსალოდნელი, ნორმასთან შედარებით უხვნალექიანი ზამთრის შესაძლებლობის გამო, ბუნებრივია მთაში და მაღალ მთაში თოვ-ლის დეფიციტი არ იქნება.

ეს ერთი მხრივ დადებით როლს შეასრულებს წყლის რესურსების ზრდის თვალსაზრისით, რაც განსაკუთრებით ხელსაყრელი იქნება ჰიდროენერგეტიკის და სოფლის მეურნეობის სფეროებისთვის. მეორეს მხრივ, შეიძლება გარ-კვეული პრობლემები შექმნას ისეთი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების სიხშირის გაზრდის შესაძლებლობის გამო, როგორებიცაა წყალ-მოვარდნები და თოვლის ზვავები.

ამ ტიპის სტიქიური მოვლენების პროგნოზირება და შესაბამისი ადრეული გაფრთხილებების გაცემა, მხოლოდ რამდენიმე დღის წინსწრებითაა შესაძ-ლებელი, რასაც გარემოს ეროვნული სააგენტო განახორციელებს. ვფიქრობთ, რომ ნახსენები სტიქიური მოვლენების შემთხვევაში, მინიმუმამდე იქნება დაყვანილი მათგან გამოწვეული შესაძლო უარყოფითი შედეგები და მომავა-ლი ზამთარი ნორმალურად ჩაივლის.

**– ამინდის სეზონურ პროგნოზებზე რომ ვისაუბროთ, რამდენად ადვილია 2-3-თვიანი სავარაუდო პროგნოზის გაკეთება?**

– ამინდის სეზონური პროგნოზები გრძელვადიანი პროგნოზების კატეგორიას განეკუთვნება და მათი გამართლებადობა მოკლევადიან – 2 დღემდე წინსწრე-ბით და საშუალოვადიან – 10 დღემდე წინსწრებით პროგნოზებთან შედარე-ბით, მთელ მსოფლიოში, მათ შორის, მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც, საგ-რძნობლად დაბალია.

ამავე დროს, ამინდის მოკლევადიანი პროგნოზები სივრცესა და დროში უფრო დეტალიზებულია. ისინი ტერიტორიის სხვადასხვა გეოგრაფიული რეგიონებისთვის – დაბლობი, ბარი, მთა, მაღალი მთა და სხვა, აგრეთვე, დღე-ღამის სხვადასხვა პერიოდებისთვის (ღამე, დღე, დღის პირველი ნახევარი, დღის მეორე ნახევარი) მზადდება. ამინდის გრძელვადიანი, სეზონური პროგნოზები კი უფრო დიდი ტერიტორიებისთვის, მთელი სეზონის განმავლობაში მოსალოდნელი ჰაერის საშუალო ტემპერატურისა და ნალექების სა-ერთო რაოდენობის მრავალწლიურ საშუალო მნიშვნელობებისგან, ანუ ნორ-მებისგან გადახრის შეფასებებით შემოიფარგლება.

ამინდის გრძელვადიანი პროგნოზების მომზადება უაღრესად რთული პროცესია. ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ დედამიწის ატმოსფერო ერთიანი ორ-განიზმია და დედამიწის კონკრეტულ რეგიონში მოსალოდნელი ამინდის ხან-გრძლივი, 1-3 თვის წინსწრებით პროგნოზირება, ამ რეგიონიდან ათასობით კილომეტრით დაშორებულ რეგიონებში არსებულ და მოსალოდნელ ამინდის პირობებზეა დამოკიდებული.

ამჟამად მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის მონაცემთა გაცვლის გლობალური ქსელი ითვლის ასეულობით ათას მიწისპირზე, გემებზე, თვითმფრინავებზე და თანამგზავრებზე დამონტაჟებულ მეტეოროლოგიურ სადგურებს და ასეულობით რადარულ და ატმოსფეროს ვერტიკალური ზონ-დირების სისტემებს. ამინდის პროგნოზის შედგენაში მეცნიერების ბოლო მიღწევები, თანამედროვე რიცხვითი მოდელები და უმძლავრესი გამოთვლი-თი ტექნიკა (სუპერკომპიუტერები) გამოიყენება.

ამ ყველაფრის მიუხედავად, ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა ამინდის, განსაკუთრებით გრძელვადიანი პროგნოზების შედგენის სფეროში. მათ შორის აღ-სანიშნავია დედამიწის მასშტაბით მეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელის სიხშირის უკმარისობა, ამინდის განმაპირობებელი ყველა ფაქტორის გათვა-ლისწინების შეუძლებლობა, ოკეანე-ატმოსფეროს შორის არსებული ურთი-ერთკავშირების კანონზომიერების არასრულყოფილი ცოდნა და სხვა.

სწორედ ამითაა განპირობებული, რომ ამინდის გრძელვადიანი პროგნოზები, რეგიონის ან მსოფლიოს ქვეყნების ერთობლივი ძალისხმევით მზადდება. 2018-2019 წლების ზამთრის სეზონის პროგნოზი მომზადებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მეცნიერების და სპეციალისტების ფორუმ-ზე, რომელშიც საქართველოს მხრიდან გარემოს ეროვნული სააგენტოს წარ-მომადგენელიც მონაწილეობდა. მათ მიერ მომზადებული სეზონური პროგ-ნოზი გლობალურ, ხმელთაშუა ზღვის და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონების ამინდის დინამიკურ და სტატისტიკურ თანამედროვე მოდელებს ეყრდნობა.

**ლალი ფაცია**

ambebi.ge

# ნაკელი – ფართოდ გამოყენებადი ორგანული სასუქი

ორგანული სასუქებია ისეთი სასუქები, რომლებშიაც მცენარისათვის საჭირო საკვები ნივთიერებები ორგანული ნაერთების სახითაა წარმოდგენილი.

ისინი აუმჯობესებენ ნიადაგის ფიზიკურ თვისებებს, ამდიდრებენ ნიადაგს მცენარისათვის საჭირო საკვები ნივთიერებებით და ხელს უწყობენ ბიოლოგიური თვისებების გაუმჯობესებას.

ორგანული სასუქების ჯგუფს ეკუთვნის: ნაკელი, წუნწუხი, ტორფი, ფეკალი, მწვანე სასუქები (სიდერატი) და სხვ.

ნაკელი ძირითადი ორგანული სასუქია. ის წარმოადგენს ცხოველის მაგარ და თხევად გამონაყოფთა ნარევს საფენთან, რომელსაც განუცდია ნაწილობრივ ლპობა.

ნაკელის საშუალოდ დღე-ღამური რაოდენობა:

მსხვილი რქოსანი პირუტყვი 20-30 კგ მაგარ და 10-16 ლიტრ შარდს;

ცხენი-15-20 კგ მაგარ და 4-5 ლ შარდს;

ცხვარი-1, 5-2, 5 კგ მაგარ და 0, 6-1 ლ შარდს;

ღორი-1, 2-2, 2 კგ მაგარ და 2, 4-4, 5 ლიტრ შარდს.

დღეისათვის ორგანული სასუქებიდან ყველაზე ფართო გამოყენება აქვს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნაკელს.

სოფლის მეურნეობაში ნაკელის გამოყენებას დიდი ხნის ისტორია აქვს. იმის გამო, რომ ნაკელი სრული სასუქია, მისი ეფექტი ყოველგვარ ნიადაგზე, თითქმის ყველა კულტურის ქვეშ იძლევა შესამჩნევ ეფექტს, მისი მოქმედება მჟავე კორდიანეწერ ნიადაგებზე ყველაზე ეფექტურია.

ნაკელი მცენარისათვის აუცილებელ ყველა საკვებ ნივთიერებას შეიცავს და ამასთან ერთად აუმჯობესებს ნიადაგის ფიზიკურ თვისებებს, ასე, მაგალითად ნაკელის შეტანით მატულობს მსუბუქი და ქვიშნარი ნიადაგების ბმულობა, ხოლო მძიმე თიხნარი ნიადაგები შედარებით ფხვიერი ხდება.

ნაკელი ხელს უწყობს ნიადაგის მიერ წყლის შეთვისებას, უმჯობესდება მისი თბური თვისებები და სტრუქტურა, უფრო ცხოველმყოფელი ხდება ნიადაგის მიკროორგანიზმები.

ნაკელში აზოტი წარმოდგენილია ცილოვანი ნივთიერებებით და ამონიაკის სახით. ცილოვანი ნივთიერებები გვიან იშლება და ნაკელის მოქმედების ხანგრძლივობა (4-5 წელი) სწორედ ამაზეა დამოკიდებული. საზოგადოდ ნაკელში საკვები ნივთიერებების შემცველობა-მისი რაოდენობა ძირითადად დამოკიდებულია პირუტყვის სახეზე.

ნაკელის ხარისხზე დიდ გავლენას ახდენს შენახვის პირობები. წყლის აორთქლებისა და ორგანული ნივთიერებების მინერალიზაციის შედეგად აზოტის, ფოსფორისა და კალიუმის პროცენტული რაოდენობა მატულობს, მაგრამ ნაკელის ხანგრძლივად შენახვის პირობებში აზოტის შემცველობა ნაწილობრივ კლებულობს, ამიტომ აუცილებელია დაცული იქნეს მისი შენახვის მოთხოვნები. რაც შეეხება ფოსფორისა და კალიუმს, მათი რაოდენობა თითქმის უცვლელი რჩება.

პირუტყვის სახეობიდან და შენახვის პირობებიდან გამომდინარე ნაკელში აზოტის, ფოსფორის და კალიუმის რაოდენობა (განსაკუთრებით აზოტის) დიდ ფარგლებში მერყეობს. იგი შეუცვლელი და ყველაზე იაფი სასუქია.

საკვები ნივთიერებების რაოდენობის მიხედვით გამოირჩევა ცხვრისა და ცხენის ნაკელი, შედარებით ნაკლებია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნაკელი, ხოლო ამ თვალსაზრისით ფრინველის ნაკელი პირველ ადგილზეა.

**ნაკელის შენახვის წესები**

იმის გამო, რომ ნაკელის როგორც რაოდენობა, ასევე მისი ხარისხი ბევრად არის დამოკიდებული შენახვის პირობებზე, მას უნდა მიექცეს შესაფერისი ყურადღება. დღეისათვის ნაკელის შენახვის ორი წესი გამოიყენება: ცხლად და ცივად შენახვა.

ცხლად შენახვისას ნაკელი ეწყობა 50-70 სისქით დაუტკეპნავ შტაბელებად. ჩახურებულ ნაკელს ზემოდან უმატებენ შემდეგ ფენას, მანამ სანამ შტაბელის სიმაღლე არ მიაღწევს 2, 5-3 მ-ს. შემდეგ მას თავზე აყრიან 10-20 სმ-ის სისქით მიწას.

შენახვის ასეთ პირობებში იკარგება აზოტის დიდი რაოდენობა, ამიტომ არ შეიძლება ჩაითვალოს იგი პერსპექტიულად.

ცივად შენახვისას ნაკელი ყოველდღიურად გროვდება სანაკელე ორმოში ან ტრანშეიში და იტკეპნება. ასე გრძელდება სანაკელე ორმოს ნაკელით ამოვსებამდე და გადაიფარება 10-20 სმ-ის სისქის მიწით.

დატკეპნილ ნაკელში ტემპერატურა არ აღემატება 30-40$^{0}$C-ს, ამიტომ აზოტის დაკარგვა შესამჩნევად შემცირებულია.

ნაკელის ნიადაგში შეტანის წესები

შენახვის ხანგრძლივობის მიხედვით ნაკელი შეიძლება იყოს ახალი, ნახევრად გადამწვარი და გადამწვარი.

ახალი ნაკელი მართალია მცენარისათვის შესათვისებელ საკვებ ელემენტებს დიდი რაოდენობით შეიცავს, მაგრამ იგი ნაკლებად გამოიყენება, რადგან ჯერ ერთი, მასში დიდი რაოდენობით გვხვდება ქვეშსაფენი, რაც ხელს უშლის ნაკელის თანაბარ განაწილებას ნიადაგის ზედაპირზე და შემდგომში ჩახვნის დროს მანქანა-იარაღების მუშაობას აფერხებს.

მეორეც ის, რომ მასში გვხვდება ჯერ კიდევ სიცოცხლის უნარიანი სარეველათა თესლი, რაც საგრძნობლად ასარევლიანებს ნიადაგს და ასეთმა ნაკელმა შესაძლოა უფრო მეტი ზიანი მოიტანოს ვიდრე სარგებელი.

ნახევრადგადამწვარ ნაკელში, მართალია შენახვის პერიოდში საკვებ ელემენტთა რაოდენობა მცირდება, მაგრამ მასში ქვეშსაფენი უკვე დაშლილია, საკმაოდ ფხვიერია და ადვილად ნაწილდება ნიადაგის ზედაპირზეც, შედარებით მცირეა მასში აღმოცენების უნარის მქონე სარეველათა თესლი.

გადამწვარი ნაკელი, თავისი შედგენილობით გაცილებით ბევრად ჩამორჩება ახალ ნაკელს, შენახვის პერიოდში საკვები ელემენტების 50% კარგავს, მაგრამ იგი უკეთესია ვიდრე ახალი ნაკელი. სოფლის მეურნეობაში ყველაზე ეფექტურია ნახევრადგადამწვარი ნაკელი.

ნაკელის, როგორც სასუქის ნიადაგში შეტანის ვადებს და წესს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საგაზაფხულო კულტურის ქვეშ და ანეულზე ნაკელი უნდა შევიტანოთ ძირითადი ხვნის წინ და აზოტის მაქსიმალურად შენარჩუნების მიზნით შეტანისთანავე უნდა ჩაიხნას ნიადაგში, პირველ რიგში.

გაზაფხულზე ნაკელის შეტანა დასაშვებია ისეთ ფართობებზე, რომლებიც დაკავებული იყო შემდგომითი ნათესი რომლებიც შუალედური კულტურებით და განკუთვნილია საშემდგომო თავთავიანებისათვის.

მოსავლიანობის მატების საქმეში განსაკუთრებით კარგ შედეგს იძლევა ნაკელის და მინერალური სასუქის ერთობლივი შეტანა.

ნაკელის მოქმედების ხანგრძლივობა საშუალოდ 4-5 წლამდის გრძელდება.

**იოსებ სარჯველაძე**

**სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**



# კვირტით და კალმით მყნობა

მყნობა არის ერთი მცენარის გადანერგვა მეორეზე და შედგება ორი კომპონენტისაგან სანამყენის და საძირისაგან.

მყნობა გამოიყენება შემდეგი მიზნებისთვის:

1. ისეთი კლონების შენარჩუნებისათვის, რომელთა გამრავლება ვეგეტაციური გამრავლების სხვა წესით ძნელია ან სასარგებლო არ არის;

2. საძირის დადებითი თვისებების გამოსაყენებლად. ზოგიერთ შემთხვევაში ჯიში შეიძლება ადვილად გამრავლდეს კალმით, მაგრამ უპირატესობა ეძლევა მის მყნობას ისეთ საძირეზე, რომლის ფესვთა სისტემასაც ახასიათებს სასურველი თვისებები. მაგალითად, ცუდ ნიადაგურ პირობებთან შეგუება, ავადმყოფობისა და მავნებლების წინააღმდეგ გამძლეობა, სასურველი ზრდის სიძლიერე და სხვა;

3. შუალედური სიძლიერის დადებითი თვისებების გამოსაყენებლად;

4. ჯიშის შესაცვლელად დიდ მცენარეებში ეს შეიძლება დაგვჭირდეს მაშინ, როდესაც ბაღი გაშენებულია ძველი ჯიშებით, რომლებზეც მოთხოვნილება აღარ არის, ან არაპროდუქტიული ჯიშებით;

5. შერჩეული ნათესრების მსხმოიარობის დასაჩქარებლად. ნათესარებმა შეიძლება მსხმოიარობა დაიწყოს 8-15 წლის შემდეგ. მყნობა კი აჩქარებს მსხმოიარობაში შესვლის დროს.



### კვირტით მყნობა

კვირტით მყნობა – მყნობის ისეთი წესია, როდესაც საძირეზე გადააქვთ კულტურული ჯიშის მხოლოდ ერთი კვირტი, ქერქის პატარა ფარით. შესრულების ტექნიკის სიმარტივისა და დამყნობილი კვირტების შეხორცების მაღალი პროცენტის გამო კვირტით მყნობა წარმოადგენს ხეხილის მყნობით გამრავლების ძირითად წესს.

კვირტით მყნობის შემდეგი წესები არსებობს:

- T-სებურ ჭრილში მყნობა;
- კვირტის მიჭდომით მყნობა;
- ორმაგი მყნობა შუალედური ფარით;
- რგოლით მყნობა;

კვირტით მყნობის ძირითადი ვადაა ზაფხული, თუმცა იგი შეიძლება ჩატარდეს გაზაფხულზეც. ზაფხულში მყნობა ბარში ტარდება 15 ივლისიდან 15 სექტემბრამდე. მთიან ზონაში კი – 1 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე.

პირველ რიგში, უნდა დაიმყნოს კურკოვანი კულტურები, შემდეგ კი – თესლოვანი.

გაზაფხულზე მყნობა ტარდება საძირეში წვენთა მოძრაობის დაწყების შემდეგ. გაზაფხულზე მყნობისათვის სამყნობი მასალა უნდა დავამზადოთ მცენარის მოსვენების პერიოდში და მყნობის დაწყებამდე შევინახოთ გრილ ადგილას. როგორც ზაფხულში, ისე გაზაფხულზე მყნობის წარმატებით ჩასატარებლად აუცილებელია რომ საძირე იყოს აქტიურ – სანამყენე კი (კვირტი, კალამი) მოსვენებულ მდგომარეობაში.

მყნობისათვის საჭირო კვირტი უნდა დამზადდეს ვირუსულ და სხვა საკარანტინო მავნებელი დაავადებებისაგან თავისუფალი, უხვმოსავლიანი ხეებიდან.

სამყნობად უნდა აიჭრას კარგად განვითარებული და მომწიფებული მიმდინარე წლის ნაზარდი, რადგანაც ყლორტის წვერსა და ბაზალურ ნაწილში კვირტები ცუდად არის განვითარებული, ამიტომ კალამს (სამყნობად აჭრილ ყლორტს კალამი ეწოდება) უნდა წაეჭრას თავი და ბოლო.

აორთქლების გამო გამოშრობის თავიდან აცილების მიზნით. კალამს აჭრისთანავე უნდა მოვაცილოთ ფოთლის ფირფიტა, ყუნწის ნაწილი კი დავტოვოთ კალამზე. იგი საჭიროა კვირტის ჭრილობაში ჩასასმელად და შეხორცების პროცესის შესამოწმებლად.

ასეთი წესით დამზადებული კალამი უნდა გავახვიოთ სველ ტილოში და მყნობამდე შევინახოთ გრილ, ნესტიან ადგილას. უკეთესია, თუ კალამს დავამზადებთ უშუალოდ მყნობის ან მის წინა დღეს.

- T-სებურ ჭრილში მყნობა

T-სებურ ჭრილში მყნობის დროს თანამიმდევრულად უნდა შესრულდეს შემდეგი ოპერაციები: თ-სებური ჭრილის გაკეთება საძირეზე, კვირტის აჭრა, კვირტის ჩასმა ჭრილში და შეხვევა.

მყნობის დროს მყნობელი მარცხენა ხელში იჭერს კალამს ისე, რომ კვირტის წვერები მისკენ იყოს მიმართული, კვირტი კი, რომელიც უნდა აიჭრას, ეყრდნობოდეს გაშლილ საჩვენებელ თითს.

კვირტის აჭრა იწყება კვირტის ფუძიდან 0, 5 სმ-ით ქვევით. აღნიშნულ ადგილს, კალმის პერპენდიკულარულად ვადებთ დანის პირს და მცირე დაწოლით ვჭრით კანს, შემდეგ დანა გადაგვაქვს ჰორიზონტალურ მდგომარეობაში და ვეწევით ჩვენსკენ და მარჯვნივ, ისე, რომ კვირტის აჭრაში მონაწილეობა მიიღოს დანის მთელმა პირმა (კანის ჩაჭრა ხდება დანისპირის ფუძით, აჭრა კი მთავრდება დანის წვერთან).

აჭრა უნდა დამთავრდეს კვირტის წვერიდან 0, 5-1 სმ ზევით (აჭრილი კვირტის სიგრძე შეიძლება იყოს სულ 2, 5-3 სმ, სიგანე 3-4 მმ). კანის ნაწილს, რომელიც კვირტს მოყვება, ფარი ეწოდება. აჭრილ კვირტს ქერქის ფართან ერთად შეიძლება გაყვეს მერქნის პატარა ნაწილი კვირტის მოპირდაპირე მხარეზე.

აჭრილ კვირტს იჭერენ დატოვებული ყუნწით და, რაც შეიძლება სწრაფად სვამენ საძირეზე გაკეთებულ თ-სებურ ჭრილში. თ-სებური ჭრილის გაკეთების დროს ჯერ უნდა შესრულდეს ვერტიკალური (თ-ს ფეხი), შემდეგ კი – ჰორიზონტალური ჭრილი. თუ ფარის ზედა ნაწილი ვერ ჩაეტია ჭრილში, ზედმეტი ნაწილი იჭრება დანით.

ჭრილობა სწრაფად იხვევა პოლიეთილენის სახვევით (1 სმ, სიგანისა და 25-30 სმ. სიგრძის ლენტით). შეხვევა იწყება ზევიდან ქვევით ისე, რომ ჭრილობა მთლიანად დაიფაროს. ჭრილში ჩასმული კვირტი კი დაუფარავი უნდა დარჩეს.

მყნობიდან 12-15 დღის შემდეგ ამოწმებენ ნამყენი კვირტის შეხორცებას. თუ კვირტზე დატოვებული ყუნწი გაყვითლდა და ჩამოვარდა, ან ჩამოვარდა თითის შეხებით, კვირტი შეხორცებულია. თუ დაჭკნა და არ ჩამოვარდა, შეხორცება არ მომხდარა და საჭიროა ხელმეორედ მყნობა.

- კვირტით მიჭდობით მყნობა

კვირტის მიჭდობით მყნობას მიმართავენ მაშინ, როდესაც საძირეს რაიმე მიზეზით კანი არ ძვრება, ასეთი მყნობისათვის კვირტის აჭრა ხდება ზემოთ აღწერილი წესით, საძირეს კი აათლიან კანს ისეთი ზომითა და ფორმით, როგორც აჭრილ კვირტს აქვს, ანათალზე მიადებენ აჭრილ კვირტს და შეახვევენ.

- რგოლით მყნობა

რგოლით მყნობა გამოიყენება კაკლისა და ზოგიერთი სხვა სქელკანიანი კულტურების სამყნობად. ამ დროს სპეციალური ორპირიანი დანის საშუალებით (პირებს შორის მანძილი უნდა იყოს 25-30 მმ) საძირეზე შემოაჭრიან და შემოაცლიან კანს რგოლის სახით, მის ადგილზე სვამენ სანამყენედან აჭრილ იმავე ზომის კვირტიან კანს.

მყნობის შემდეგ ჭრილობა უნდა დაიფაროს ბაღის მალამოთი და შეიხვეს. მყნობისათვის საჭიროა, რომ საძირესა და სანამყენეს ჰქონდეს ერთნაირი დიამეტრი, დასაშვებია ოდნავ მსხვილი სანამყენე.

### კალმით მყნობის წესები

კალმით მყნობის წესები, ტექნიკური სიძნელეებისა და სხვა ნაკლოვანებათა გამო, გამოიყენება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში. მაგალითად, გადაზრდილი საძირეების დასამყნობად, არასასურველი ჯიშების შესაცვლელად და სხვა.

კალმით მყნობის მრავალ წესს შორის გავრცელებულია და მეხილეობაში გამოიყენება:

- კოპულირება (ჩვეულებრივი და გაუმჯობესებული);
- კანქვეშ მყნობა;
- გაპობით მყნობა;
- მყნობა გვერდით განაჭერში;
- ხიდით მყნობა.

- კოპულირება

ჩვეულებრივი კოპულირება იშვიათად გამოიყენება. მეხილეობაში გაუმჯობესებულ, ანუ ენაკებით კოპულირებას მიმართავენ ზამთრის მყნობის დროს.

ამისათვის საძირესა და სანამყენეს ალმაცერად ჭრიან, გადანაჭერზე უკეთებენ ენაკებს და აერთებენ ერთმანეთთან ისე, რომ საძირისა და სანამყენეს კამბიალური ქსოვილები ერთმანეთს დაემთხვეს. მყნობისათვის აუცილებელია, რომ საძირე და სანამყენე ერთნაირი სისქის იყოს.

- კანქვეშ მყნობა

მყნობის ეს წესი სწრაფია და ადვილად შესასრულებელი. იძლევა გახარების მაღალ პროცენტს. მისი გამოყენება შეიძლება 2, 5-დან 30-სმ-მდე და მეტი დიამეტრის მქონე ტოტების გადასამყნობად.

მყნობა შეიძლება ჩავატაროთ მაშინ, როდესაც მცენარეში წვენთა ძლიერი მოძრაობა იწყება, რადგან იგი აადვილებს კანის აძრობას. მყნობისათვის საძირეს გაჭრიან სწორედ, ჩასერავენ სიგრძეზე და კანს ფრთხილად აცილებენ მერქანს, შემდეგ კალამს ირიბად წაუთლიან ქვედა ნაწილს და ჩასვამენ კანის ქვეშ. ჭრილობას დაფარავენ ბაღის მალამოთი და მჭიდროდ ახვევენ.

- გაპობით მყნობა

მისი გამოყენება უკეთესია ისეთ მცენარეებზე, რომლებსაც ახასიათებთ მერქნის სწორფენოვანი წყობა. ამ დროს მიიღება სწორი ნახლეჩი. მყნობა შეიძლება ჩატარდეს მოსვენების ნებისმიერ პერიოდში, მაგრამ უკეთესი შედეგები მიიღება ადრე გაზაფხულზე, კვირტების დაბერვის პერიოდში.

მყნობის ჩასატარებლად საძირეს გადაჭრიან, გადანაჭერს მოასუფთავებენ ბასრი დანით და ფრთხილად გააპობენ. შემდეგ კალმის ბოლო ნაწილს 3-4 სმ სიგრძეზე ჩაჭრიან სოლივით (სოლის გარე მხარეს უნდა დარჩეს კანის ზოლი) და ჩასვამენ განახლეჩში ისე, რომ კალმისა და საძირეს კანი და კამბიალური ქსოვილები დაემთხვნენ ერთმანეთს.

თუ საძირე სქელია, მოპირდაპირე მხარეს შეიძლება ჩაისვას მეორე კალამი. მყნობის დამთავრებისთანავე გადანაჭერი უნდა დაიფაროს ბაღის მალამოთი და შეიხვეს მჭიდროდ.

- მყნობა გვერდით განაჭერში

მყნობისათვის საძირეზე აკეთებენ ირიბ ჩანაჭერს 20-300კუთხით. სანამყენე უნდა იყოს 7-8 სმ სიგრძის და ჰქონდეს ორი-სამი კვირტი. სანამყენეს ქვედა ბოლოზე აკეთებენ 2, 5 სმ-ის სიგრძის სოლს. კალმის ჩასმის შემთხვევაში, საძირე და სანამყენე მჭიდროდ ერთდებიან, შემდეგ ჭრილობა უნდა დაიფაროს ბაღის მალამოთი.

- ხიდით მყნობა

ხშირად მცენარეს უზიანდება შტამბი და დედატოტები. დაზიანებული ადგილების აღდგენის მიზნით მიმართავენ ხიდით მყნობას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ დაზიანებული ადგილის ქვემოთ და ზემოთ კანს სერავენ, აჭრიან შესაფერისი სიგრძის კალამს, ცერად წაუთლიან თავსა და ბოლოს, ჩასვამენ გაკეთებულ ჭრილობაში, დაზიანებულ ადგილს გაასუფთავებენ, დაფარავენ ბაღის მალამოთი და შეახვევენ შეხორცების შემდეგ წვენთა მოძრაობა აღდგენილი იქნება კალმებით.

- მიახლოებითი მყნობა

მიახლოებითი მყნობის დროს სამყნობი კომპონენტები ერთმანეთს უერთდებიან დედა მცენარისაგან მოუცილებლად. ერთ-ერთი კომპონენტის (სანამყენეს) დედა მცენარისაგან მოცილება შეიძლება მხოლოდ სრული შეხორცების შემდეგ.

ეს წესი, ძირითადად, გამოიყენება ძნელად შესახორცებელი მცენარეების სამყნობად.

სამყნობ მცენარეებს ზრდიან ერთმანეთის გვერდით ქოთნებში ან სხვა ჭურჭელში. საძირესა და სანამყენეს გვერდებზე ერთ სიმაღლეზე უკეთდებათ ანათალები, ამ ადგილებს აერთებენ ერთმანეთთან და მჭიდროდ ახვევენ. შეხორცების შემდეგ, საძირეს გადაჭრიან შეხორცებული ადგილის ზევით, სანამყენეს კი შეხორცებული ადგილის ქვევით.

**ავტორები: ზაირა ტყებუჩავა;
ცოტნე სამადაშვილი;
გივი ცაგურიშვილი;
ალექსანდრე გათენაძე.**

**სოფლის მეურნეობის საფუძვლები**

# ფუტკრის კვება

ფუტკრის ბუნებრივ საკვებში მოიაზრება: ნექტარი, თაფლი, წყალი, მარილი, მინერალური მარილები, ცხიმები, ყვავილის მტვერი და ჭეო, აგრეთვე ფუტკრის რძე, ხოლო ხელოვნურ საკვებში – კანდი, სხვა და შემადგენლობის ინვერსიული საკვები.

ფუტკრის ხელოვნური კვება ორი მიმართულებით ტარდება: გამაღიზიანებელი კვების სახით დედა ფუტკარში კვერცხისდების ინსტიქტის გასაძლიერებლად, საჭიროების შემთხვევაში ზაფხულის ბოლოს ზამთრის სამარაგო თაფლის შესავსებად.

როცა ადრე გაზაფხულის გამაღიზიანებელ კვებაზე ვლაპარაკობთ, თვით სახელწოდებიდან გამომდინარე, იგულისხმება მხოლოდ სასიკეთო მიზნით ფუტკარში გაღიზიანების გამოწვევა, რასაც მოჰყვება სკის შიდა ტემპერატურის აწევა და შესაბამისად დედა ფუტკრის მიერ კვერცხისდების მომატება.

გამაღიზიანებელი კვების მიზანია გავუსწროთ ბუნებრივ პროცესებს და ჭარბი სასაქონლო პროდუქციის მისაღებად მთავარ ღალიანობას შევახვედროთ დაჩქარებული ტემპით გაძლიერებული ოჯახები.

გამაღიზიანებელ კვებას ატარებენ მაშინაც, როცა ზაფხულში, ზოგიერთ რეგიონში, ადგილობრივი კლიმატური პირობების გამო (წალკა, დმანისი, სტეფანწმინდა, ფშავ-ხევსურეთი და სხვა) დედა ფუტკარი ადრე წყვეტს კვერცხიდებას. საფუტკრის გადამთაბარებას ღალიანობის ადგილზე მეფუტკრე ვერ ახერხებს.

ხშირად ივლისის ბოლოს – აგვისტოში დაბადებული და დაზამთრებაში შესული თაობა განსაკუთრებით თბილი ზამთრის პირობებში ფიზიოლოგიური ცვეთის გამო გაზაფხულამდე ვერ ცოცხლობს, ან სუსტი კონდიციით იზამთრებს, ამიტომ შემოდგომის თაობის გამოსაყვანად და ახალი თაობით ბუდის უზრუნველსაყოფად მეფუტკრე აგვისტოს თვეში დიდი სიფრთხილით (ქურდობის თვიდან ასაცილებლად) ატარებს გამაღიზიანებელ კვებას.

გამაღიზიანებელი კვების ჩატარება არაფრით არ არის დაკავშირებული ბუდეში საკვების მარაგის ნაკლებობასთან და მიზანშეწონილია შემოდგომის თაობის გამოსაყვანად კვება მაშინაც კი, როცა ბუდეში სამარაგო თაფლის სიჭარბეა.

ათვისებული სიროფი ხმარდება ფუტკრის სასიცოცხლო ფუნქციებს, ხოლო სამარაგო თაფლი იზოგება და ფუტკარი მას ხარჯავს ბარტყის გამოსაკვებად. საგაზაფხულო გამაღიზიანებელი კვებისათვის მეფუტკრე ერთ წილ შაქარს ხსნის 1 ლ. ქაფქაფა წყალში ე. ი. ამზადებს 1:1-ზე შაქრის სიროფს, რომელშიც შაქრის კონცენტრაცია სანექტრეებში არსებული ნექტრის კონცენტრაციისთან თითქმის იდენტურია.

როგორც ნექტარი, ისე შაქრის სიროფი შეიცავს რთულ შაქრებს, რომლთა ასათვისებლად ფუტკრის საყლაპავი ჯირკვლის მიერ გამოყოფილი ფერმენტი – ინვერტაზა მათ შლის მარტივ შაქრებად: გლუკოზად და ფრუქტოზად. ამ პროცესით ამოქმედებული ფუტკრის მთლიანი ორგანიზმი გადადის აქტიურ მდგომარეობაში, რაც იწვევს ბუდეში ტემპერატურის აწევას და შესაბამისად დედა ფუტკარში კვერცხისდების მომატებას.

თუ მეფუტკრეს გადაწყვეტილი აქვს მთავარ ღალიანობას შეახვედროს ფუტკრის ძლიერი ოჯახები, გამაღიზიანებელი კვება უნდა დაიწყოს მთავარ ღალიანობამდე 40-45 დღით ადრე, რომელთაგან 21 დღე მუშა ფუტკრის იმაგო სტადიას, 18 დღე კი მათ მოღალე ფუტკრად ჩამოყალიბებას სჭირდება.

შაქრის სიროფი ფუტკარს ეძლევა ნელთბილ მდგომარეობაში ჩარჩოს საკვებურით, ფიჭაში ჩასხმით, ან თანამედროვე პირობებში ყველაზე პოპულარული მეთოდის პოლიეთილენის ერთჯერადი პარკით.

საგაზაფხულო გამაღიზიანებელი კვების დროს ბარტყის ინფექციური დაავადებების – ევროპული და ამერიკული სიდამპლეების საწინააღმდეგოდ, პროფილაქტიკის მიზნით, სიროფთან ერთად ორჯერადად აძლევენ ერთ-ერთ რეკომენდირებულ პრეპარატს. სიროფი ეძლევა თითო მიცემაზე 1 ჩარჩო ფუტკარზე გაანგარიშებით 100-150 მლ. რაოდენობით, რის შემდეგ აგრძელებენ სიროფის მიცემას პრეპარატის გარეშე ორი-სამი დღის ინტერვალით, 5-6-და მეტჯერაც. სიროფის მიცემას წყვეტენ ღალიანობის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე.

საკვების ყოველი ულუფის მიღების შემდეგ და ახალის მიცემისას, გარეთ გამოტანაზე ფუტკარმა ენერგია რომ არ დახარჯოს, გაღრღნილი პოლიეთილენის პარკი მეფუტკრემ უნდა მოაცილოს.

გამაღიზიანებელი კვების შედეგად ოჯახში გამოიყვანება ფუტკრის ახალი თაობა, ოჯახი გაძლიერებული შეხვდება ღალიანობას და დიდი რაოდენობით დააგროვებს თაფლს. თუ მეფუტკრემ გამაღიზიანებელი კვების ჩატარების ვადები არ გაითვალისწინა და ადრე გაზაფხულიდან (მაგ. თებერვლიდან) თბილი ამინდების დადგომისთანავე (რომელსაც დროებითი ხასიათი აქვს) დაიწყო სიროფის მიცემა დედა ფუტკარი იწყებს კვერცხისდების მომატებას და ზამთარგამოვლილი ფუტკარი გადაირთვება ბარტყის გამოზრდისათვის საჭირო ტემპერატურის შექმნაზე. ამის შედეგად ჩქარდება მისი ფიზიოლოგიური ცვეთა.

გარდა ამისა, დღის მეორე ნახევარში ადრე გაზაფხულისათვის დამახასიათებელი ტემპერატურის მკვეთრი დაცემა აიძულებს ფუტკარს შეკრას გუნდი, რის გამოც გუნდის მოსაზღვრე ფიჭებზე ახლად ჩაკვერცხილ და ბარტყიან ჩარჩოებს ისინი ვეღარ ათბობენ და ბარტყი იღუპება. ხანდახან დღის თბილ მონაკვეთში მეფუტკრეები ნახულობენ საკვების ასათვისებლად თაფლიან ფიჭებზე გადასულ და სამწუხაროდ მიყინულ ფუტკრებს, რომლებმაც სიცივისაგან ვერ მოასწრეს გუნდში დაბრუნება.

თუ მეფუტკრემ გამაღიზიანებელი კვება ღალიანობის წინ ჩაატარა, ამ პერიოდშიც, რა თქმა უნდა, დედა ფუტკარი მოუმატებს კვერცხისდებას. ოღონდ ვიდრე ახლადდადებული კვერცხიდან ახალი თაობა დაიბადება და მოღალედ გადაიქცევა (ამას 40 დღე დასჭირდება), ღალიანობა უკვე ჩავლილია და მეფუტკრის მცდელობა სიროფის მიცემით ოჯახი გაეძლიერებინა და მიეღო უხვი სასაქონლო თაფლი – უქმად ჩაივლის.

პრაქტიკაში ვხვდებით ისეთ შემთხვევებსაც, როცა ფუტკარი არახელსაყრელი კლიმატური პირობების გამო სამარაგო თაფლს ვერ აგროვებს და ზამთარში შიმშილისაგან არ დაეხოცოს, სამარაგო თაფლის შესავსებად ატარებენ გამოკვებას. სკიდან იღებენ ზედმეტ ჩარჩოებს და დიდი ულუფებით ერთჯერადად 2-3 ლიტრის რაოდენობით მარაგის შევსებამდე 2:1-ზე მომზადებულ სიროფს აძლევენ. სამარაგო თაფლით ბუდეების უზრუნველსაყოფად მეფუტკრე ფუტკრის გამოკვებას იწყებს შემოდგომამდე ივლის-აგვისტოს თვეში და ამთავრებს არაუგვიანეს სექტემბრის შუა რიცხვებამდე. სამარაგო თაფლი რომ არ ჩაკრისტალდეს ფიჭაში, 10 კგ. შაქარს უმატებენ 3 მლ. ძმარმჟავას, ან 1 ლ. სქელ სიროფში 1-2 გ. ლიმონის მჟავას, ან 9 კგ. შაქარზე 1 ჩაის კოვზს ღვინის მჟავას.

ცნობილია, რომ უღალობისას, ივლის-აგვისტოში, ფუტკარი საკვების ძიების პროცესშია, უშინაარსოდ ფრენს და ფიზიოლოგიური ცვეთის გამო ზამთრამდე ვერ ინარჩუნებს სიცოცხლეს, ამიტომაც სამარაგო თაფლის შესავსებად ეს თაობა უნდა დავასაქმოთ და მათში დარჩენილი ენერგია ამ მიზნით გამოვიყენოთ.

წინასწარი გაანგარიშებით მიცემული სამარაგოდ სქელი სიროფის ათვისების შემდეგ მისი თაფლად გადამუშავება ფუტკარმა რომ მოასწროს, მეფუტკრემ უნდა გააგრძელოს 1:1-ზე მომზადებული სიროფის მიცემა 1-2-ჯერ 0, 5-0, 5 ლიტრის რაოდენობით, რათა ფუტკარს შეუნარჩუნონ აქტიური მდგომარეობა და ბოლომდე მიიყვანოს ფიჭებში ჩასხმული ნექტარის თაფლად გადამუშავების და გადაბეჭდვის პროცესი.

სამარაგო თაფლის შესავსებად მისაცემი სიროფის რაოდენობა უნდა განსაზღვროს თვით მეფუტკრემ ფუტკრის ოჯახის მდგომარეობის გათვალისწინებით ისე, რომ 1 ჩარჩო ფუტკარზე მოდიოდეს არანაკლებ 2 კგ თაფლი.

სიროფის ათვისების შემდეგ მეფუტკრე სექტემბრიდან იწყებს ბუდეების თანდათანობით შევიწროებას, ხოლო იმ ადგილებში, სადაც დედა ფუტკარი აგვისტოში წყვეტს კვერცხისდებას ბუდეების შევიწროება აგვისტოდან უნდა დაიწყოს. ტიხრის გარეთ ათავსებს თაფლიან ფიჭებს მასზე მსხდომი ფუტკრიანად.

ფუტკარი დაიწყებს ტიხრის გარეთ ჩარჩოებიდან საკვების შეტანას ბუდის შიგნით და მოთხოვნილების მიხედვით მის განთავსებას ფიჭებზე, ისეთნაირად, რომ თაფლი გუნდში შესული ყველა ფუტკრისათვის იყოს ხელმისაწვდომი. შემდეგ, რაცა ფუტკარი ბუდეს მოიწყობს და საკვებით უზრუნველყოფს, დათბუნების დროც დგება (თუ ოჯახი ძლიერი, გვერდით დათბუნებას არ საჭიროებს).

სკის ძირი თუ სუფთაა, ტიხარს გარეთ სივრცეში შეგვიძლია დავტოვოთ თაფლიანი ან მშრალი ფიჭები, ან შევინახოთ ისინი ფუტკრისათვის მიუწვდომელ ადგილზე. გვახსოვდეს, რომ ბუდის შევიწროება ყოველთვის უნდა უსწრებდეს დათბუნებას.

დათბუნების და შევიწროების ერთდროულად ჩატარება უარყოფითად მოქმედებს ფუტკარზე, რადგანაც თუ ბუდის შევიწროებას დაზამთრების დროს მოვახდენთ, ბუდის მოწესრიგებას ფუტკარი ვერ მოასწრებს და ფიჭაზე ხელმისაწვდომ ადგილებზე თაფლს ვერ განათავსებს, საკვებით არ იქნება უზრუნველყოფილი. შიმშილის გამო ეს მისი დახოცვის მიზეზი ხდება.

წყარო: futkara.gweb.ge /stili daculia/

# კ ა ლ ა მ ო ე დ ა ნ ი



## ფიფქის მოტანილი იმედი

ზამთარი ახალი დამდგარი იყო, მაგრამ მისი სუსხი მთელს სხეულში მატანდა. ვჩქარობდი სახლში მისვლას, უკვე ბნელოდა. გზა კი უფრო და უფრო გრძელდებოდა და არ მთავრდებოდა.

როგორც იქნა, მივაღწიე სახლამდე. მაგრამ... ჯანდაბა, როგორც ყოველთვის, გასაღებს ვერ ვპოულობ. დაახლოებით ნახევარი საათი ვიდექი გარეთ, სანამ მთელი ჩანთა გადავჩხრიკე. სიცივისგან გაყინული თხელი თითებით ძლივს გავაღე რკინის უზარმაზარი შავი კარი, რომლის ბავშვობიდანვე მეშინოდა.

ზღურბლს გადავაბიჯე, ჩანთა ძირს მივაგდე და ჩემ სავარძელში მოვიკალათე, როგორც სიცივისგან გაყინული ფისო.

მარტო ვარ. სრულიად მარტო. მაგრამ ამ დროს სიმარტოვის თავისუფლებაა.

ბავშობიდან არ მიყვარს ხალხმრავლობა, თითქოს ყველა ცდილობს ჩემს სამყაროში შემოიჭრას. ამიტომ, მარტო ყოფნა მირჩევია. დრო მრჩება ფიქრისთვის. ჩემთვის ვიცინი გიჟივით ისეთ რალაცეებზე, რომელიც ზუსტად ვიცი, რომ ვერ მოხდება, ან არ მოხდება.

არ მიყვარს, როცა რამეში საზღვრებს მიწესებენ და შეზღუდული ვარ. თავად ვწყვეტ, სად გადის ზღვარი და სად უნდა გავჩერდე. თავისუფლება მიყვარს, რომელსაც დღითიდღე ვგრძნობ და ჩემს გიჟურ ფანტაზიებს და აზრებს ხორცს ვასხამ.

იმის თქმა კი დანამდვილებით შემიძლია, რომ არასოდეს ვარ ჩვეულებრივ ხასიათზე: ან ძალიან მოწყენილი ვარ, ან ძალიან ბედნიერი. მიზეზებს კი რა გამოლევს.

ფორტეპიანოს გავხედე – გამახსენდა, როგორ არ მიყვარს ეს საშინელი რაღაც. თუმცა, რა მალე ვისწავლე ბეთჰოვენის „ელიზე“ და როგორ მიხაროდა, კარგად რო ვუკრავდი!.. დედა სულ თითებზე მეფერებოდა; მომავალი პიანისტი იზრდებაო. მაგრამ ვერ, ვერ კი არა, არ გავამართლე დედას იმედები... და საბოლოოდ მარტოსულ და საკუთარ თავში ჩაკეტილ მხატვრად ვიქეცი... რომელიც ყველას თავს არიდებს, არავისთან უნდა საუბარი და კონტაქტი. ვზივარ ჩემს პატარა ოთახში საათობით, შავ ფანქარს ვიღებ და ხატვას ვიწყებ. თავიდან არასოდეს არ ვიცი, რა გამოვა და საბოლოოდ რა იქნება. ხელის მოძრაობებს მივყვები, თითქოს თავად გეუბნება რა ადგილას – რა მონასმები უნდა გააკეთო, რომ საბოლოოდ მიიღო ის შედეგი, რაც გინდა. ვხატავ ბევრს, დაუსრულებლად. ჩემი წარმოსახვა ფურცელზე გადმომაქვს და დიდ ხანს ვაკვირდები. მერე?! მერე აღარ მომწონს და თავიდან ვიწყებ. ეს ერთი დიდი წრეა, რომელსაც დასასრული არ აქვს და არც არასოდეს ექნება.

დანებება არ მჩვევია – სანამ დასახულ მიზანს არ მივაღწევ, არასოდეს ვჩერდები. სულ იმას ვიძახი, რომ მე ეს შემიძლია, და არვის დავაყენებ ჩემზე წინ, არავის მივცემ იმის უფლებას, რომ თავისი ჩრდილის ქვეშ მომიქციოს! დავიღალე, აღარ მინდა ამდენი ბრძოლა, ამდენი გულის ტკენა და ნერვიულობა! მივხვდი, რომ მე აღარასოდეს ვიქნებოდი ის, ენერგიით სავსე და ბედნიერი, როგორიც ადრე. აღარასოდეს შევეხებოდი ფორტეპიანოს და დავუკრავდი დედასთვის „ელიზეს“. მივხვდი, რომ დროთა განმავლობაში ყველაფერი შეიცვალა და სხვანაირი გახდა. ზამთრის საშინელი სუსხი და სიბნელე სულ უფრო და უფრო მარწმუნებდა ამ ყველაფერში. ფანჯრიდან გავიხედე და მოულოდნელად ფიფქის ფანტელებმა დაიწყო ცვენა, მივხვდი რომ ეს მოვლენა აუცილებლად კარგის დასაწყისი იქნებოდა და ყველაფერი გამოსწორდებოდა. ახალი წელი ხომ ის პერიოდია, როცა ყველა ცუდს წარსულში ვტოვებთ და კარგის იმედით ვეგებებით მომავალს! ნათქვამია: რა განწყობითაც შეხვდებით ახალ წელს, მომდევნო წელიც ასეთივე იქნებაო, ვუყურებდი თოვლის ფანტელებს როგორ ცვიოდნენ ფარფატით, ირგვლივ ყველაფერს ათბობდნენ და ვგრძნობდი რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა!

**ნინი ბადურაშვილი**

## კარიერა, როგორც განყენებული ცნება, არაფერს ნიშნავს...

გადავწყვიტე, გაგაცნოთ ერთი შეხედვით ჩვეულებრივი და ამავდროულად გამორჩეული ქალი, რომელმაც შეცვალა ჩემი მსოფლმხედველობა და არა მარტო ჩემი. ის არის მეოცნებე და რეალისტი, მიწიერი და ზეციერი, ამაღლებული გრძნობებით და პოეტური სულით. იგი – ყვარლის მეორე საჯარო სკოლის ისტორიის პედაგოგი ელისო ბუშელაშვილია, რომელიც ინტერვიუზე დაგვთანხმდა.

**– რას ნიშნავს თქვენთვის ლექსის წერა?**

– ეს, ჩემთვის შემოქმედებითი პროცესია და შესაბამისად, სიამოვნებას მანიჭებს, ცოტა სიამაყესაც. ეს პროცესი, ჩემი ბუნებრივი მოთხოვნილებაა.

**– რომელი წლიდან წერთ?**

– დაახლოებით 9 წლიდან.

**– ლექსის წერა რაიმემ „გაიძულათ“, თუ ერთ დღესაც მუზა გეწვიათ და მიხვდით, რომ ეს ისაა, რაც გჭირდებოდათ?**

– მე მყავდა, ძალიან კარგი ქართულის პედაგოგი. ერთხელ, მან მოგვცა დავალება, უნდა დაგვეწერა საახალწლოდ რაიმე პატარა ლექსი. სწორედ იმ დღიდან მივხვდი, რომ ეს ის პროცესია, რომელიც დიდ სიამოვნებას მანიჭებს.

**– ჰქონდა თუ არა თქვენს რომელიმე ლექსს აღიარება?**

– არ მიყვარს ამ თემაზე საუბარი, მაგრამ გეტყვით, რომ ლიტერატურულ კონკურს – „საბა“-ზე ნომინანტებს შორის ვიყავი.

**– რას ნიშნავს თქვენთვის ახალი წელი?**

– სიახლეს, საწყისს. მე ბევრი ახალი წელი მაქვს.

**– რომელს ანიჭებთ უპირატესობას; კარიერას თუ ადამიანობას?**

– არ მინდა ბანალურ კითხვა – პასუხს დაემსგავსოს, მაგრამ გეტყვით, რომ ადამიანობას. ვფიქრობ, რომ კარიერა , როგორც განყენებული ცნება, არაფერს ნიშნავს. ის ადამიანთა კეთილდღეობისთვის უნდა იქნას გამოყენებული.

**– წინასაახალწლოდ რას ურჩევდით საზოგადოებას, ქართველ ერს?**

– სულიერ სიმშვიდეს, რწმენას რომ ყველაფერი კარგად იქნება!

**ხატია ბალახაშვილი**

## ახალი წელი ჩემი ფანჯრიდან

სადაცაა კარზე მომადგება ახალი წელი. და რა?! რას მოიტანს ახალს?! არც არაფერს... ყველაფერი ძველებურად დარჩება.... ჩემთვისაც, იმისთვისაც, იმის იქით იმათთვისაც და ა.შ. ალაგ-ალაგ ვიღაცას თუ გაუმართლებს. მე კი, რა.. ისევ ისე ათას რამეს დავგეგმავ, ათასი რამის სწავლას, გაკეთებას, მაგრამ მოვა კიდევ ერთი, ახალი წელი და ამ ჩემს წარმოსახვით გეგმაში თითქმის ყველა პუნქტს წარმოსახვით იქსს დავუსვამ...

სადაცაა უკვე მოვა. გარეთ საახალწლო სურნელი ტრიალებს. სახლში კი, გოზინაყის და საცივის. მე კიდევ... მე გული მწყდება. ასე მომდის ხოლმე. უკულმართად მემართება: ყველას გული სწყდება, რაღაც რომ მთავრდება(მაგ. ახალი წლის დღესასწაულები), მე კი – რომ იწყება მაშინ მწყდება გული, იმიტომ რომ ყველაფრის დასაწყისს დასასრული აქვს. მეც დასაწყისშივე მწყდება გული, იმიტომ რომ დასაწყისს აღარ ველი, დასასრულს ველოდები. სანამ დასაწყისს ველი – მიხარია, რადგან დასასრულს ვერ ვხედავ, დასასრულს დასაწყისი ეფარება. აი დასაწყისი კი რომ მოვა და გვერდით დამიდგება, შემდეგ ჩემს წინ მხოლოდ დასასრული ჩანს.

საერთოდ, ასეთ რაღაცებზე გული ბავშვებს სწყდებათ, მაგრამ ვინ თქვა რომ მე დიდი ვარ? ჩემს თანატოლებს, მეგობრებს, ან სულაც სხვებს რომ უთხრათ ბავშვი ხარო, ეწყინება, დაგცინებს, შეიძლება გეჩხუბოს კიდეც; ეგ რატომ მაკადრეო. ამიტომაც არიან ბავშვები, ამ ნათქვამზე მკვეთრი რეაქცია რომ აქვთ. ამიტომაცაა რომ გავიძახი, მე ბავშვი ვარ მეთქი!

ყოველთვის მგონია ხოლმე, რომ ეს ახალი წელი სხვებზე უკეთესი იქნება, განუმეორებელი, და მართლაც ასე მეჩვენება, თუმცა რამოდენიმე დღის შემდეგ, როდესაც საახალწლო განწყობა გადამივლის, ვხვდები, რომ საოცარი არაფერი მომხდარა და მე ჩვეულებრივ, როგორც ყოველთვის, აღვნიშნე ახალი წელი. ჯერ სახლში შევხვდი, შემდეგ მეგობარ – ნათესავები მოვიარე, ვსვი, ვჭამე, უფრო მეტი ვსვი, ვიცეკვე...

ასეთია ჩემი ახალი წლები, განსაკუთრებულად ჩვეულებრივი და ჩვეულებრივად განსაკუთრებული... ყველაფერი ასეა, მაგრამ ამაშიც არის რაღაც კარგი. ახალი წელი, ახალი დასაწყისი .... როცა იმედი აღარ გაქვს, სწორედ მაშინ ნახავ ახალი წლის სასწაულს, უბრალოდ ამის უნდა გჯეროდეს!

**მარიამ ბერიაშვილი**

## ობლის შობა



ახალი წელი ახლოვდება... ირგვლივ ყველაფერი თეთრია... ჩემს გარშემო ყველა ფუსფუსებს, ხალხი ემზადება ძველი წლის გასაცილებლად და ახალი 365 დღის გასატარებლად. აგერ ის ქალი და ბავშვი... საშობაო ბაზრობიდან მომავალნი... ლურჯი თვალებით, დიდი ბეწვის ქურქითა და შარფით, ერთ ხელში ყუთები უკავია, მეორე ხელში კი ბავშვის მკლავი უჭირავს. დედას მახსენებს ეს ქალბატონი, ყოველთვის მინდოდა, ჩვენც ასე გვევლო, თოვლში, მაღაზიიდან მაღაზიაში, საჩუქრებით ხელში და ერთად ვყოფილიყავით. მცივა... ხელები გამეყინა, გუშინს აქეთ არაფერი მიჭამია... მათხოვრობა არ მინდა...მუშად ვმუშაობ, ზოგს შეშას ვუჭრი, ზოგს – ტვირთის გადატანში ვეხმარები, მაგრამ ახლა, სიცივის გამო, ყველაზე მეტად ჭირს მუშაობა.

დილით ქუჩის ბოლოს მოხუცი კაცი იდგა, ხელში ფურცლები, წიგნები და ფანქრები ეჭირა, მხატვარი იყო... დახმარება მთხოვა... ასეც მოვიქეცი. თუმცა მას ფული არ ჰქონდა, რომ მოეცა, სანაცვლოდ ფურცლები და ფანქარი გამოვართვი.

ახლა სხვისი სახლის კიბეზე ვზივარ, რადგან ჩემი არ მაქვს. ვზივარ და ვწერ... ვწერ იმის შესახებ, თუ როგორ ვცხოვრობ მე, როგორ ვცდილობ არსებობას, როგორ მიყვარს გარემო და როგორ მინდა ყველა ბედნიერი იყოს მაშინ, როცა მე საბურავში დანთებულ ცეცხლზე ვითბობ ხელებს. დიახ, მე ვწერ იმიტომ , რომ ჩემში ცოცხლობს იმედი და ვიცი, ოდესმე ჩემი ცხოვრება შეიცვლება, რადგან ჩემთვისაცაა ახალი 365 შანსი. ეს ფურცელი კი გამახსენებს ჩემს წარსულს, რადგან ვერ შევძლო ხელი ვკრა მას, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება დახმარება. დიახ, ახალი წლის ღამეს, სურვილები ხდება, და მეც აქ ვარ, ცივი ხელებით, თბილი გულითა და იმედით, რომ ღრუბლები გაიფანტება და ცაზე ჩემი ოცნების ვარსკვლავი გაბრწყინდება!

**ლულუ ტაბატაძე**

## ჩვენი ახალი წელი



დედა სამზარეულოში ფუსფუსებს. მეც მის შორიახლოს უდარდელად ვიწყებ ჩემი საყვარელი სალათის მზადებას. დედა თავისი საფირმო ხაჭაპურისთვის ცომს ზელს. მამა კი დილიდან ინგრედიენტებით გვამარაგებს. შემოირბენს ყოველ ერთ საათში, დააწყობს პარკებს და დედას შედგენილი ახალი სიით მიემართება მაღაზიებისკენ.

ჩემს ოჯახში ყოველ ახალ წელს დიდი ჟრიამულია. ვცდილობთ, მხიარულება დავიბედოთ. როდესაც მოვრჩებით კერძების მზადებას, იწყება ყველაზე ტკბილი წუთები. ნამცხვრების დაკრემვა. აი ამის შემდეგ იწყება ნამდვილი ზეიმი. სახელდახელოდ იშლება ულამაზესი სუფრა... ყველა ერთად ვუსხდებით მაგიდას და ვვახშმობთ. ამ დროს განვლილ ბედნიერ წუთებს ვიხსენებთ და მოგონებებით ვტკბებით. ძალიან მიხარია, რომ ჩემს პატარა ოჯახში მშობლები სიხარულით სავსე თვალებით მიყურებენ. მგონი, ეს სიამაყის გრძნობა უნდა იყოს. როდესაც უკვე ვრწმუნდები, რომ ჩემით ხარობენ, ათმაგად მეტ ბედნიერებას ვგრძნობ. ნადიმი გვიანობამდე გრძელდება. მე ემოციების მორევში ვარ ჩათრეული...გადავწვები სკამის საზურგეზე და მგონია უკვე დიდი ვარ... ვწრუპავ შამპანიურს და ბედნიერების წუთებით ტკბობას განვაგრძობ. საუბარში ისე მალე გადის დრო, რომ ვერც კი ვამჩნევთ, თორმეტი საათი როდის მოვიდა. სასწრაფოდ ვამზადებთ მაშხალებს, რომლებიც უკვე ერთი კვირაა ელოდებიან, როდის გაფრინდებიან ცაში და ულამაზეს ფოიერვერკად იქცევიან. გავდივართ გარეთ და თავისუფლებისკენ ვუშვებთ ჩვენს მაშხალებს. ხმაურზე შეშინებული ბობი ოთახში შერბის და ნაძვის ხის ქვეშ იმალება. ჩვენ ღიმილიანი სახით გავყურებთ ცას... ალბათ გვერდიდან რომ მენახა ეს მომენტი, დავინახავდი გაცისკროვნებულ თვალებს, რომლებშიც ალბეჭდილა ფოიერვერკი – პატარა ციმციმა ვარსკვლავებად და ციცინათელასავით ციალებდნენ ჩვენს თვალებში მანამდე, სანამ ბოლო ხმაც არ მიწყდება...

ვხვდები რომ ბედნიერი ვარ... ძალიან ბედნიერი!

**ნანკა ყანჩელიშვილი**

## ჩემი ლეგენდა

ფრაზები ხარ საოცარი
ლექსების,
ღვთაება ხარ
თვით ქმნილება ღმერთების.
შენ მუზა ხარ
პოეტების, მწერლების,
შედევრი ხარ
მშვენიერი ფერების...
ნათება ხარ,
შენ უდაბნოს წყურვილის,
სიგიჟეც ხარ
და სინაზეც სურვილის...
აფეთქება,
ზღვის ტალღების ქუხილი,
ლეგენდა ხარ...
სიყვარულის დუმილი.

**გიორგი ჯანჯუხაძე**

## ახალი წელი მოდის...

ამბობენ: ახალ წელს რა განწყობითაც შეხვდები, მთელი წელი ასე გაივლისო.

ჩემი ცხოვრების ყოველი ახალი წელი არ იწყება იმ გრძნობით, რომ თითქოს სავსე ვარ...

იწყება იმით, რომ ვფიქრობ: ბედნიერებისთვის საყვარელი ადამიანები არიან საჭირო...

ჩემს ოჯახშიც არის ბანალური წინასაახალწლო მზადება, განწყობა...

მაგრამ ... გრძნობ, რომ ვიღაც გაკლია...

ის ვინც ცოცხლებზე მეტად გიყვარს...

ის ვინც უკვე რამდენი წელია, შენთან აღარ არის...

საერთოდ აღარ არის...

ისიც იცი, რომ ვერავინ ავსებს მის ადგილს...

ასეთი განწყობა თანმდევია მთელი წლის განმავლობაში, თუმცა არის მომენტები, როცა ბედნიერი ვარ...

იმით, რომ ვინც მყავს, იმათთან ერთად ვხვდები ახალ წელს.

ეს კი ყველაზე მთავარია ამ ცხოვრებაში. გილოცავთ!

**ხატია ველიჯანაშვილი**

# ყველაფერი ისეთი რეალური იყო....



ნეტავ, ჩვენთან როდის ჩამოთოვს? როდის წამოვა ციდან თეთრი და სათუთად მოფარფატე ფიფქები? უკვე დეკემბერის ბოლოა, მაგრამ ერთი ფანტელიც არ ჩანს... რა აზრი აქვს ახალ წელს თოვლის გარეშე? ნაძვის ხეც დავდგი, სახლიც მოვრთე, საახალწლო ფუსფუსია, მაგრამ...

თოვლის გარეშე საახალწლო განწყობა უფერულდება. განა მარტო ბავშვებს უნდათ თოვლი? დიდებსაც ძალიან უყვართ.დიდებულია, დეკემბრის სუსხიან ამინდში კარგად რომ ჩამობარდნის, მეორე დღეს გულწითელა ჩიტები რომ გამოიშლებიან, ლობეებზე დასკუპდებიან და ჟრიამულობენ, ტკბილი ჭიკჭიკით აღვიძებენ დედაბუნებას: გამოდით ნახეთ როგორი თოვლი მოსულაო... . ჩვენც დიდ-პატარა გავიშლებით თეთრად დაფენილ ცივ თოვლში , სადაც არავის არ სცივა, ერთმანეთს ჩვენი სიხარულით და ბედნიერებით ვათბობთ, მახსენდება ეს ყველაფერი და გული სევდით მევსება... ნუთუ წელს არ გვექნება ასეთი ზამთარი? ვერ ვიგუნდავებთ, ვერ ვიციგავებთ და თოვლის პაპებს ვერ გავაკეთებთ? ამ ფიქრებში გართულმა ფანჯარაში გავიხედე. დავინახე, როგორ მოიქუფრა მზიანი ცა და წვრილი ფანტელები წამოვიდა ციდან... ნელ ნელა უფრო იზრდებოდა და იზრდებოდა გვირილებივით ლამაზი ფიფქები... ხის ტოტები მალევე დაიფარა თოვლით... მიწაზეც ფაფუკი თეთრი ხალიჩა გაჩნდა, შორიდან ჩიტების ჭიკჭიკიც მომესმა.. ლობიდან ლობეზე სკუპდებოდნენ, დაფრინავდნენ და მხიარულად ჟრიამულებდნენ. ქუჩაში ხალხი გამოიშალა. ყველა იცინოდა და ხარობდა. მეც გადავწყვიტე გარეთ გასვლა, მაგრამ.....

უცებ ყველაფერი განაცრისფრდა, მჭახე ხმა გავიგონე და სწრაფად გამოვფხიზლდი.

იატაკზე ჩაის ფინჯნის ნამსხვრევები მიმოფანტულიყო... კვლავ ფანჯარაში გავიხედე და.....

ნუთუ დამესიზმრა? არადა, ყველაფერი ისეთი რეალური იყო, ისეთი ხელშესახები...

პლედი მოვიხსენი, ფრთხილად მოვკრიფე ჭიქის ნამსხვრევები და კიდევ ერთხელ გავხედე მთებს, რომლის ფერდობებზეც გვირილის ფურცლებად მოფენილი თოვლი სარკესავით ირეკლავდა მზის სხივებს დეკემბრის მიწურულს...

**ნინო ზურაბიშვილი**



# ორი მეკვლე

ღამეა, ტყე დაბარდნილა თოვლით, ხეებს ტანი და ტოტებიც აღარ ეტყობათ... აი ამ დროს ყველა თავის ოჯახშია ჩაკეტილი და რაღაცას ფაციფუცობს. ყველა ოჯახს უნდა, რომ სიხარულითა და დოვლათით შეხვდეს ახალ წელს.

მაშინ პატარა ვიყავი. ახალი წლის წინა ღამე იყო, ერთი სული მქონდა როდის გათენდებოდა ახალი წლის დილა.

ის დღეც დადგა.. ჩემი პატარა სოფელი გამორჩეულად ლამაზია ზამთარში. ირგვლივ დათოვლილი ტყეები და მთებია, შუა გულში ჩემი სოფელია. ერთი მოხუცი ბებო იყო, რომელსაც ძალიან ვუყვარდი და მეც მიყვარდა. მოხუც მეუღლესთან ერთად ცხოვრობდა. ყოველთვის მისი ოჯახის მეკვლე ვიყავი. იმ ახალი წლის დილითაც დედამ ჩამილაგა კალათში ტკბილეული და მეკვლედ გამგზავნა. ბებოს ჩემი სტუმრობა ისე ძალიან გაუხარდა, სიხარულისგან ცრემლები გადმოსცვივდა. გულში ჩამიკრა, დამლოცა და ჩახლეჩილი ხმით მითხრა:„აბა მე რა მაქვს რით დაგაბეროო“. გამოვემშვიდობე ბებოს და წამოვედი.

თოვლში ჩემს ნაფეხურებებს ვაკვირდებოდი. უ ცებ შევნიშნე, ეზოს ბოლოდან ძაღლი გამორბოდა ჩემსკენ. ძალიან შემეშინდა, მაგრამ მივხვდი, რომ საკბენად არ მოდიოდა. ძაღლმა წინიდან შემომიარა და ფეხთან თავისი პირით მოტანილი ქათმის კვერცხი დამიგორა. კვერცხი ავიღე და ბებოს მივურბენინე. ბებომ გამიღიმა და მითხრა: „ეს საჩუქარი შენ გეკუთვნისო“. ბებომ გაიხარა რომ იმ გონიერმა ძაღლმა, რომელიც მისი ოჯახის მეგობარი იყო, ასეთი ორიგინალური საახალწლო საჩუქარი გამიკეთა.

**ნინიკო ბერიაშვილი**

# საშობაო მინიატურა – იმედის თავშესაფარი

ქარიშხალია. ასეთ დროს მუშაობა ძალიან ჭირს. თუ არ ვმუშაობთ, გასაყიდები დაგვაქვს.

მე ყვითელ ვარდებს ვყიდი.არავინ ყიდულობს. ერთხელ პატარა ობოლი შემეცოდა და ყველა ვარდი ვაჩუქე. თავშესაფარში ხელცარიელი მივედი. გამროზგეს. იმ პატარას ისევ ვხვდები ხოლმე. გაყიდვაში მეხმარება. ვარდები თავშესაფრის სათბურისაა, გამორჩეულად მიყვარს. ვყიდით და ნაშოვნ თანხას შუაზე ვიყოფთ. არ ვიცი, ის ამ ფულს რას უშვრება, მაგრამ მე ჩემი ლარნახევრით ცხელ ქადებს ვყიდულობ. ნახევარს კიდევ შუაზე ვყოფ, რომ სხვა გაჭირვებული ბავშვები, მშიერი ძაღლებივით ქუჩის კუთხიდან რომ მიყურებენ ცოტათი მაინც გავახარო. სხვაგვარად არ შემიძლია, რადგან ვიცი, ასეთ მდგომარეობაში რას ნიშნავს ყოფნა. ქადის ნარჩენები, რომლებიც სიცივეში ხმება და იყინება, თავშესაფარში მიმაქვს, სადაც მშიერი პატარები მელოდებიან. ყველაზე ძლიერ ეს ქარიშხლიანი ღამე მიჭირს. შობის ღამე... ამბობენ შობის ღამეს სასწაულები ხდებაო. მე არ მჯერა სასწაულების. , ისინი არც არსებობენ! ზოგჯერ მგონია რომ ეს უბრალოდ ლეგენდაა, ერთი პატარა გოგონას გულში აგიზგიზებული იმედის შესახებ. მაგრამ როდესაც გშია, როდესაც იცი რომ, შენს გარდა კიდევ ოცდაათ ბავშვს მშიერი კუჭით სძინავს, რომელ სასწაულზეა ლაპარაკი?

არც ოჯახური იდილიის მჯერა. ზღაპრებში ყველაფერი ფერადია. როგორც ნაძვის ხის სათამაშოები. ჩვენს სათამაშოებს ფერები გადასვლია. მხოლოდ ერთი პატარა წითელი ბურთი დამრჩა. ეს ბურთი ბავშვიბიდან ჩემი მეგზურია. მჯერა რომ ყველა გაჭირვება მან გადამატანინა. რომ გავიზრდები მეც მინდა მქონდეს ერთოთახიანი სახლი თავისი პაწია ეზოთი, როგორზეც მარია მიყვებოდა ბავშვობაში, სადაც უზარმაზარ ნაძვის ხეს დავდგამდი და მოვრთავდი უამრავი ფერად-ფერადი სათამაშოთი.

თხუთმეტი წელია რაც ამ თავშესაფარში ვიზრდები. ამ ღამეს, მინდოდა ნამდვილი შობის ხილვა. . მსურდა გამეცნო სამყარო, მენახა ნამდვილი თბილისი ღამით ... თითქმის ყველაზე უფროსი ვარ, მაგრამ არა, აქ კიდევ მარიაა. ის მივლიდა, პატარა რომ ვიყავი. ერთადერთი რაც მსურდა, ჩვენი თავშესაფრის პატარების გახარება იყო. მე ეგეც ვერ მოვახერხე. მარია ყოველთვის მარიგებდა და ცხოვრების აზრზე მოვყავდი. ახლა კი ის თავის თავს აღარ ჰგავს. სასმელს მიეძალა ბოლო დროს. ხშირად ელანდება რაღაცეები. ზოგჯერ დედას მეძახის. ზოგჯერ თავად არის დედაჩემი. ზოგჯერ ჰგონია, რომ მოკვდა. ზოგჯერ, მეც ვეღარ მიხსენებს და სარკეში ჩახედვისაც ეშინია. ბედი აქვთ ამ პატარებს? ვერანაირ მომავალს ვერ ვხედავ. ასე ყველაფრისაგან მიტოვებულმა დავინახე როგორ სათუთად დაეფარფატა თეთრი ქათქათა ფიფქი ჩემი ძველი ფანჯრის რაფას. ეს პირველი ფიფქი ძველი ნაღვენთის შუქზე რაღაც არაამქვეყნიურ ფერს იღებს. ფერს სასწაულისას. ეს პირველი ფიფქია... პირველი თოვლი... პირველი განცდა ახლის დაუფლებისა და პირველი იმედი... იმედი სასწაულების არსებობისა...

ვიცი, ეს ღამე დაუვიწყარი იქნება. გავაღწევ თავშესაფარს და ვნახავ ცხოვრებას ქალაქში... ვნახავ ღამეს შობისას, დავიბადები ახლიდან, ახლიდან გავიცნობ სამყაროს... ჩემთვისაც დადგება ნამდვილი შობა...

**მარიამ კილასონია**

# საახალწლო ჩანახატი



ვერცკი წარმოიდგენთ, როგორ მიყვარს წინა საახალწლო ფუსფუსი ოჯახში..განსაკუთრებით 31 დეკემბერი.ეს არის დღე, როდესაც ყველას თავისი წილი საქმე აქვს.ბებია ტრადიციულად გოზინაყს აკეთებს, დედა კი ნამცხვრებს აცხობს.გარეთ თოვს, ულამაზესი დასანახია, ლამპიონის შუქზე მოფარფატე თოვლის ფიფქები..ოთახში ბუხარი ანთია, საახალწლო ნათურები ბრჭყვინავენ, ოთახის კუთხეში ნაძვისხე დგას, რომელზეც სხვადასხვა ფორმის და ფერის სათამაშოები ჰკიდია..იატაკზე კი ნაირ-ნაირი საჩუქრები აწყვია..თითქოს გეძახიან მოდი, მალე გაგვხსენიო.. მაგრამ 12 საათამდე დედა ამის საშუალებას არ გვაძლევს..კომპიუტერში საახალწლო სიმღერებია ჩართული, სამზარეულოდან კი მადისაღმძვრელი სუნი გამოდის..12 საათის მერე იწყება მხიარულება..ახალ წელს ყველა ჩვენს სახლში ვხვდებით..შემდეგ მეგობრები ერთად ავღნიშნავთ ამ ღირსშესანიშნავ დღეს და ვერთობით მთელი ღამე მაქსიმალურად..ჩემთვის ახალი წელი მაშინაა ყველაზე მაგარი, როდესაც ჩემს გვერდით მეგობრები არიან..მათ გარეშე ყველა დღესასწაული მოსაბეზრებელი და უინტერესო იქნებოდა. როგორ შეიძლება, რომ ახალი წელი არ გიყვარდეს? ეს არის დღე, როდესაც ერთიანდებიან ოჯახები, იკრიბებიან დიდი ხნის უნახავი მეგობრები, ივიწყებენ წყენას და ცხოვრებას ახალი შემართებით იწყებენ..თქვენ გჯერათ სასწაულების? მე კი..განსაკუთრებით ახალი წლის ღამეს..დიახ! მე მჯერა, რომ ახალი წლის ღამეს სასწაულები ხდება.

**მარიამ სიფრაშვილი**



# ფიფქები კი ციდან ცვივა შეუჩერებლად

ზამთრის ქარბუქის მოლოდინში ცხოვრების ჩვეულ რიტმს მივდევ კვალდაკვალ.

ჩუმ შრიალს ველი, ფიფქები რომ გაიფარფატებენ ჰაერში და ნაზად მღერიან.

იმ ყინულის ცქერა მიყვარს ყველაფერზე მეტად, მთვარის შუქს რომ ირეკლავს.

ხეებს სცივათ, ტოტებმოშიშვლებულნი, ამაყად მდგომ ნაძვებს გასცქერიან, ერთ ჯარად რომ შეკრებილან.

მათი შემხედვარე იფიქრებ, გაიღვიძებენ, თავმომწონედ გაიბზიკებიან და შუბლშეკრულები დაიწყებენ ისტორიების მოყოლასო.

ზამთარში ტყე ყველაზე ჩუმია, წყნარი.

თითქოს ყველას და ყველაფერს სძინავს.

პატარა ბავშვები, საწოლში წამომსხდარნი ოცნებობენ იმ თეთრწვერა ბაბუაზე, ბუხრიდან რომ რაღაცნაირად ძვრება და საჩუქრებს ტოვებს.

საახალწლო მელოდიები ყოველი მხრიდან ისმის ქალაქში.

ციგაზე წამომსხდარი, თბილად ჩაცმული გოგო-ბიჭები თოვლს ერთ ადგილას ტკეპნიან, ალბათ ეშინიათ დიდი დაღმართებისა.

სახლების ფანჯრებიდან გამოჭრილი სინათლის სხივები ქუჩას ეფინება.

ძაღლებიც განუწყვეტლივ დარბიან აქეთ-იქით, მათაც თამაში უნდათ.

ვაჭრების ხმაური აყრუებს ბაზრებს, დახლებზე რომ გადმოულაგებიათ მთელი თავისი ავლადიდება.

მაღაზიის ვიტრინებზე მოციმციმე ნათურები ბრჭყვიალებენ.

მეკვლე მთელს დღეს მომზადებას უთმობს, ბოლოსდაბოლოს სიხარული ხომ, სწორედ მან უნდა შეიტანოს ოჯახში.

უბნის ბიჭები, იმ სახლებთან სხედან, ყველაზე გემრიელი საჭმლის სურნელი რომ გამოდის. ალბათ ისინიც საჩუქრებს ელიან.

ფიფქები კი ცვივა ციდან, შეუჩერებლად.

აი, სწორედ ისე, როგორც ზღაპრებში, დიდ ჯადოსნურ სამყაროში.

არაფერია იმაზე ლამაზი, ვიდრე ანგელოზთა გალობა, თეთრად დათოვლილი სახლის სახურავები, ბავშვების ღიმილი და ნაძვისხის მოსართავები ახალ-წელს.

იმ ღამეს, როცა საათი თორმეტს ჩამოჰკრავს და ყველა ნატვრა ახდება, ყველა..

**„კალამოედანი“-ს სტუმარი –**
**მარიამ წიწრიაშვილი, 12 წლის**

# ნანატრი საჩუქარი

ქუჩებში მხიარული შეძახილებია, სახლის სარკმლიდან გამომავალი უამრავი ფერის ნათურების სხივები, განათებული ცა და ბედნიერი ადამიანები...

შობა ახლოვდება . ყველაფერი ისეთი განსხვავებულია...

ყველა თავისებურად ემზადება, თუმცა, ბევრმა დაკარგა სასწაულის მოლოდინის იმედი...

ვიღაც სარკმელთან დგას და არაამქვეყნიური სილამაზით ამკობს სასწაულს, რომლის რწმენა ჯერაც შერჩენია. ვიღაც ქუჩაში მიაბიჯებს და ლამაზად განათებული ქუჩით ტკბება. ვიღაც ვიღაცას ელოდება და მონატრების სიხარული მძაფრდება. ვიღაც გლოვობს, ვინც დიდი ხანია დაკარგა სასწაულის იმედი. ბავშვების ჟრიამულიც ისმის, რათქმაუნდა მათ ყველაზე მეტად სჯერათ სასწაულების. ამ ბედნიერ დღეს იმ იმედით მისცემენ თავს სასთუმალს, რომ დილით სასწაულისა და სიხარულის მომსწრენი გახდნენ.

პატარა სარკმლიდან სინათლე ჯერ კიდევ მოჩანს. ოთახი ლამაზადაა მორთული. პატარა ბიჭი იატაკზე დამჯდარა და ხელში ფერადი ნათურები უკავია . ტუჩებს ძალიან ნელა რბილად ამოძრავებს. თვალები დახუჭა და... ვინ იცის, რას ნატრობს...

ნაზად გაიღიმა, სახე გაუბრწყინდა და თვალები ფართოდ გაახილა. ნათურები იატაკზე დააწყო, სინათლე ჩააქრო და ფანჯარაზე შესკუპდა.



ქუჩას თვალი გააყოლა და ნაძვის ძირას პატარა ლეკვი შენიშნა. ფანჯრის მინას მიეყრდნო. თვალები უფრო ფართოდ გაახილა და სიხარულით ხმამაღლა შესძახა. ფრთხილად ჩამოვიდა ფანჯრის რაფიდან, ნელა გააღო კარი. დერეფანში სრული სიმშვიდე სუფევდა. საფეხურები სწრაფად ჩაირბინა, ნაძვთან მიირბინა და ლეკვი იქ დახვდა. მთლიანად თოვლში ჩაფლულიყო და წკმუტუნებდა. ფრთხილად აიყვანა...სიცივისგან კანკალებდა ლეკვი. ცოტახანს თოვლში იდგა, სიცივემ ბედნიერების მორევიდან უცებ გამოარკვია... სახლში შეიყვანა, ბუხართან დასვა და გაუმასპინძლდა. სახელის მოფიქრებაზე დიდი დრო არ დასჭირვებია. ფერადი ნათურები ფანჯრის რაფაზე დააწყო. კუპერი თავის საწოლში ჩააწვინა და თვითონაც გვერდით მიუწვა. სიხარულის, ბედნიერების, სიყვარულის, სასწაულის, იმედისა და რწმენის გრძნობებმა ერთად იჩინა თავი. უსაზღვროდ ბედნიერი იყო.

– ნუთუ მართლა არსებობს სასწაულები?

ამ კითხვაზე პასუხი ბიჭს უკვე ჰქონდა.

– დიახ,არსებობს, მთავარია გწამდეს! – ჩაძინებამდე იმეორებდა ჩურჩულით....

**ლიკა მიხელიძე**

# სანდრო სეფაშვილი: დასანანია, რომ იგი აღარ არის ჩვენს შორის, აღარ გვესმის მისი ომახიანი ხმა და ვეღარ ვხედავთ მის ღიმილიან სახეს



ათი წელი შესრულდა, რაც უკანასკნელ გზაზე გავაცილეთ სანდრო სეფაშვილი, ჩვენი დაუვიწყარი სანდალა – კაცი უზადო გარეგნობით, ვაჟკაცური თვისებებითა და დაუდეგარი სულისკვეთებით აღსავსე, საიმედო და უღალატო მეგობარი, ყოველმხრივ დაფასებული და ღირსეული პიროვნება, რომელიც ამშვენებდა გარემოს, საზოგადოებას, თავის საფიცარ ყვარელს!

სანდრო სეფაშვილმა ჭეშმარიტად სამაგალითო და შინაარსიანი ცხოვრების გზა განვლო. უშრეტი ენერგიისა და გასაოცარი ცხოვრებისეული ალღოს წყალობით, რასაც თან ერთვოდა შესაშური ორგანიზატორული ნიჭი, როგორც მოქალაქემ და ნიჭიერმა სამეურნეო ხელმძღვანელმა, მან წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენი რაიონის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ღირსეული პიროვნებისა და სამაგალითო მამულიშვილის სახელით შემორჩა ისტორიას.

მოგონებათა თვალსაწიერი ათეულ წლებს ითვლის. ფიქრობ წარსულზე და შეუძლებელია ხსოვნაში არ ამოტივტივდეს სანდრო სეფაშვილის კოლორიტული სახე, რომელიც მეხსიერებას შემორჩა პიროვნებად, რომელშიც გაერთიანებული იყო ადამიანური სიკეთე, ვაჟკაცური სული, ხალასი ნიჭი, საქმისადმი ერთგულება და შეუპოვარი ხასიათი. სწორედ მისთვის დამახასიათებელი ეს შტრიხები განაპირობებდა მის კაცურ და საქმიან ღირსებებს, რის გამოც ყველა ხელმძღვანელი პოსტი, რომელიც მას ეკავა, თითქოს ბუნებრივად იყო მასზე მორგებული: ყველგან ჩანდა სანდრო, როგორც უნარიანი ხელმძღვანელი და სპეციალისტი, სანდრო – როგორც ყვარლის პატრიოტი, სანდრო – როგორც უზადო და თავგამოდებული მამულიშვილი.

სამაგალითო იყო როგორც პიროვნება და როგორც ხელმძღვანელი!

დასანანია, რომ იგი აღარ არის ჩვენს შორის, აღარ გვესმის მისი ომახიანი ხმა და ვეღარ ვხედავთ მის ღიმილიან სახეს!

აფსუს, რა დრო გასულა?

არადა, თითქოს გუშინ იყო, ამაყად რომ ჩამოივლიდა ხოლმე ყვარლის ქუჩებს, მეგობრებსა და ახლო ამხანაგებს მოუხმობდა თავისთან, „ქინძმარაულში“, ან სანადიროდ, ანდა სანადიმოდ, მას რომ სჩვეოდა ისეთ ლაზათიან სუფრაზე, შესაბამისი აკომპანიმენტის თანხლებით: ცნობილი მომღერალი და მისი უახლოესი მეგობარი ჯემალ ბუჩხრიკიძე თავისი განუყრელი ფანდურით და ომახიანი ქართული სიმღერებით, და რა თქმა უნდა, ჩვენი ხოშატა, სოლო სიმღერებით – „დუდუკო, ჩემო ტკბილო თილისმავ“ და „ცივ ზამთარში უსახლკაროდ“...

რამდენი რამ დაგვიტოვა ლამაზად და თბილად მოსაგონარი!

სანდრო ძალიან აქტიური და ამავე დროს ძალზე ფართო დიაპაზონის მოღვაწე იყო. ცხოვრების ყველა სფეროში ამბობდა თავის სიტყვას, როგორც იტყვიან, ყველგან იყო და ყველაფერს ასწრებდა. ახალგაზდრობის წლებში შესანიშნავი სპორტსმენი გახლდათ – ყვარლის „დურუჯის“ ფეხბურთელთა გუნდის ცენტრალური მცველი და გუნდის კაპიტანი. პარალელურად გამოდიოდა ყვარლის რაიონის ფრენბურთელთა ნაკრები გუნდის შემადგენლობაში, მის მეგობართან, თამაზ თოდუასთან ერთად. შემდგომში კი უკვე საზოგადოებრივ და სამეურნეო ასპარეზზე გამოიჩინა თავი.

1960 წელს იგი კომკავშირის ყვარლის რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს. შემთხვევითი პიროვნება რომ რაიონის ახალგაზრდობის ლიდერი ვერ გახდებოდა, ეს თავისთავად ცხადი და გასაგებია: გამორჩეული თვისებები უნდა ჰქონოდა – ინტელექტითა და ნიჭით დაწყებული, ოჯახიშვილობითა და გარეგნობით დამთავრებული. ასე იყო მაშინ, ყველაფერს ყურადღება ექცეოდა. სანდრო კი ყველა ამ თვისებით უხვად იყო დაჯილდოებული.

შემდგომში, გარკვეული წლების განმავლობაში იმყოფებოდა პარტიულ სამუშაოზე, რის შემდეგაც თავი გამოიჩინა, როგორც სამაგალითო სამეურნეო



ხელმძღვანელმა და უნარიანმა ორგანიზატორმა. მუშაობდა ყვარლის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს თავმჯდომარედ, მოძრავი მექანიზებული კოლონა №23-ის უფროსად, „ქინძმარაულის“ მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად, ხოლო 90-იანი წლების დასაწყისში, უკვე დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში, ეკავა ყვარლის რაიონის გამგებლის თანამდებობა. სადაც კი იმუშავა, ყველგან გამოირჩეოდა არასტანდარტული, მასშტაბური აზროვნებით, ენერგიული და გაბედული მოქმედებით, სიახლისაკენ მუდმივი სწრაფვით.თავისი პიროვნული თვისებებით, აზროვნებისა და საქმიანობის წესით სანდრო სეფაშვილი გამოკვეთილი და აღიარებული ლიდერი გახლდათ, ამ ტერმინის პირდაპირი მნიშვნელობით!

და მაინც, უნდა ითქვას, რომ სანდრო სეფაშვილი, სპეციალობით სწავლული აგრონომი, მოწოდებით მშენებელი გახლდათ. იგი თითქმის ორი ათეული წელი ედგა სათავეში ყვარლის სამშენებლო ორგანიზაციებს – „საკოლმშენს“ და მმკ №23-ს. ამ სფეროში განსაკუთრებულად წარმოჩინდა მისი სამეურნეო-ორგანიზატორული ნიჭი. დასახელებულ ორგანიზაციებს იმ პერიოდში მოწინავე პოზიციები ეკავათ მთელი საქართველოს მასშტაბით. ასეთივე წარმატებული იყო მისი მოღვაწეობა „ქინძმარაულის“ მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის პოსტზე, როცა ეს მეურნეობა ერთ-ერთი ფლაგმანი გახლდათ ყვარლის რაიონში, როგორც მევენახეობის, ისე მეცხოველეობისა და მარცვლეულის წარმოების დარგში.

სამსახურებრივი და სამეუნეო საქმიანობის კვალდაკვალ, მას არასოდეს ავიწყდებოდა სხვა საზოგადოებრივი მოვალეობები. წლების განმავლობაში იგი სათავეში ედგა რაიონის ფეხბურთის ფედერაციას და სიცოცხლის ბოლომდე სპორტის თავგადაკლულ ქომაგად დარჩა. მისი პატრონაჟისა და ყურადღების გარეშე არ ჩატარებულა ყვარლის „დურუჯის“ ფეხბურთელთა გუნდის არც ერთი კალენდარული მატჩი. დაუვიწყარია ის ამაგი, ყურადღება და თანადგომა, რასაც იგი იჩენდა რაიონის ფრენბურთელთა ნაკრები გუნდის მიმართ, რომლის მიერ 70-80-იან წლებში საქართველოს და საბჭოთა კავშირის მასშტაბით მიღწეულ დიდ წარმატებებში მისი ფასდაუდებელი წვლილიც იყო ჩაქსოვილი. ახალგაზრდობის წლებში თავად შესანიშნავ ფრენბურთელსა და ფეხბურთელს, სხვაგვარად მოქცევა არც შეეძლო, რადგან სპორტი მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო.

მისი პატრიოტული სულისკვეთებისა და ეროვნული ტრადიციებისადმი ერთგულების არაერთი მაგალითის გახსენება შეიძლება. მაგალითისათვის, – ყვარლის „საკოლმშენში“ მუშაობის პერიოდში იგი წლების განმავლობაში საკუთარი ინიციატივით და ხარჯებით ინახავდა და აფინანსებდა ქართული ხალხური სიმღერების ბავშვთა ფოლკლორულ ანსამბლს.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია მისი დამოკიდებულება ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ქრისტიანული სალოცავების მიმართ. სხვათაშორის, სანდროს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მეზობელ აზერბაიჯანშიც, ჩვენს ისტორიულ საინგილოში ძალიან ბევრი მეგობარი ჰყავდა და საკმაოდ დიდი გავლენაც ჰქონდა. ერთხელაც, კახის რაიონში სტუმრად ყოფნის დროს, მისი თვალთახედვის არეში მოხვდა უძველესი ქართული მართლმადიდებლური სალოცავი, ცნობილი ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესია, რომელიც სავალალო მდგომარეობაში იყო – ინგრეოდა! სანდრომ, როგორც გულანთებულმა მამულიშვილმა, უყოყმანოდ მიიღო გაბედული გადაწყვეტილება, ყვარელში დაბრუნდა თუ არა, დატვირთა ავტომანქანები სამშენებლო მასალებით, წაიყვანა ხელოსნები აზერბაიჯანში და ჩვენი საამაყო ქართული ტაძარი კაპიტალურად გაარემონტა! მაშინ, 70-იან წლებში, იმ საყოველთაო ულმერთობისა და ათეიზმის პერიოდში, ამის გაბედვას და გაკეთებას დიდი ვაჟკაცობა სჭირდებოდა. ჰოდა, სანდრო სეფაშვილმა, საკუთარი რისკის ფასად, შეძლო ამის გაკეთება, რადგან მის არსებაში ჭეშმარიტი ვაჟკაცისა და მამულიშვილის სული სუფევდა!

ცნობილი ამბავია ისიც, რომ 60-იანი წლების ბოლოს, ყვარლის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის გუმბათზე ჯვარი სწორედ სანდრო სეფაშვილმა დაამონტაჟებინა თავის ხელოსნებს. ამან საკმაოდ სერიოზული ვნებათაღელვა გამოიწვია რაიონის მაშინდელ ხელმძღვანელობაში, მაგრამ სანდრო, როგორც ყოველთვის, თავის გადაწყვეტილებაში შეუვალი იყო და უკან არ დაუხევია!

სანდროს სახელს უკავშირდება ასევე ყვარლის დასავლეთით, ე.წ. სამების ცერზე მდებარე წმიდა სამების ეკლესიის გაწმენდა ეკალ-ბარდისა და ხემცენარეებისაგან და თითქმის ნანგრევებად ქცეული სალოცავის რემონტისა და რესტავრაციის ორგანიზება. ასევე ზრუნავდა იგი ყვარლის შემოგარენში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ...

ამ სიტყვების დასტურად გამოდგება თუნდაც ის ფაქტი, რომ 1982 წელს სანდრო სეფაშვილი ისტორიისა და კულტურის ძეგლთა პოპულარიზაციისა და გრემ-ნეკრესის მუზეუმ-ნაკრძალის საქმიანობაში გაწეული ღვაწლისათვის დაჯილდოვდა საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების საპატიო სიგელით.

საოცრად ეთაყვანებოდა მშობლიურ მიწა-წყალს, იყო ჩვენი ბუნების, მთისა და ბარის ჭეშმარიტი მოტრფიალე, ქვეყანას ერჩივნა თავისი ყვარელი, დურუჯისა და ბურსის ხეობები, ყვარლის მთები, ილიას გორა... ბუნების წიაღში გავლა და ნადირობა ხომ მისი ჭეშმარიტი ჰობი იყო!

განსაკუთრებულად უყვარდა ჩვენი ცნობილი პოეტის ილო ბეროშვილის ლექსის ერთი სტროფი, რომელსაც ხშირად ექსპრომტად წაუმძღვარებდა ხოლმე სადღეგრძელოებს:

„ღვართქაფს ჰგავს ციდან მოხეთქილს,
ქართველი კაცის ბუნება,
ვის გაუგია, ვის უთქვამს
მის სულის დაძაბუნება!“

უყვარდა, რადგან ამ სტროფში ძალუმად არის გამოხატული ქართველი კაცის ხასიათი და ვაჟკაცური სულისკვეთება. აკი, თავიდან ასეთი იყო – დაუდეგარი, გაუტეხელი, სულით ძლიერი და გამტანი!

სხვა ყველაფერთან ერთად მან პირნათლად აღასრულა თავისი ადამიანური მისია და დანიშნულება სამშობლოს წინაშე: ჰყავდა სამაგალითო ქართული ოჯახი და დატოვა შესანიშნავი შთამომავლობა შვილებისა და შვილიშვილების სახით, რომლებიც ღირსეულად აგრძელებენ ოჯახის ტრადიციებს.

ასე იცხოვრა სანდრო სეფაშვილმა 75 წელიწადი. რა თქმა უნდა, დღევანდელი საზომებით ეს ბევრი არ არის, მაგრამ არც ცოტაა აქტიური საქმის კაცისთვის. ამიტომ არის, რომ ბევრი რამის გაკეთება მოასწრო სიცოცხლეში, ბევრი იღვაწა და ბევრსაც დაამახსოვრა თავი, როგორც ჭეშმარიტმა მამულიშვილმა ხატოვნად რომ ვთქვათ, იგი კაცურად მოევლინა ამ წუთისოფელს, კაცურად იცხოვრა და კაცურად წავიდა ამ ქვეყნიდან!

შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოში გამომავალი ცნობილი ჟურნალის „ჩვენ“ – 1999 წლის თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს გამორჩეული კოლორიტების სია, სადაც სანდრო სეფაშვილი, როგორც საქართველოს ერთ-ერთი კოლორიტი, დასახელებულია ისეთი ცნობილი და დიდი ადამიანების გვერდით, როგორებიც იყვნენ დოდო აბაშიძე, რეზო თაბუკაშვილი, რევაზ ლაღიძე, გიორგი შავგულიძე, იპოლიტე ხვიჩია,ეროსი მანჯგალაძე, აკაკი ხორავა და სხვანი. ამით ბევრი რამ არის ნათქვამი და კიდევ ერთი დასტურია, რომ სანდრო სეფაშვილი გახლდათ დიდად დაფასებული პიროვნება, ჭეშმარიტი მამულიშვილი და პატრიოტი, რომლის ბადალიც იშვიათად იბადება ამ წუთისოფელში და ვისი ხსოვნის წინაშეც მოკრძალებით უნდა მოვიხაროთ ქედი.

დასანანია, რომ ჩვენი დაუვიწყარი სანდალა აღარ არის ჩვენს შორის. ათი წელი შესრულდა უკვე, რაც აღარ გვესმის მისი ომახიანი ხმა, აღარ დააბიჯებს ყვარლის ქუჩებში ტანადობით და ვაჟკაცური იერ-სახით ესოდენ გამორჩეული ვაჟკაცი...

სანდრო სეფაშვილის, როგორც სანიმუშო მამულიშვილის მიერ დათესილი სიკეთის მადლი და კვალი ნათელი სამუდამოდ ჩაიბეჭდა იმ ადამიანების მეხსიერებაში, ვინც იცნობდა ამ ჭეშმარიტად ღირსეულ პიროვნებას და ვის ხსოვნაშიც არასოდეს გაფერმკრთალდება მისი ვაჟკაცური სახება!

უფალმა სიმშვიდე ნუ მოაკლოს მის სამარადჟამო განსასვენებელს!

**ალიმან ლაფაჩიშვილი**





# კაკო სეფაშვილის გახსენება

## ფარავდეს მის სულს ნათელი უფლისა და შუქი კელაპტრისა...



სუნთქვასავით სწრაფად გაირბინა ორმოცმა დღემ, რაც უკანასკნელ გზაზე გავაცილეთ უახლოესი მეგობარი, თანაგუნდელი და დაუვიწყარი ხიბლის კაცი კაკო სეფაშვილი, ყვარლის ღირსეული შვილი და ჩვენი საყვარელი გუნდის – „დურუჯის" შეუდარებელი მეკარე.

ძალიან გვიჭირს წარსულში მის შესახებ საუბარი და კიდევ უფრო გვიჭირს აწმყო მის გარეშე!

უსაზღვრო ტკივილით შეპყრობილნი ვწერთ ამ სტრიქონებს, უღრუბლო ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა მისი მოულოდნელი და უეცარი წასვლა ამ ქვეყნიდან. სიკვდილი ულმობელი და თავზარდამცემია ყოველთვის, მაგრამ განსაკუთრებით შემზარავი მაშინაა, როცა უახლოესი ადამიანისა და ძვირფასი მეგობრის სიცოცხლეს გართმევს. ამიტომაც გვიმძიმს გამკლავება იმ ტკივილთან, რაც მისმა გარდაცვალებამ მოგვაყენა.

ბედისწერა წინასწარ არასოდეს გვიგზავნის მაცნეს მოსალოდნელი უბედურების შესახებ, ამისათვის იგი საკმაოდ ჩუმი, ულმობელი და დაუნდობელია...

უცბად გამოგვეცალა ხელიდან ერთგული, უზომოდ შრომისმოყვარე და საიმედო მეგობარი. მართლაც ძალზე გულიანი და საოცრად შრომისმოყვარე გახლდათ, როგორც საერთოდ ცხოვრებაში, ისე ფეხბურთის მოედანზე. ამითაც ზედმიწევნით გამორჩეული იყო!

ბოლოს ჩვენი საერთო მეგობრისა და ახლობელი კაცის დაკრძალვის დღეს შევხვდით ერთმანეთს, ჭირის სუფრაზეც ერთად ვიყავით. მშვენიერ ხასიათ-



ზე იყო და არაფერი მოასწავებდა ასეთ ფატალურ დასასრულს. გვეუბნებოდა, 16 იანვარს 80 წელი მისრულდებაო და ამ თარიღის აღნიშვნას ვგეგმავდით. სამწუხაროდ, არსთა გამრიგემ სხვაგვარად განსაჯა... რას წარმოვიდგენდით, თუ ეს ბოლო შეხვედრა იქნებოდა ჩვენთვის. ის ღამე უკანასკნელი გამოდგა – გათენებისას ჩამოჰკრა ბედისწერის ზარმა...

ბუნებაშიც ხომ ასეა, უცებ მოგროვდებიან ღრუბლები, იელვებს, მეხი დაიჭექებს და ხე წაიქცევა... ასე ყოფილა ცხოვრებაშიც!

კაკო სეფაშვილი იმ თაობის წარმომადგენელი იყო, თავდავიწყებით რომ უყვარდა ფეხბურთი და ყვარლის „დურუჯის" შემადგენლობაში მრავალწლიანი ასპარეზობით წარუშლელი კვალი დატოვა რაიონის ფეხბურთის ისტორიაში, როგორც სწორუპოვარმა მეკარემ.

მოწოდებით სპორტსმენი გახლდათ და ამით ძალიან ამაყობდა. საფეხბურთო კარიერის წლები იყო მისი ცხოვრების ყველაზე ლამაზი პერიოდი. თუმცა საზოგადოებრივ ასპარეზზეც თქვა თავისი წონადი და მაღალი სიტყვა, როგორც უნარიანმა ხელმძღვანელმა მუშაკმა და ყვარელზე უზომოდ შეყვარებულმა მამულიშვილმა.

წავიდა კაკოც... წავიდა თავის ადრე წასულ თანაგუნდელებთან და მეგობრებთან... მისი წასვლით ერთი ძალიან ლამაზი შტრიხი დააკლდა ჩვენს ქალაქს, მთელ ყვარლის რაიონს, სადაც დაიბადა, გაიზარდა და შესანიშნავ მოქალაქედ, საამაყო ყვარლელ კაცად ჩამოყალიბდა!

მოსაგონარი და გასახარებელი ძალზე ბევრი გვაქვს, თუმცა ეს მოგონებებიც ტკივილებს გვიახლებს უკვე. რა გასაკვირია, რომ მძაფრად გვენატრება ის წარსული, როცა ერთად ვიყავით ჭირსა თუ ლხინში, დაუვიწყარია მასთან ერთად გატარებული დღები, მასთან ურთიერთობის ეპიზოდები.

ბევრი ცრემლი გაჰყვა იმ ქვეყნად და ყველას, აქ დარჩენილებს, ის გვრჩება ნუგეშად, რომ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, ძალიან ბევრს რომ ჰყვარებია ამ ქვეყანაზე თურმე.

დიდი ტკივილით და სინანულით ერთხელ კიდევ ვემშვიდობებით ჩვენს საიმედო და განუყრელ მეგობარს. დასრულდა მისი ზამთარ-ზაფხული, სულ ერთ წუთში გაქრა ყველაფერი... სამწუხაროა, რომ ამიერიდან მხოლოდ ცივ ქვაში გაცოცხლებული მისი სურათის მოფერება მოგვიწევს მხოლოდ:

სასაფლაოზე ეფინება მწუხრი გვიანი,
საფლავის ქვასთან წვიმის
წვეთებს სვამენ იანი,
შეხედავ სურათს და მოგიხმობს
ხმა იდუმალი –
აქ განისვენებს ღირსეული ადამიანი!

შეუძლებელია მისი დავიწყება... ამ პატარა წერილსაც სათაურად გახსენება ჰქვია, რომელიც მის მრავალრიცხოვან სამეგობრო წრეს კიდევ ერთხელ მოაგონებს მის თავს, როგორც სანიმუშო ყვარლელ კაცს, რომელმაც ისეთი ცხოვრებით იცხოვრა, რომ ყველას კაცურ-კაცობის მაგალითი დაუტოვა და ვალმოხდილი წავიდა ამ წუთისოფლიდან. დიდი ილიას სიტყვები რომ გავიხსენოთ „ ის იყო კაცი, ვითა ეთქმის კაცსა კაცობა!"

ვაი, რომ არაფრის შეცვლა აღარ შეგვიძლია, მაგრამ გვჯერა, რომ სიკვდილი მაინც დამარცხდება, რადგან შვილები და მრავალრიცხოვანი შვილიშვილები ღირსეულად გააგრძელებენ ოჯახის ტრადიციებს და საუკუნოდ შეინახავენ მის ნათელ ხსოვნას.

ფარავდეს მის სულს ნათელი უფლისა და შუქი კელაპტრისა, ღმერთმა სიმშვიდე ნუ მოაკლოს მის სამარადისო განსასვენებელს!

**თანაგუნდელები:**
**ალიმან ლაფაჩიშვილი, ომარ სეფაშვილი, თამაზ ჩიტრეკაშვილი**



# როგორ ვებრძოლოთ გრიპს

**როგორც კი ვირუსი ორგანიზმში შეაღწევს, იწყებს მასთან ბრძოლას. დაზიანებული უჯრედები თავის დასაცავად გამოყოფენ ინტერფერონს, შემდეგ კი ჩნდება ვირუსის გამანეიტრალებელი ანტისხეულები. რაც უფრო აქტიურად მუშაობს იმუნიტეტი, მით სწრაფად უმკლავდება ორგანიზმი მტერს. თუმცა მას მაინც სჭირდება დახმარება. გრიპის პირველი სიმპტომებისთანავე (სისუსტე, ცხვირის სისველე, მაღალი ტემპერატურა, კუნთებისა და თავის ტკივილი) საჭიროა შეებრძოლოთ მას:**

**რეკომენდებულია წოლითი რეჟიმი.არ შეიძლება ფიზიკური დატვირთვა და საქმიანი შეხვედრები, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა. თავდაპირველად არ შეეცადოთ ტემპერატურის დაწევას, რადგან ის მიანიშნებს ორგანიზმის დამცველი მექანიზმის წინააღმდეგობაზე, ხოლო თუ ტემპერატურამ აიწია 38-38,5ºC-მდე (და ზევით), გამოიყენეთ სიცხის დამწევი საშუალებები.**

**მიიღეთ დღეში 2-3 ლიტრი სითხე (წყალი, თაფლიანი ან ჟოლოიანი ჩაი, ასკილის ნახარში, მორსი), რომელიც გამოდევნის ორგანიზმიდან ტოქსინებს და აუმჯობესებს მდგომარეობას.**

**გამოჯანმრთელებას ხელს უწყობს ზღვის მარილის ხსნარით ცხვირის გამორეცხვა, კარგია ყელში გვირილის ყვავილის ხსნარის გამოვლება, ევკალიპტის, სალბის, ჩაის ხის, ლავანდის ეთეროვანი ზეთების ინჰალაცია, რომელსაც აქვს ბაქტერიოციდული თვისება, ამშვიდებს ყელისა და ცხვირის გაღიზიანებულ ლორწოვან გარსს.**

**ორგანიზმმა უნდა მიიღოს ყველა ის ვიტამინი (A, E, C) რომლებიც დაეხმარება გრიპის ვირუსთან ბრძოლაში. ჭამეთ ხილი, ბოსტნეული, თევზი, მაგრამ უარი თქვით ყავასა და ალკოჰოლზე (რომლებიც ხელს უწყობენ ორგანიზმის გაუწყლოებას). რაციონში აუცილებლად გაითვალისწინეთ ნიორი და ხახვი, რომლებიც შეიცავენ ვირუსების გამანადგურებელ ფიტონციდებს, არ ჭამოთ მაძღრისად: ასე უფრო ნაკლებ ძალას დახარჯავს ორგანიზმი მის გადასამუშავებლად და უკეთესად შეებრძოლება ინფექციას.**

**ყოველ 2 საათში ერთხელ გაანიავეთ ოთახი, ამით თავს დაიცავთ ხელმეორედ დასნებოვნებისგან.**

# როგორ ვუმკურნალოთ გრიპს სახლის პირობებში?



ვირუსული დაავადება – გრიპი, რომელიც თავშეყრის ადგილებში, განსაკუთრებით წვეთოვანი გზით გადაიცემა, ნებისმიერი ქვეყნის უამრავ მოქალაქეს აწუხებს. არსებობს გრიპისგან თავდაცვისა და მისგან განკურნების ხალხური მეთოდები, რომლის შესახებაც „ამბიონს" ფარმაცევტი ნინო თომაშვილი ესაუბრა:

„იმისათვის, რომ წინასწარ დავიცვათ თავი გრიპოზული სიმპტომებისგან და გრიპისგან, აუცილებელია შევასრულოთ შემდეგი პირობები:

მოერიდეთ თავშეყრის ადგილს ან ხალხმრავალ ადგილებში იარეთ პირბადით.

ხალხური მედიცინის მკურნალობაში ფართოდაა ცნობილი გრიპის საწინააღმდეგო საშუალებები.

გრიპის პროფილაქტიკის მიზნით სასურველია ცხვირის ირგვლივ გაჭრილი ნივრის წასმა. ასევე, კარგია, თუ დილით უზმოზე პატარა ნივრის კბილს გადავყლაპავთ, შეგვიძლია შევჭამოთ კიდეც. სასარგებლოა, თუ მოვახერხებთ ყოველ დილით ცხვირის შიდა ნაწილის გამორეცხვას ნივრიანი წყლით, ან კალენდულას – გულყვითელას ნაყენით. ის დაგვიცავს გრიპისა და სხვა მრავალი ვირუსული დაავადებისგან.

გრიპოზული მდგომარეობისას უნდა ვიკვებოთ დღეში რამდენჯერმე რაც შეიძლება წვნიანი საკვებით, მაგალითად, ბოსტნეულის სუფებით ვეცადოთ ყოველი კვების შემდეგ მივიღოთ ჩაი.

ლიმონი და მალინა გახლავთ მცენარეები, რომლისგან მომზადებული ჩაიც ძალზე სასარგებლოა. მიირთვით ლიმონიანი ჩაი დღეში რამდენჯერმე, ყლუპ–ყლუპად. ასევე, მოამზადეთ მალინის ჩაი, გამოიყენება მალინის ნაყოფი და ფოთოლიც. მალინა, ამავე დროს, არის როგორც ოფლმდენი, ასევე შარდმდენი საშუალება. მალინის ჩაი 1 წლის ასაკის შემდეგ შეიძლება ყველამ მიიღოს. ბავშვებისთვის შეიძლება იყოს მცირე რაოდენობით შემტკბარი, დიდებისთვის კი უმჯობესია, თუ დაუმტკბარი იქნება, ან დაატკბობთ თაფლით რადგან შედეგი უფრო მეტია. ასევე, მიიღეთ ცაცხვის ჩაი დღეში 2-3 ჯერ 200 გრამის მოცულობით, ნაყენის სახით. 200 გრ. წყალზე საჭიროა 1 სუფრის კოვზი მასა – ცაცხვი ან მალინა. სამივე სახის ჩაი უნდა იყოს ნელთბილ მდგომარეობაში და შეგვიძლია მონაცვლეობით მივირთვათ, მაგრამ მოვერიდოთ გვიან დალევას, რადგან ღამის პერიოდში დისკომფორტი არ შეგვიქმნას. მალინის და ცაცხვის ჩაი, ამავდროულად, ხსნის თავბრუსხვევას, რომელიც გრიპს ხშირად თან სდევს.

გრიპისა და გაციების შემთხვევაში, გარდა ჩამოთვლილი სახის ჩაიებისა, უნდა მივიღოთ ძალიან ბევრი წვენი – კომპოტისა თუ ხილის სახით.

გრიპოზულ მდგომარეობაში თავის ტკივილისას ძალიან კარგია ლიმონის ქერქის შიდა ნაწილი. მისი საშუალებით საფეთქლებსა და წარბებს შუა ადგილის დაზელვა მოხსნის თავის ტკივილს.

ყელის ტკივილის დროს სასარგებლოა ლიმონის ცოცხალი სახით მიღება. ის უნდა გაწუწნოთ დღეში რამდენჯერმე და დარჩენილი მასა კი უკან გადმოვიღოთ. ასევე, შეგიძლიათ გვირილისა და კალენდულას ერთობლივი ნაყენი გამოივლოთ ყელში ყოველი ჭამის შემდეგ. გამოვლებიდან ნახევარი საათის განმავლობაში არ უნდა მიიღოთ არც სითხე და არც საკვები. ყელის ტკივილისას ეფექტური საშუალებაა გვირილის ჩაის დალევაც. ის, ამავე დროს, ხსნის მუცლის შებერვას, ფაღარათისგან გამოწვეულ დისკომფორტს და ამშვიდებს კიდეც.

მაღალ ტემპერატურაზე ორსულობის შემთხვევაში ან მოხუცებისთვის, რომლებსაც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ, შეუძლიათ მონაცვლეობით ცივ და ცხელ წყალში (ტემპერატურა ფეხს რომ ესიამოვნოს) ჩადგან ფეხები და ეს პროცედურა რამდენჯერმე გაიმეორონ. ბავშვებს კარგია, ძმრით (უმჯობესია ვაშლის ძმარი) დავუზილოთ ის ადგილები, სადაც გადის ვენური სისტემა, მაგალითად: სახსრების, იღლიის მიდამოებს, კისრის არეს, ფეხისა და ხელის გულებს ეს კარგი პრაქტიკაა. ძმრის მსგავსად ორგანიზმიდან ტემპერატურის გამოსაყვანად გამოიყენება კომბოსტოს ფოთლები და ისიც იგივე მეთოდით.

ხველისას კომბოსტოს ფოთლებს უნდა წავუსვათ ნატურალური თაფლი და მივიკრათ გულმკერდზე, ყელის ჩაღრმავებიდან დაახლოებით 1 მტკაველის მანძილზე. კომბოსტო როგორც კი დაჭკნება, თაფლიც შეიწოვება ორგანიზმში. კარგია თუ ამ პროცედურას დაწოლამდე ჩავიტარებთ, მაგრამ თუ ძლიერი ხველაა, შეგვიძლია დღეში ორჯერაც გავიმეოროთ. ძველი ხალხური მეთოდით ხველისას საუკეთესო საშუალებაა კომშის გულის ნახარში და მისი კომპოტის მიღება.

გრიპისას თვალებიდან ცრემლდენისას შესაძლებელია თვალის კალენდულას ან გვირილის ნაყენით გამორეცხვა.

ვირუსის გასვლის შემდეგ იმუნიტეტის გაუმჯობესების მიზნით უნდა მივიღოთ ფუტკრის რძე დღეში ერთხელ ენაზე დაწვეთებით – 1-2 წვეთი, ასაკის მიხედვით. ხოლო ფუტკრის მტვერს ვიღებთ 1 ჩაის კოვზს ერთ ჭიქა წყალზე. ასევე, კარგია, თუ გვექნება ვაზის ცრემლი, რომელიც გაზაფხულის პერიოდში, ვაზის გასხვლის დროს შეგვიძლია შევაგროვოთ. ის დღეში ორჯერ ენაზე დაწვეთებით უნდა მიიღოთ და აღადგენს ნივთიერებათა ცვლას ორგანიზმში, ამავდროულად აძლიერებს იმუნიტეტს. სითხე ინახება მაცივარში.

ყველანაირად უნდა ვეცადოთ, გრიპისას მდგომარეობა არ გაგვირთულდეს, მაგრამ თუ ვირუსს მცენარეული საშუალებებით ვეღარ ვერევით, პარალელურად ქიმიური პრეპარატებიც უნდა ჩავრთოთ".



# სიძლიერე ქვეყნისა ერის გამრავლებაშია



*საახალწლოდ გადავწყვიტე ინტერვიუ გამეკეთებინა ქალბატონთან, რომელიც წლების განმავლობაში ემსახურებოდა ჩვენი ერის გამრავლების საქმეს, ეს ქალბატონი ექიმი გინეკოლოგი მაყვალა ნოზაძეა, რომელმაც თავისი ახალგაზრდობის წლები შეალია ამ სამსახურს და დღეს პენსიაზეა. ქალბატონ მაყვალას პირადად შევხვდი და ვისაუბრეთ განვლილ წლებზე, ამ სისტემაში არსებულ პრობლემებზე. ქალბატონო მაყვალა, პირველ რიგში გილოცავთ 2019 წლის შემობრძანებას, გისურვებთ ჯანმრთელობას და ყველაფერს საუკეთესოს ოჯახთან ერთად, – და არ შემიძლია არ გკითხოთ:*

**– ერთ დროს ძლიერი და ენერგიული ქალბატონი კარგა ხანია აღარ ჩანხართ საზოგადოებაში, აღარ გიწევთ ხალხთან ურთიერთობა. რატომ „ჩაიკეტეთ“ საკუთარ სახლში?**

– მივესალმები გაზეთ „ყვარლის“ კოლექტივს და დიდი სიყვარულით მოგილოცავთ თქვენ და ყვარლელებს, ჩემს კოლეგებს დამდეგ ახალ წელს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს და რაც ძალიან სჭირდება ჩვენს ერს – გამრავლებას.

მართალია ძალიან გამიჭირდა სამსახურის დატოვება, მაგრამ მქონდა ჯანმრთელობის პრობლემები. ამჟამად ყველაფერს მოვერიე და ვემსახურები ჩემს ოჯახს – შვილებს, შვილიშვილებს და მყავს უკვე შვილთაშვილი.

**– იმ დროს ყვარლის რაიონული საავადმყოფოს გინეკოლოგიური განყოფილება, რომ იტყვიან, ერთ მუშტად შეკრული კოლექტივი იყავით და ერთგულად ემსახურებოდით პაციენტებს, მადლობა ყველას ამისათვის. როგორ გაიხსენებდით ერთად გატარებულ იმ წლებს? რა იყო თქვენი მუშაობის პერიოდში ყველაზე დასამახსოვრებელი?**

– ხშირად ვიხსენებთ მე და ჩემი კოლეგები იმ დროს – დღე და ღამეს ვასწორებდით რომ ყველაფერი მოგვესწრო, არ მოგვეკლო მშობიარისთვის ყურადღება, არ დაგვეკლო მოფერება და მოვლა-პატრონობა. ჩვენი უფროსი მეგობრის და მთავარი ექიმის, აწ განსვენებულ ბატონ ტელმან პიტიურიშვილის ხელმძღვანელობით. მართლაც რომ ერთ მუშტად შეკრული კოლექტივი ვიყავით, ხშირად ოჯახებშიც მივსულვართ და მოგვიგვარებია საჭირბოროტო საკითხები.

**– გინეკოლოგია ეს ისეთი სპეციალობაა, რომ ზოგჯერ ხდება ახალშობილის ნაადრევად მოცილება, ან მშობიარობა, რომელიც შეიძლება ფატალური შედეგითაც დამთავრდეს. თუ გქონიათ თქვენი მუშაობის პერიოდში ასეთი შემთხვევა?**

– მენატრება ის დრო, როდესაც მთელი კახეთის ზონიდან ავადმყოფები და მშობიარეები ჩვენთან მოდიოდნენ.

იყო ისეთი შემთხვევებიც, რომ ხუთივე ექიმი არ გამოვსულვართ სამშობიაროდან 3-4 დღე, თუ საქმე გვქონდა მშობიარობის გართულებასთან – ვაი რომ ყოველთვის კარგად არ მთავრდება მშობიარობა, მინატრია წამის გაჩერება, მაგრამ გვერდში გვედგა ჩვენი ტელმანი ექიმი, რომლის დახმარების და გამხნევების იმედი ყოველთვის გვქონდა.

**– როგორ გაიხსენებდით სტუდენტურ წლებს?**

– ჩემთვის ფეხმძიმე ქალის დანახვა დღესაც დიდ სიხარულს იწვევს. ეხლაც რომ დავდგე არჩევანის წინაშე, მხოლოდ მეან-გინეკოლოგის პროფესიას ავირჩევდი. სტუდენტური წლები მქონდა ძალიან ლაღი და ბედნიერი. ყველაზე ბედნიერ დროდ ეს წლები შემომრჩა.

**– ყვარლის შპს „უნიმედი კახეთს“ მხოლოდ ერთადერთი ექიმი-გინეკოლოგი ემსახურება, ქალბატონი მაია კიკოლაშვილი, ისიც მხოლოდ კონსულტაციის თვალსაზრისით, მშობიარობისთვის პაციენტმა სხვა რაიონში არსებულ სამედიცინო დაწესებულებას უნდა მიმართოს. თქვენ რაში ხედავთ გამოსავალს?**

– ძალიან მტკივა, რომ დღეს ყვარელს არ აქვს სამშობიარო სახლი, თუკი იმ უშუქობაში, ძველ შენობაშიც კი მთელი კახეთიდან მოდიოდნენ სამშობიაროდ და გადატვირთული იყო განყოფილება, რატომ ახლა არ უნდა ჰქონდეს ჩვენს მოსახლეობას ნორმალური სამედიცინო მომსახურება, თუ კი სხვა რაიონებში წარმატებულად მუშაობს კერძო და სახელმწიფო სექტორი, ყვარლის მოსახლეობამ რა დააშავა? ახლა კი ჩვენი რაიონის სამედიცინო სამსახური აღარ არსებობს, მხოლოდ დისპეტჩერის როლს ასრულებს. არადა გვყავს არაჩვეულებრივი ახალგაზრდა სპეციალისტები, რომელნიც იძულებულნი არიან სხვა რაიონში ეძებონ სამსახური. ვფიქრობ, ამაზე აუცილებლად უნდა იზრუნოს ადგილობრივმა ხელისუფლებამ.

**– რამდენი შვილიშვილის ბებიაა ქ. მაყვალა?**

– მყავს წარმატებული შვილიშვილები. ერთმა აირჩია ბებოს გზა – დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ამჟამად იმაღლებს ცოდნას გერმანიაში – გადის რეზიდენტურას მეან-გინეკოლოგიაში.

„უცხოეთში წასვლის წინ სულ ვნერვიულობდი, რადგან გერმანელი სტუდენტები ბევრად უკეთ მომზადებული მეგონა, მაგრამ დავრწმუნდი, რომ ჩვენს უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა არაფრით ჩამოუვარდება იქაურს“ – აცხადებდა ერთ-ერთი სამედიცინო გაზეთიდან წარმატებული სტუდენტი ნინო ყარალაშვილი. ვამაყობ ჩემი ნინოთი და მინდა გითხრათ, რომ მედიცინასთან ერთად ლიტერატურის სიყვარულითაც გამოირჩევა, თავად წერს მოთხრობებს, ჩანახატებს. ცხოვრების დასამახსოვრებელი, შთამბეჭდავი ფრაგმენტები გადააქვს ქაღალდზე, რასაც ერთგვარ თერაპიას უწოდებს, ეს ყველაფერი ძალიან მახარებს, – თქვა ჩვენთან საუბარში ქალბატონმა მაყვალამ.

**– რას ეტყოდით ახალგაზრდა მომავალ დედებს, ახლად დამწყებ ექიმებს როგორ მიულოცავდით ახალ – 2019 წელს.**

– მომავალ დედებს ვუსურვებდი ერის გამრავლებას, მიუხედავად დღევანდელი დუხჭირი სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობისა, შობონ ბევრი შვილები, ვიყოთ ბევრნი, რათა გაძლიერდეს ჩვენი ქვეყანა, სიძლიერე ქვეყნისა ხომ ერის გამრავლებაშია. დამწყებ ექიმებს ვუსურვებ მეტი ყურადღება და მეტი მზრუნველობა ჰქონოდეთ პაციენტების მიმართ, რამეთუ ნათქვამია, – ერთი ტკბილი სიტყვა წამალზე ძვირფასიაო. ყველას, ჩემს კოლეგებს ვულოცავ ახალ 2019 წელს, ჯანმრთელობა და სიკეთე მოეტანოს ამ ახალ წელს ყველა ოჯახისათვის.

**– თქვენი საახალწლო სურვილები.**

– დღეს ჩემი და ალბათ ყველას საახალწლო სურვილებია ქვეყანაში სიმშვიდის შენარჩუნება, ურთიერთ მიტევება, ისედაც დანგრეული საქართველოს აღდგენა – გამთლიანება – ეს არის ის, რაც დღეს თვითეული ქართველის ფიქრსა და გონებაშია. წარმატებები მოეტანოს ახალ 2019 წელს სრულიად საქართველოსთვის, ღმერთი იყოს ჩვენი შემწე.

გმადლობთ.

**ესაუბრა**
**დალი ტატულიშვილი**

# შობის დღესასწაული და ალილოობის ტრადიციები საქართველოში







7 იანვარს მართლმადიდებელი სამყარო შობის ბრწყინვალე დღესასწაულს აღნიშნავს. საქართველოს ყველა მართლმადიდებლურ ტაძარში საზეიმო წირვა-ლოცვა აღევლინება.

„ბიბლიის“ მიხედვით, ისრაელი იმ დროისათვის რომის იმპერატორს ემორჩილებოდა. ერთხელაც, იმპერატორმა ბრძანება გამოსცა, ყველა ჩემი ქვეშევდრომი იმ ქალაქში ჩაეწეროს, საიდანაც მისი წინაპრები იყვნენო. იოსების და მარიამის მშობლიური ქალაქი ბეთლემი იყო. ისინი გაემგზავრნენ ბეთლემისკენ და როცა ქალაქში მივიდნენ, აღმოჩნდა, რომ ძალიან ბევრი ხალხის ჩამოსვლის გამო, ბეთლემი გადავსებული იყო. ამიტომ რადგან ბინა ვერ იშოვეს, ქალაქის განაპირას, მწყემსების გამოქვაბულს შეაფარეს თავი. სწორედ ამ ღამეს დაუდგა მარიამს მშობიარობის დრო. შვა ვაჟი – ძე ღვთისა. მწყემსებმა, რომელნიც ქალაქის სიახლოვეს ცხვარს აძოვებდნენ, ცაში დაინახეს ნათება და ბრწყინვალე ანგელოზი, რომელმაც ხალხს მაცხოვრის დაბადება ახარა...

შობა ქრისტიანულ სამყაროში უდიდესი სულიერი დღესასწაულია. მას ეგებებიან ლოცვით, მარხვით, აღსარებით, ზიარებით... საქართველოში შობას ძველი სტილით, ანუ იულიუსის კალენდრის მიხედვით აღნიშნავენ. იულიუსის კალენდარი 325 წელს მიიღო ნიკეის პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ და ჩვენი ეკლესია მას დღემდე იცავს.

საქართველოში, შობის დღესასწაულზე, ალილოობის ტრადიცია არსებობს. უკვე საუკუნეებია, ქართველები ალილოობის მონაწილეებს და მიმლოცველებს სხვადასხვა საჩუქრებით ხვდებიან: „ფულით, ფქვილით, ერბოთი, თხილ-კაკლით, საშობაოდ დაკლული ღორის ხორცით, ყოველივე იმით, რაც მოეპოვებოდათ და რა თქმა უნდა, კვერცხით, აჯილდოვებდა მეალილოებს, შობის სიმბოლოთი, რომელიც სულ მალე, აღდგომას, ქრისტეს ჯვარცმის ნიშნად წითლად შეიღებებოდა და მეჭონეებს, ქრისტეს აღდგომის მახარობლებს მიერთმეოდა. კვერცხით, რომელიც ოდითგან საუცხოო საჩუქრად ითვლებოდა. და ვაი, მას ვინც ძღვენს დაინანებდა. ამას გარდა, ქრისტიანი ქართველი მოსულში, ყოველ სტუმარში, მათ შორის ყოველ მეალილოეში ღმერთს ხედავდა, რომელთათვის მირთმეული ძღვენი შესაწირიც იყო და საჩუქარიც, დიდებაც და თაყვანისცემაც.

ამ ღამეს ქრისტეშობის სიხარულს, როგორც ბეთლემის გამოქვაბული, ვეღარ იტევდა ტაძარი, მწყემსებთან ერთად გამოდიოდა გარეთ, მწყემსების მეშვეობით თვითოეულ მოკვდავამდე მიდიოდა და ეს სიხარული ქრისტეს ხორციელი მოვლინებით განცდილი, ყველას ერთ მრევლად, ქრისტეს მიწიერ სხეულად, ეკლესიად აქცევდა.

შუასაუკუნეების გადმოცემის თანახმად, შობას იერიქონში ვარდები იშლებოდნენ დეკემბერში, შიომღვიმეში ტაძრის კედელთან ამოსული წითელი ვარდის კოკრები, თითქოსდა მეალილოე მწყემსების დარად ელიან შობას, რომ აყვავდნენ სიხარულისა და დიდების ნიშნად“

**მომზადებულია**
**orthodoxy.ge-ის მიხედვით**



უ ჩ ვ ე უ ლ ო   ი ს ტ ო რ ი ე ბ ი

# რას არ გაიგებს კაცი



ვისაც ზოგადად ისტორიასთან ცოტაოდენი შეხება მაინც აქვს, შეუძლებელია არ იცოდეს, თუ ვინ არის ჰეროდოტე – ძველი ბერძენი ისტორიკოსი, „ისტორიის მამად“ წოდებული, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნეში (485-424 წ.წ.) მოღვაწეობდა. მისი ნაშრომის ძირითადი თემა – ბერძნული და სპარსული ომების ისტორია – გადაზრდილია მსოფლიო ისტორიაში. ჰეროდოტეს თავისი ნაწარმოების შექმნის პროცესში, ძირითადად მეცნიერული მიზნით, ბევრი უმოგზაურია მცირე აზიის სანაპიროებზე, საბერძნეთში, მაკედონიაში, სიცილიაში, ფინიკიასა და მესოპოტამიაში, არაბეთში, სკვითიაში, ეგვიპტესა და კოლხეთში. ჰეროდოტეს ისტორია ძირითადად მნიშვნელოვან და სანდო წყაროს წარმოადგენს ბევრი ქვეყნის ისტორიისათვის. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართველი ტომებისა და საქართველოს ძველი ისტორიისათვის.

მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენს ინტერესს იწვევს ჰეროდოტეს „ისტორიაში“ შემორჩენილი ცნობები ძველი ეგვიპტელების უცნაური ზნე-ჩვეულებების შესახებ. იგი ძალიან ბევრ რამეს წერს ეგვიპტესა და ეგვიპტელებზე, რომლებსაც ცხოვრებაში ყველაფერი თავდაყირა, გნებავთ უკულმა, ბუნების საწინააღმდეგოდ ჰქონდათ მოწყობილი. შეუძლებელია, გაეცნო ამ ყველაფერს და არ გაგეცინოს, იმდენად უცნაური და არაადეკვატურია ეს ყველაფერი, ნორმალური საზოგადოებრივი წესრიგის თვალსაზრისით.

ჰეროდოტე ეგვიპტეზე საუბარს იწყებს იმით, რომ ამ ქვეყნის მაცოცხლებელი და მთელი ეგვიპტის სიამაყე – მდინარე ნილოსი, აფრიკის კონტინენტის სხვა მდინარეთაგან განსხვავებით „აღმა“ მიედინებოდა – სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. „ზემო ეგვიპტე“ ეწოდებოდა ქვეყნის ქვემოთა – სამხრეთის მხარეს, „ქვემო ეგვიპტე“ კი – ზემო, ჩრდილოეთის მხარეს, ანუ ხმელთაშუა ზღვისპირეთს.

ნილოსის ალმასვლას კი მთელი ქარავანი მოჰყვებოდა თავდაყირობისა და უკულმართობისა:

– სხვა ქვეყნებსა და ხალხებში კაცები დადიან ოჯახის გარეთ საქმეებზე, ქალები კი დიასახლისობენ. ეგვიპტეში პირიქით – ქალები დადიან ყველა საქმეზე და ვაჭრობენ, კაცები კი სახლში სხედან – რთავენ და ქსოვენ;

სხვა ხალხებთან კაცებს ტვირთი თავზე დადგმული დააქვთ, ქალებს კი – ზურგით. ეგვიპტეში კი პირუკუ – ქალებს ტვირთი თავზე დადგმული დააქვთ, მამაკაცებს კი მხრებითა და ზურგით;

– კიდევ უფრო უარესი – ეგვიპტეში ქალები გამართულები, ფეხზე მდგარი შარდავენ, მამაკაცები კი ჩაცუცქულები;

– სხვა ხალხებთან მოხუც მშობლებს ვაჟიშვილები არჩენენ, ეგვიპტეში კი – ქალიშვილები;

– სხვა ქვეყნებში გარდაცვლილის ნათესავები და ახლობლები თმას იჭრიან, ეგვიპტელები კი, რომლებიც საერთოდ თავგადაპარსულები დადიან, თმას იზრდიან და წვერსაც უშვებენ;

– სხვა ქვეყნებში ხალხი და პირუტყვი ცალ-ცალკე ცხოვრობენ, ეგვიპტელები კი ცხოველებთან ერთად ბინადრობენ;

– სხვა ქვეყნებში ქალები მამაკაცებზე მდიდრულად იცვამენ. ეგვიპტელ კაცებს კი ორი ჩასაცმელი აქვს, ქალებს – მხოლოდ ერთი;

– სხვა ხალხები პურს ხორბლისა და ქერისაგან აცხობენ. ეგვიპტელები კი ასეთ საკვებს არაფრად აგდებენ და ასლის პურს ჭამენ;

– ეგვიპტელები, სხვა ხალხებისაგან განსხვავებით, ცომს ფეხით ზელავენ, თიხას კი ხელებით;

– ეგვიპტელები არასოდეს ივიწყებდნენ სიკვდილს, ნადიმის დროსაც კი. ჩამოატარებდნენ შუა ლხინში კუბოში ჩასვენებულ თოჯინას, რომელსაც ეწერა: „ჭამე და სვი, რადგან მოკვდები და შენც ასეთი იქნები“.

ვერაფერს იტყვის კაცი, მართლაც მთელი კასკადია უცნაური ჩვევებისა და ცხოვრების უკულმართი წესებისა. მაგრამ არ უნდა გაგვიკვირდეს ალბათ, რადგან საქმე რამდენიმე ათასი წლის წინანდელ დროს ეხება. თუმცა ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ დღევანდელი საზომით ამ ერთობ უჩვეულო და უკულმართი ზნე-ჩვეულებების ხალხმა, უხსოვარ დროში, საოცარი ცივილიზაცია შექმნა, რომლის სიმბოლოდაც ეგვიპტური პირამიდები და უმდიდრესი არქეოლოგიური ნაშთები შემორჩა. სამწუხარო კი ის გახლავთ, რომ ეს ხალხი – ძველი ეგვიპტელები, დიდი ხანია გადაშენდა და აღარ არსებობს...

ისიც სათქმელია, რომ როცა ამ ყველაფერს წაიკითხავ კაცი, შეუძლებელია, ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით, პარალელი არ გაავლო დღევანდელ ეპოქასთან – მსოფლიოში ფეხმოკიდებული ლიბერასტული იდეოლოგიის აღვირახსნილობასთან, რომელიც ცდილობს ჩვენი ცივილიზებული საზოგადოებისათვის მიუღებელი, ქართული ეროვნული ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების საწინააღმდეგო, ამორალური ცხოვრების წესები მოგვახვიოს თავს. დღევანდელი ცხოვრების ამ ანტიპოდებს ძველ ეგვიპტელთა აქ მოყვანილი ზოგიერთი უკულმართობა ალბათ ლოზუნგებადაც გამოადგებათ(?)

დასკვნების გაკეთება თქვენთვის მოგვინდვია, მკითხველო!

**ალიმან ლაფაჩიშვილი**

# „თავისუფლება იმ გამარჯვების ფასია, რომელსაც ჩვენ თავზე მოვიპოვებთ“

თანამედროვე მსოფლიოში უმთავრესი ღირებულება გახლავთ ადამიანი და მისი უფლებები, რომლის გარშემო, განსაკუთრებით ჩვენს ქვეყანაში დავა და შფოთი არ წყდება, როგორც ჩანს საზოგადოების დიდი ნაწილისთვის რთულია განსაზღვრა სად იწყება და მთავრდება მისი უფლებები, სად იწყება სხვისი უფლება. ამ წარმოსახვით ზღვარს ყველა ადამიანი განსხვავებულად აღიქვამს, რაც საბოლოოდ გაურკვევლობას, არეულობას წარმოშობს.



სინამდვილეში ზემოთ ხსენებული პრობლემის მთავარი მიზეზი გახლავთ თავისუფლების არასწორი ინტერპრეტაცია დღევანდელი საზოგადოების გარკვეულ ნაწილში. სოციუმში არაა ჩამოყალიბებული კონკრეტული განსაზღვრება, რაიმე სახის კონცეფცია სიტყვა „თავისუფლების“ გარშემო, თუმცა ამ უკანასკნელზე ყოველგვარ კითხვას აუცილებლად გაეცემა პასუხი უახლოეს მომავალში. კაცობრიობის განვითარება სწორედ პასუხების ძიებას ეფუძნება.

საზოგადოების გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ თავისუფლება არის აკეთო ყველაფერი ის, რაც მოგესურვება, თავისუფლად გამოავლინო შენი წამიერი შინაგანი სურვილი ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერ დროს, თუ ვინმემ ხელი შეგიშალა აღნიშნულის განხორციელებაში, აღიქმება თავისუფლების შეზღუდვად, წართმევად. ჩემი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით დიამეტრიულად განსხვავებულია. მედალს ყოველთვის ორი მხარე აქვს. ზოგადად, ის რაც შეუძლიათ წაგართვან„ ასევე შეუძლიათ გაჩუქონ, შეიძლება კი, თავისუფლების ჩუქება? თუ ადამიანს განვიხილავთ მხოლოდ ფიზიკურ არსებად და უარვყოფთ მასში რაღაც კვინტესენციური ნაწილის არსებობას, რითაც განსხვავდება ადამიანი სხვა არსებებისაგან, რასაკვირველია ვიტყვით, რომ თავისუფლების ჩუქება შესაძლებელია. მაგალითად, პატიმარზე, რომელიც ვადაზე ადრე გაათავისუფლეს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მას თავისუფლება აჩუქეს, თუმცა იგივე პატიმარი, რომელიც საკუთარ თავს არ განიხილავს მხოლოდ ფიზიკურ არსებად, იტყვის, რომ საკანშიც თავისუფალი იყო. მერაბ კოსტავა პუბლიცისტურ ნაშრომში „თავისუფლება“ ცალსახად აღნიშნავს, რომ საკნის შევიწროებისას (დაპატარავებისას) უფრო მეტ თავისუფლებას განიცდის. თავისუფლება არის ადამიანის შინაგანი მდგომარეობა. როგორც სიყვარულს ვერ წაგართმევს ვერავინ, ასევე თავისუფლებას. თავისუფლება არის მუდმივი ბრძოლის მდგომარეობა, ადამიანი მაშინ კარგავს ამ უკანასკნელს როდესაც ნებდება. თავისუფლება არის არა ის, დაიკმაყოფილო რაც გინდა და მოცემულ მომენტში, ნებისმიერი ადამიანური, ყოფითი მოთხოვნილება, არამედ შეეწინააღმდეგო მას და გააკეთო სრულიად საპირისპირო. არა აქვს მნიშვნელობა რისი მონა იქნები (ადამიანის, მუცლის, ფულის და ა.შ.) მონა არის მონა.

როგორც ვოლტერი იტყოდა „თავისუფლება იმ გამარჯვების ფასია, რომელსაც ჩვენ თავზე მოვიპოვებთ“.

**ლექსო გოგილაშვილი,**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი**

# ლამაზი ქალი

საღამოს ბინდბუნდში მთვარის შუქზე კარგად მოჩანს განათებული ქუჩა, დაბორიალებენ ადამიანთა აჩრდილები. მხოლოდ ერთი ახალგაზრდა ქალის აჩრდილი შეჩერებულა და რაღაცის მოლოდინში თითქოს სევდაჩამდგარი თაფლისფერი თვალებით ვიღაცას დაეძებსო. იგი თავის აჩრდილთან შედარებით მიმზიდველი და მომხიბვლელი ჩანს. აშოლტილი ტანი კარგად გამოკვეთია თეთრ კაბაში. კაბის სიმოკლეში მისი მოქნილი ლამაზი ფეხები თეთრ ფეხსაცმელში გამოწყობილა, უფრო მეტის თვალს ატყვევებს. მოღერებულ ყელს აქეთ-იქით ატრიალებს და მას მკვრივი თეთრი მკერდი სწრაფად აუდ-ჩაუდის. თეთრ-წითელი ბჭყვრიალა მძივებით დამშვენებულ და ისედაც გულამოღებულ კაბაში უფრო მკვეთრად მოუჩანს. მის გულზე ბრწყინავს კაბაზე მიმაგრებული ფიანიტის და ლალის თვლებიანი დიდი გულსაბნევი. სამკაულებით შემკულ ქათქათა ხელს წარამარა თაფლისფერ სწორ, გრძელ თმაზე ჩამოისვამს. აწეული თმის კულული ჩამოშლია და ნახევრად მოუჩანს კისრის ნაზი კანი. მაინც ბრწყინავს ფიანიტის, ფირუზის, ლალისთვლებიანი საყურე. გადაკალულ წარბზეც მოისვამს ხელს, ცისფრად დახატულ თვალებს და გრძელ წამწამებს ძირს ხრის, აკვირდება თავის აჩრდილს თუ როგორ მოჩანს, ან რომელი ჯობს. ხან მაღლა, ვარსკვლავებივით მოჭედილ და მთვარით განათებულ ცისკენაც იხედება: იქნებ, იქაც იყოს ჩემი აჩრდილიო. თან გულში უმანკოდ ელიმება, თუ არა და მის თვალებს სიამოვნებს ბუნების სასწაული. ვნებათა ღელვას აყოლილა და სწორი ცხვირის პატარა ნესტოები ხანდახან დაბერვია. ალუბლისფერ ტუჩებს ამ ფერივე პომადით შეღებილს, თეთრ, ქათქათა კბილებს ჩაასობს და ქვედა ტუჩზე ნაკბილარავი თეთრად ებურცება. კოხტად მოყვანილ ნიკაპსაც დაიგრძელებს ხოლმე. სულიერად დაძაბული ვერც კი გრძნობს, რომ მისთვის უინტერესო გამვლელ-გამომვლელები უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ.

როცა წამიერად დაწყნარდება, უფრო ლამაზი და თვალწარმტაცია. მომხიბვლელია მთვარის შუქზე, თითქოს რომელიღაც ცნობილი, გამოჩენილი მხატვრის ნახატიდან გაცოცხლებულა. დღევანდელი დღე უფრო ლოდინის დღედ ექცა. სხვა დროს უფრო მალე ყოფილა მისი საქმე მოგვარებული და დღეს კი ლოდინი და ლოდინი... თუ სიჩქარის გამო ეჩვენება, ველარ გარკვეულა. მაინც სადღაც მოჰკრა თვალი ორ წყვილს, რომლებმაც მხიარულად ჩაუარეს. მან შენიშნა, რომ ქალს ყვავილები ეკავა ხელში: უცებ გაახსენდა, მასაც რომ მიართვეს ყვავილები მხოლოდ იმიტომ, რომ ლამაზი–მეძავია–და გული დაწყდა: თურმე ცხოვრება არ გვიმართლებს ყველას ისე, როგორც გვსურს და გვინდა. იგი ულმობელია, დაუნდობელი, მკაცრი, გვაიძულებს რაღაცას... და უფრო მეტად გულმკვდარია როცა მას ასე სუსტს და საწყალს ფიზიკურად ერევიან და რამდენჯერ ნატრობს შეძლოს მაგარი გარტყმა, მისი ძალიან ბევრს ადევს ცოდვები და ამ ცოდვებს არ აპატიებს არავის ღმერთი. ჰყავს ძალიან ბევრი, ბევრი მტერი, მტრობენ ბოროტები. ბევრჯერ თავი ეზიზღება, თუ არა და ის მამაკაცებისათვის საყვარელი და სასიამოვნოა. სიყვარული? მისთვის უთქვამთ: – ჩემს გულში ყველაზე დიდი ადგილი გიკავია. – უპასუხია: – რამხელა? ზღვის, მთის, ცის, ვარსკვლავების, მთვარის თუ მზის? რამხელა გული გაქვს? მიყვარხარ ისე, როგორც არასდროს არავის არ ჰყვარებია არავინ. დავიჯერო ადვილია საყვარელი ადამიანის ასე მალე დავიწყება? დაკარგვა? და მას კვლავ მალევე უნდა მიეკითხებინა და არ უნდა გასულიყო უაზროდ რამის ოთხი წელი. ვიცი მისი ბრალიც არ არის, იყოს სხვა უკეთესი შემთხვევებიც, მის მოწერილ წერილს დღესაც სათუთად ინახავს. ისიც ინახავს ჩემს მიწერილ წერილს სათუთად?

ასე მალე მოიშუშა გული ისარგაყრილი?

სიმწრით გულზე თითქოს ტყვია მოხვდა, არა, არ შურს იმ ქალის, რომელმაც ამ წუთს გვერდზე მყოფი მამაკაცითა და ყვავილებით ხელში ჩაუარა, მაგრამ ისედაც უპატრონომ და მარტოობისთვის განწირულმა: – რა დააშავა? –

უცებ მის წინ მანქანა სიგნალით შეჩერდა და მთლად უცხო, ახალგაზრდა სიმპათიურმა მამაკაცმა სათნო ღიმილით, ალერსიანი თვალებით და ტკბილი ხმით: – „დაბრძანდით“ – შეიპატიჟა მანქანის სალონში. მისი წკრიალა ხმა მუსიკის ჰანგივით ჩაესმა. თუ არა და მუსიკის დაკვრაც არ იცის – დაკვრას მე გასწავლი – ჩაესმაო ირგვლივ, სულ ეს ისმის, ციდან კი, ამ წკრიალა ხმას ვერ დაავიწყებს სიკვდილიცო. მისთვის უთქვამთ: შენი ხმა მომენატრა – სულ ფიქრობს: – ნეტა ეხლა მას ჩემი ხმა არ ენატრება? როგორ არის? სად არის? რას აკეთებს? როგორ გვიყვარს, შეხვედრა უნდა, იქნებ კიდევ მისწეროს წერილი, გაიგოს სიმართლე და ა.შ. – რამდენი რამე აქვს სათქმელი. – ან დაუბრუნდება დაკარგული სიყვარული? – თუ არა და ბნელაში მას ვერც ხედავს, თავისთვის წამოსცდა: – ერთი დაგინახო როგორი ხარ! თითქოს ჩაესმაო: – კიდევ რომ დამინახავ თან უნდა გამომყვე. – გაიფიქრა: – მთვრალია? – ნეტა ულვაშებიანი მამაკაცი არ იყოს – სხვა გზა არ ჰქონდა, მისთვის აღარ არსებობენ სხვათა მზერანი. უთქმელად ჩაჯდა. კარებს ფეხი გაჰკრა, განა ამას არ ელოდა, რომ სწრაფობს კიდეც. სკამზე დევს ტელეფონი და სიგარეტი „მალბორო“, ეს მამაკაცი ნანახი ჰყავს სიზმარშიო, თეთრი პერანგით, თეთრი შარვლით და შავი ფეხსაცმლით გამოწყობილი კმაყოფილი იერით და ხარბი, ლამაზი ცისფერი თვალებით მისი ცქერით ვერ კმაყოფილდება, თითქოს მისი სურათი აქვსო, ისედაც მოკლე კაბა მუხლებზე უფრო აეწია და თეთრი ქათქათა ფეხები მას თვალებს უბამს. გაახსენდა სიმღერა:

„თვალები, თვალები შენი ცისფერია,
თვალები, თვალები მე რომ მიღიმიან“

ეს სიმღერა უყვარს. ცისფერი თვალები უყვარს სულ ჩემთან ხარ, ლამაზი წარსულისათვის მადლობა, გისურვებ ჯანმრთელობას, გამრავლებას, სიყვარულს, ბედნიერებას, ღიმილსა და ლამაზ ცხოვრებას. ასეთი მამაკაცი უყვარს და ნატრობს, იგი ვერ ივიწყებს, მამაკაციც მისით რამის გაგიჟდეს.

მამაკაცის ლამაზმა ტუჩებმა მას მიაგება: – საყვარელო – მიჰქრის მანქანა, სად წაიყვანს არავინ იცის. ამ ღამეს მისის მსხვერპლია. მხოლოდ იმიტომ, რომ



– მეძავია – და ამ მეძავს ხვალინდელი ლუკმა აქვს საზრუნავი. მას არავინ ჰყავს გულშემატკივარი. გულში რაცა ჩასწყდა, თვალზე ცრემლი ძლივს შეიკავა, თითქოს მის თვალებში ცრემლები მეჯლისს ცეკვავენ, არა, ეს ცრემლების დღესასწაული არ არის, იგი უცრემლოდ ტირის, ეს სინამდვილეა.

თვალები უფრო აუციმციმდა და ისევ შიგვე ჩააშრა მომდგარი ცრემლები, ან ამ ცრემლებს რაღა აზრი აქვს? განა ამით შეუმსუბუქდება ან რაიმე უკეთესი მოლოდინი უნდა ჰქონდეს ამ გამწარებული ცხოვრებიდან?! მამაკაცისთვის მისი წყლიანი, ჭკვიანი, თბილი, ლამაზი თვალები უფრო სასურველია. ჰკითხა: – რა გქვიათ? – ქალის პასუხი მოკლე, გაურკვეველი, ამაყი და მსუბუქი ნათქვამია: – „მეძავი!“ – და ალუბლისფერი ტუჩებით წარმოთქმული ეს ერთი სიტყვა ყველაფერს ნიშნავს, ან მისი სახელის თქმას რა შეეძლო შეეცვალა? მამაკაცმა მარჯვენა ხელი უშვა მანქანის საჭეს, რადიო გამორთო, ისმოდა ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“ – ის თამრო აღარა ვარ – და მას ფაფუკ თმაზე ამოუსვა, მოიზიდა მისი ფერმკრთალი სახე. თავი მკერდამდის მოაწევინა, ალუბლისფერ ტუჩებზე გამომწვევად ეამბორა და ალერსში გაბრუებულმა სათნო სახეზე კმაყოფილებით ტკბილად დაიჩურჩულა: – „ჩემი მეძავი“ –

ეხ! მეძავს ვინ გაუწევს სიყვარულს და ერთგულებას? სიყვარული მისთვის უკვდავებაა, სიყვარულით გულმკვდარია, თითქოს მისი გული ისარ გაყრილია და სდის სისხლი.

**მერი პატარქლიშვილი**

# კონახური (Berberis Vulgaris L) სამკურნალო მცენარე



კონახური კონახურისებრთა ოჯახის 1, 5-3 მ სიმაღლის ბუჩქია, ძლიერი ფესვითა და გამერქნებული ფესვურებით. ყლორტის ქერქი მონაცრისფროა.

დაგრძელებული ყლორტები მოფენილია 3-5 დაყოფილ წვეტიანი ეკლებით. დამოკლებულ ტოტებზე ჯგუფებად განლაგებულია მწვანე უკუკვერცხისებრი, წამწამებით შემოსილი, წვრილად დაკბილულნაპირებიანი ფოთლები.

ყვავილები ოქროსფერ-ყვითელი, თავჩაქინდრულ მტევნებად შეკრებილი, ფრიად მგრძნობიარე 6 მტვრიანათი. მტვრიანას ძაფზე ნემსით შეხებისას იგი მყისვე ეცემა დინგს. მწერი ხორთუმით შეხებისას აღიზიანებს მტვრიანას, რომელიც თავზე ეცემა მწერს და მომწიფებულ მტვრის მარცვალს აბერტყავს. სხვა ყვავილის დინგზე თავით შეხებისას მწერი ხელს უწყობს ამ მტვრის იქ დატოვებას. ე.ი. ხელი ეწყობა ჯვარედინ დამტვერვას, რასაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს კონახურის ბიოლოგიაში.

ნაყოფი წითელი წაგრძელებული კენკრაა. ყვავის მაის-ივნისში, მწიფობას აგვისტო-სექტემბრიდან იწყებს. მტევნები ბუჩქებზე შუა ზამთრამდე ჰკიდია ხოლმე.

მჟავე, სასიამოვნო გემოს ნაყოფი ხალისით იჭმება. მრავლდება თესლით და ვეგეტაციურადაც ფესვის სტოლონებით (ფესვურების ამონაყარი). საქართველოში ფართოდაა გავრცელებული ჭალებში, ძეძვიან-ღვიანებში, მეჩხერ მუხნარებში, მთაში ზღვის დონიდან 200 მეტრამდე და ზოგან უფრო მაღლაც გვხვდება, მაგრამ დიდ სიმაღლეებზე უფრო იშვიათია და თანაც ძლიერ დაბალი.

ნიადაგის ნაყოფიერებისა და სიმშრალის მიმართ დაუდევარია, იზრდება მშრალ, თხელ ნიადაგებზე, მაგრამ ოპტიმალური ზრდით ნოყიერ კირნარ ნიადაგებზე გამოირჩევა. სინათლის დიდი მომთხოვნია, ამიტომ ხშირი ტყის საბურველის ქვეშ უსინათლობით ჩქარა იღუპება. ძალიან გამძლეა ყინვების და გვალვების მიმართ, შესანიშნავად იტანს მცხუნვარე მზის სხივების ხანგრძლივ ზემოქმედებას. ყოველივე ამასთან ერთად იგი მარილამტანიცაა, მხოლოდ ვერ ეგუება დამდგარწყლიან ჭარბტენიანობას.

ნაყოფები 5 პროცენტამდე შაქრებსა და 6-7 პროცენტ ვაშლის მჟავას შეიცავს. მათგან ამზადებენ მურაბას, ლიმონათს, კანფეტებს, გამაგრილებელ სასმელებს, იხმარება კულინარიაში ისეთი ხორციანი კერძების შესაკაზმად, როგორიცაა კუპატი, ხინკალი, ქაბაბი და სხვ. ფართოდაა ცნობილი კონახურის ლიქიორი.

ივნისში შეგროვებული ფოთლები შეიცავენ 120 მგ /პროცენტამდე ასკორბინის მჟავას (ვიტამინ C-ს), ნაყოფმსხმოიარობისას კი დაახლოებით 40 მგ/პროცენტ ვიტამინ -ს. გარდა ამისა ფოთლებშია ალკალოიდები, მათ შორის ბერბერინი, რომელიც სისხლის წნევას დაბლა სწევს, იწვევს საშვილოსნოს შეკუმშვას და აძლიერებს ნაღვლის დენას.

ფოთლის ნაყენს სისხლდენის შესაჩერებლად და ღვიძლის დაავადების დროს იყენებდნენ, ფოთლებს იყენებენ მარინადის მოსამზადებლადაც.

ფესვებისგან, რომელიც 2-5 პროცენტ ალკალოიდებს შეიცავს, იღებენ პრეპარატ ბერბერინს, რომელსაც ქრონიკული ჰეპატიტის, ქოლეცისტიტის და ნაღვლის ბუშტის კენჭოვანი დაავადებების დროს იყენებენ.

მწვანე ნაყოფები შაბთან ერთად მატყლის, სელის ქსოვილსა და ქაღალდს ვარდისფრად ღებავს, ფესვები კი მატყლსა და ტყავს ყვითლად ღებავს. კარგი თაფლოვანი ბუჩქია, ამასთან მაღალდეკორაციული თვისებებითაც გამოირჩევა და ამიტომ ბაღ-პარკებში საკმაოდაა დანერგილი, მაგრამ მისი ყველგან დარგვა არასასურველია, იმის გამო, რომ ხელს უწყობს პურეულის პარაზიტი სოკოს (ჟანგა სოკოს) გავრცელებას.

კონახურის ფოთლის ნაყენი 40 პროცენტიან სპირტზე 1:10-ზე შეფარდებით (1 ნაწილი წვრილად დაჭრილი ფოთოლი 10 ნაწილ სპირტზე) მიიღება ღვიძლისა და ნაღველსადინარების დაავადებებისას, 25-30 წვეთი დღეში სამჯერ, 2-3 კვირის განმავლობაში.

ბერბერინის სულფატის აბები (0, 005 გ) გამოიყენება ქოლეცისტიტის დროს, როცა თან ახლავს ნაღვლის სადინარების დისკინეზია, აგრეთვე კალკულოზური ქოლეცესტიტის დროს გართულებათა პერიოდებს შორის, ნაღვლის დენის გამაძლიერებელ საშუალებად 5-დან 20 მგ-მდე 2-3-ჯერ დღეში, განმეორებით კურსს 5-10-დღიანი შესვენების შემდეგ უნიშნავენ.

საზღვარგარეთის ქვეყნებში ნაირგვარი სახეობის კონახურების პრეპარატებს იყენებენ როგორც სისხლდენის შემაჩერებელ, ნაღვლის დენის გამაძლიერებელ და ელენთის გადიდების საწინააღმდეგო საშუალებას, მალარიის, კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის მკურნალობისას.

ფიტოთერაპიულ ლიტერატურაში იმის შესახებაცაა ცნობები, რომ კონახური კიბოს მკურნალობაში გამოიყენება. როგორც უკანასკნელი წლების გამოკვლევებით გამოირკვა, კონახურისაგან გამოყოფილი ალკალოიდ ბერბერინს სიმსივნის საწინააღმდეგო თვისება გააჩნია.

ამურის კონახურის (რომელიც თავის ქიმიზმით ძალიან ახლოს დგას აქ განხილულ კონახურის სახეობასთან) ფოთლების ნაყენი სამედიცინო პრაქტიკაში გამოიყენება მშობიარობის შემდგომი საშვილოსნოს ჰიპოტონიის დროს. აგრეთვე, სხვა მედიკამენტოზურ საშუალებებთან კომბინაციებში, მშობიარობის შემდგომი ენდომიტრიტების და საშვილოსნოს სუბინვოლუციის დროს.

ექსპერიმენტებით დადგენილია, რომ კონახურის ნაყენს გააჩნია სისხლდენის შემაჩერებელი თვისებები და იწვევს საშვილოსნოს მუსკულატურის შეკუმშვას, ადიდებს გულის შეკუმშვათა ამპლიტუდას და ახშირებს რიტმს, დაბლა სწევს სისხლის წნევას. ამურის კონახურის ფესვებისაგან დამზადებული პრეპარატების მოქმედებაც ანალოგიურია.

ჩვეულებრივი კონახურის პრეპარატები ნაღვლის ბუშტის ტონუსის შემცირებას, შეკუმშვის გაიშვიათებასა და მათი ამპლიტუდის შემცირებას იწვევს. ნაღვლის ბუშტის დაავადებებისას (ქრონიკული რეციდივირებული ქოლეცისტიტი, ნაღვლის ბუშტის დისკინეზია) აუმჯობესებს ნაღვლის დენას, ამცირებს ტკივილებსა და ანთებად მოვლენებს.

ხალხური მედიცინა სამკურნალოდ კონახურის ფესვებს, ღეროს და ტოტების ქერქს იყენებს. კონახურის პრეპარატები ქინინის მსგავსად სიცხის დამწევად მოქმედებს. მასვე გააჩნია სედატიური და მიკრობსაწინააღმდეგო თვისებები. კონახურის ფესვები და ქერქი (ალკალოიდები) რეკომენდებულია ღვიძლის, თირკმლის კენჭოვანი დაავადების, სიყვითლის, თირკმლებისა და საშარდე ბუშტის ანთების, განსაკუთრებით ნიკრისის ქარის, რევმატიზმის და წელკავის (წელის გაშეშების) დროს.

მიღება ხდება წყლიანი ნაყენის სახით: ნახევარი ჩაის კოვზ დაქუცმაცებულ ქერქს ან ფესვებს ასხამენ ერთ ჭიქა მდუღარე წყალს. საჭიროების შემთხვევაში დღეში 2 ჭიქა გამონაწვლილს სვამენ.

ხალხურ მედიცინაში რეკომენდებულია აგრეთვე ნაყოფის გამონახარში ელენთის დაავადების და კუჭის სპაზმების დროს, ფოთლების გამონახარში კი სურავანდის, კუჭაშლილობის და დიზენტერიის წინააღმდეგ.

agrokavkaz.ge

# გამოსათხოვარი

## ელიზა ბიძინაშვილი „უბრალო ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან“



მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 77 წლის ასაკში, გარდაიცვალა შილდის პირველი საშუალო სკოლის პედკოლექტივის ღირსეული წარმომადგენელი ელიზა მასწავლებელი.

ელიზა ბიძინაშვილი 1941 წლის 10 ნოემბერს დაიბადა ყვარელში. მამით ობოლმა ბავშვმა წარმატებით დაამთავრა მეორე საშუალო სკოლა. 1965 წელს სწავლა დაიწყო თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის დაწყებითი განათლების მეთოდიკისა და პედაგოგიკის დაუსწრებელ ფაკულტეტზე. პარალელურად მუშაობდა სოფელ შილდაში ჭრა-კერვის მასწავლებლად. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ჯერ შილდის მეორე სკოლაში დაწყებითი კლასების მასწავლებლად, ხოლო შემდეგ მალევე გადაიყვანეს შილდის პირველ საშუალო სკოლაში და ოცდაათი წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურა ბავშვთა აღზრდის მეტად რთულსა და საპატიო საქმეს.

სოფელმა შეიყვარა განათლებული, ერუდირებული მაგრამ თავმდაბალი, მშვიდი, გაწონასწორებული, უწყინარი მაგრამ ფუტკარივით დაუღალავად მშრომელი, თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული, კოლეგების საიმედო დასაყრდენი, ბავშვების უსაყვარლესი მასწავლებელი, მშობელთათვის ავტორიტეტული პიროვნება.

ელიზა მასწავლებელმა შექმნა შესანიშნავი ოჯახი, აღზარდა სანიმუშო ორი შვილი და ოთხი შვილიშვილი, მოესწრო შვილთაშვილსაც.

თვალცრემლიანნი გეთხოვებით ელიზა მასწავლებელო; მსუბუქი იყოს შილდის მიწა თქვენთვის! ჩვენ კი სანამ ვიცოცხლებთ, არ დაგივიწყებთ და, სწორედაც რომ, ეს იქნება თქვენი ხსოვნის ხელთუქმნელი ძეგლი!

ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი სული, ძვირფასო ელიზა მასწავლებელო!

ამინ!

**დ. ელიზბარაშვილის სახელობის შილდის პირველი საჯარო სკოლის პედკოლექტივის სახელით**
**ლუიზა დავითაშვილი**

**ალმატის საბავშვო ბაღის თანამშრომლები მწუხარებაში თანაუგრძნობენ მედეა ოსიაშვილს მამის გია ოსიაშვილის გარდაცვალების გამო.**

---

**ალმატის საბავშვო ბაღის თანამშრომლები მწუხარებაში თანაუგრძნობენ თინა ბაწილაშვილს მეუღლის და ზოია ტოჩილაშვილს მამათილის ჯემალ ხატიაშვილის გარდაცვალების გამო.**

---

**ალმატის საჯარო სკოლის დირექცია, პედაგოგიური კოლექტივი და ტექ-პერსონალი სამძიმარს უცხადებენ თანამშრომელს თინა ხატიაშვილს და მის ოჯახს მეუღლის ჯემალ ხატიაშვილის გარდაცვალების გამო.**

---

**ალმატის საჯარო სკოლის დირექცია, პედაგოგიური კოლექტივი და ტექ-პერსონალი მწუხარებაში თანაუგრძნობენ სკოლის დირექტორს მარინე ბაწილაშვილს და მის შვილს თინიკო ბაწილაშვილს სიძისა და მეუღლის მალხაზ გვალიას გარდაცვალების გამო.**

# მოიშორეთ სამუდამოდ კოლო, ტარაკანა და ჭიანჭველა სახლიდან

მიუხედავად იმისა, რომ 21-ე საუკუნეა და მღრღნელები და მწერები თითქმის არ არსებობენ, არის ოჯახები, სადაც გარკვეული თუ გაურკვეველი მიზეზების გამო მაინც ვხვდებით ე.წ. ტარაკნებს, კოღოსა და ჭიანჭველას – ამაზრზენ არსებებს, რომლებიც დარბიან სამზარეულოში, საპირფარეშოსა და საძინებელში და რაც ყველაზე უარესია, აქვთ უნარი საკვების მიღების გარეშე თვეები გაძლონ. მათ მოსაშორებლად მხოლოდ ქიმიური ფხვნილი თუ აეროზოლი არსებობს, რომელიც ასევე მავნებელია თქვენი შინაური ცხოველებისა და ბავშვებისათვის, ამიტომ დღევანდელ სტატიაში მინდა მარტივი მეთოდი გასწავლოთ თუ როგორ მოვიშოროთ ისინი სახლიდან ქიმიური საშუალებების გამოყენების გარეშე, რომელიც თქვენს და თქვენი ოჯახის წევრების ჯანმრთელობას არანაირ საფრთხეს არ შეუქმნის.

1. მოაშორეთ სახლიდან ტარაკნები მარტივი ბუნებრივი საშუალებებით. ამისათვის დაგჭირდებათ 1 თავი ხახვი და საკვები სოდა – „ნატრიუმის ბიკარბონატი“ 1 ჩ.კ. დაჭერით ხახვი წვრილად და აურიეთ 1 ჩაის კოვზ სოდაში, მიღებული მასა კი წაუსვით იქ, სადაც ბუდობენ ტარაკნები. თუ ერთი ცდით არ გაქრნენ ისინი თქვენი სახლიდან, გაიმეორეთ მეორედ.

2. ჭიანჭველების სახლიდან მოსაშორებლად დაგეხმარებათ სიმინდის ფქვილი. დაყარეთ ის სადაც მათი ბუდეა, შედეგად ისინი შეჭამენ და 1-2 კვირის განმავლობაში საერთოდ გაქრებიან.

3. აბეზარი და მკბენარა კოღოების მოსაშორებლად კი დაგჭირდებათ მხოლოდ და მხოლოდ ლავანდის, პიტნის ან ევკალიპტის 3 წვეთი. ჭურჭლის სარეცხ სუფთა ღრუბელზე დააწვეთეთ ჩამოთვლილი მცენარეებიდან რომელიმეს 3 წვეთი, ჩადეთ ქილაში და 24 საათის განმავლობაში გააჩერეთ თავდახურული. შემდეგ კი ახადეთ თავი ქილას და მოცემული სურნელი კოღოს კვალსაც აღარ დატოვებს. ეს მეთოდი მართლაც ეფექტური და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია უსაფრთხოა თქვენი შვილების ჯანმრთელობისთვის.



# ძლიერი ნაყენი-ანტიბიოტიკი, რომელიც ორგანიზმში ყველა ინფექციას კლავს. ამერიკელი ექიმის რეცეპტი

ეს რეცეპტი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ბუნებრივი ანტიბიოტიკია, რომელიც პრაქტიკულად ყველა ანთებას და ინფექციას წარმატებით კურნავს. ეს რეცეპტი პოპულარულმა ამერიკელმა ექიმმა, რიჩარდ შულცემ წარმოადგინა.

ეს სუპერ ტონიკია, რომელიც წარმოუდგენლად ეფექტურ ბუნებრივ სამკურნალო საშუალებას წარმოადგენს. უფრო ზუსტად: მასში მცენარის საუკეთესო ნაწილი და თვისება არის შენარჩუნებული. ის ძალიან ძლიერია, ამიტომ ძალიან ფრთხილად უნდა გამოიყენოთ.

ტონიკი მხოლოდ ნატურალურ ინგრედიენტებს მოიცავს, რომ საუკეთესო შედეგს მიაღწიოთ.

**ინგრედიენტები:**

ნატურალური ვაშლის ძმარი
ახალი ცხარე წიწაკა – 100 გრ
წითელი ხახვი – 500 გრ
ნიორი – 500 გრ
პირშუშხა – 500 გრ
კოჭის ფესვები – 250 გრ

**მომზადება:**

ყველა ინგრედიენტი გაასუფთავეთ და წვრილად დაჭერით. შემდეგ დიდ მინის ქილაში მოათავსეთ და იმდენი ვაშლის ძმარი დაასხით, რომ მისი სიმაღლე ინგრედიენტებზე სამი თითის დადების ზემოთ იყოს. ქილას დაახურეთ და შეანჯღრიეთ.

ბნელ ადგილას 2-6 კვირა შეინახეთ. რაც უფრო დიდხანს შეინახავთ, ტონიკი მით უფრო ძლიერი იქნება. დროდადრო უნდა შეანჯღრიოთ.

ამის შემდეგ ნაყენი გადაწურეთ. ინგრედიენტები კარგად გაწურეთ. შემდეგ გაუმჭვირვალე ქილაში ჩაასხით, რომ სინათლისგან დაიცვათ. შეინახეთ ცივ და ბნელ ადგილას.

**დოზირება:**

ნაყენი შეგიძლიათ ანთების, გრიპის და ინფექციის სამკურნალოდ, იმუნური სისტემის გასაძლიერებლად და მონელების სისტემის გასაუმჯობესებლად მოიხმაროთ. აიღეთ 1 ჩ/კ ნაყენი და 100 მლ სუფთა წყალში გახსენით, ასევე შეგიძლიათ თაფლი დაუმატოთ, გემოსთვის.

გახსოვდეთ, რომ ყოველთვის ნელნელა უნდა დალიოთ. ამავდროულად, დღის განმავლობაში ბევრი სუფთა წყალი დალიეთ. პროფილაქტიკის მიზნით საკმარისია, რომ 1 ჭიქა (100 მლ წყალზე 1 ჩ/კ ნაყენი) დალიოთ. თუ ნაყენს რომელიმე კონკრეტული პრობლემის სამკურნალოდ იყენებთ, შეგიძლიათ დღეში 5-6-ჯერ მიიღოთ.

ეს უნიკალური ნაყენი ტოქსინებს არ შეიცავს და ჯანრთელობისთვის დიდ სარგებელს წარმოადგენს:

1. ძლიერი მატონიზირებელი საშუალებაა – იმუნურ სისტემას აძლიერებს.
2. ძლიერი ანტიმიკრობული მოქმედება აქვს.
3. სისხლში ქოლესტერინის დონეს ამცირებს.
4. სხეულში ჟანგბადის დონეს არეგულირებს.
5. ძლიერი ანტიბაქტერიული, ანტივირუსული და სოკოს საწინააღმდეგო თვისებები აქვს.
6. ენერგიის წარმოებას ხელს უწყობს.
7. საკვების მონელების სისტემას არეგულირებს.

**უკუჩვენებულია**

მწვავე და ქრონიკული კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადების, შეკრულობის, კუჭის წვენის გაზრდილი მჟავიანობის, ორსულობის დროს.

# „ლექსია სულის სათიბი გრძნობით ნაქარგი სამოსი“



ყველაფერი სულ ერთბაშად და ახლახანს მოხდა: ამ დღეებში დაისტამბა ჩვენი თანამოქალაქის, ნიჭიერი პოეტის ნინო უძილაურის ლექსების კრებული „მე ფშავლის ქალი“, სასიხარულო ცნობაც ცინცხალ-ცინცხალია“ – იგი საქართველოს მწერალთა კავშირის წევრად აკურთხეს. ნიშანდობლივია ისიც, რომ ჩვენი კალმოსნის ამ წიგნის პირველი პრეზენტაციაც სწორედ ყვარელში გაიმართა, ილია ჭავჭავაძის მუზეუმში.

დიახ, ნინო უძილაურს პოეტური გზა დალოცვილიცა აქვს და გაკვალულიც, მეტიც, იგი უკვე თამამად აგრძელებს სვლას პოეზიის სამყაროში. აქამდე კი დიდი შრომა, რუდუნება და ღვწა იდო მის წინ და მანაც საჭირო პოეტური ხარკი გაიღო ამ ტიტულის მოსაპოვებლად.

ნინო უძილაურზე, საქართველოს მწერალთა კავშირში ახლადფეხშედგმული, ხალასი ნიჭით დაჯილდოებული პოეტის შეფასებაზე რამდენიმე სიტყვას საქართველოს სახალხო მწერალს, რუსთაველის პრემიის ლაურეატს ბატონ რევაზ მიშველაძეს დავესეხები. საქვეყნოდ ცნობილია, რომ ჩვენი სასიქადულო და დიდად საამაყო მწერალი საქებარ სიტყვებს ძალზე იშვიათად და ძუნწად თუ იმეტებს ხოლმე.

ამჯერად კი, ნახეთ, რა კრიალოსანივით არის აწყობილი მისი ეპითეტები „ფშავლის ქალის“ შემოქმედების შეფასებისას: „წავიკითხე (ნინო უძილაურის ლექსებზეა საუბარი. ვ.ზ.) და ისე გადამედო ამ ლექსებში ჩაწნული პოეტური კდემა, ჭეშმარიტი ლირიზმი, სიყვარულის ნოსტალგია და სიყვარული არსების მონატრების ტკივილამდე შემძვრელი ვნება, რომ გადავწყვიტე დამერეკა ავტორისათვის და მეთქვა: „თქვენ ჭეშმარიტი პოეტი ბრძანდებით“.

ამ სიტყვების შემდეგ ერთი სურვილიღა გამოძრავებს მკითხველს – ამაღლებული გრძნობით, ხარბად დაეწაფო პოეტურ სტრიქონებში ჩაღვრილ სითბოს, სიტკბოს, განცდას, ეზიარო მისი გულის-გულის სიყვარულით დაბადებული და დანახული სამყაროს მშვენიერებას.

ამ კრებულში ასზე მეტი ლექსია ჩატეული: რით სუნთქავს, რით საზრდოობს, რაზე წუხს და რას ეტრფის პოეტი ნინო უძილაური?

ამაზე მისი ლექსები ამბობენ სათქმელს, ისინი თავად გვახსენებენ თავს:

„ ... გავიცისკროვნე სიცოცხლე,
ცხოვრებაც მეტად მომხიბლავს,
მუსიკის რითმით ლექსებს ვწერ,
ლექსს ვასაზრდოებ გრძნობითაც“.

და კიდევ ლექსიდან „მე ფშავლის ქალი“:

„მე ფშავლის ქალი ბუნების ძალით,
სიცოცხლის არსით ცხოვრების
განცდით,
მოყვასის გულით და ღმერთის
მადლით,
დავიარები ლექსებით მთვრალი“.

სიამოვნებით მივაწვდი გაზეთ „ყვარლის“ მკითხველს რამდენიმე ამონარიდს, მის პოეტურ სტრიქონებში „ჩაწნულ მარგალიტებს“

„ყვარელი ხარ საყვარელი,
ილიას და კოტეს ბინა,
ვენახები, მინდორ-ველი,
ხელის გულზე გადაშლილა.
დურუჯი და ჩაგურგურა,
ბურსა ხიდთან ჩამალულა,
კაკლიანი ხეივანი,
გულს ათრთოლებს ალაზნიდან“...

აბა, მის „ნოსტალგიასაც“ მივაყურადოთ:

„ ...აქ სიო ჩემს სულს
სხვაგვარად არხევს,
დაისი აისს მხოლოდ აქ ეტრფის,
მზის ათინათიც მხოლოდ აქ მჩუქნის
ოცნების ფერებს, მზეში მოფენილს.
მხოლოდ აქ მკოცნის დილის ნიავი,
ღაწვებზე მთვარის შუქი მეცემა.
და ვარსკვლავების ჩუმი კისკისი
მხოლოდ აქ მესმის და მეამება“...

„ნეტავ“ – ასე მთავრდება ნინო უძილაურის ლექსების კრებული:

„...ნეტავ რად გვინდა
ცოდვა-მადლის მსაჯულად ვიქცეთ,
და სამართალი დავიკისროთ
ცოდვილ მიწაზე,
მთავარი არის წრფელი
გული ერთმანეთს მივცეთ
თავისუფლება არ დავკარგოთ
დედამიწაზე.
...დავბორიალებ კითხვა-კითხვით,
რა, რატომ, როგორ,
განკითხვისათვის ვემზადები
ფერშესაცვლელად,
გული მოყვასის სიყვარულით ფეთქავდეს ოღონდ,
რომ ზეცას წარვსდგე ამ ლექსებით
სიტყვის სათქმელად“.

პოეზიის მოყვარულებს მოკლედ გავაცანით ნინო უძილაურის შემოქმედება. ჯერი ახლა მათზეა, ვურჩევთ სულის საკვებად მიიღონ მისი არაჩვეულებრივი ლექსების კრებული „მე ფშავლის ქალი“.

**ვალერი ზურაშვილი, ჟურნალისტი,**
**ყვარლის საპატიო მოქალაქე**

# დიახ, ჩვენ გვყავს ნიჭიერი და საამაყო ადამიანები



წარმატებული და ნიჭიერი ადამიანების დეფიციტს არასოდეს განიცდიდა ჩვენი ქვეყანა. ახლაც ვერავის გავაკვირვებთ ამით, მაგრამ არც ისე ბევრი ადამიანი ხდება ბავშვობიდანვე აღიარებული და წარმატებული, საკუთარი ნიჭის და შესაძლებლობების გამო. დროთა განმავლობაში ამას თუ დიდი შრომა და პასუხისმგებლობის გრძნობაც დაემატა, ეს უკვე სრულ გარანტიას იძლევა საბოლოოდ აღიარების.

არაერთხელ დაიწერა სოსო ლალიაშვილზე, რომ ის გამორჩეულად ნიჭიერია. მან ჯერ კიდევ 2 წლის ასაკიდან მიიქცია ყურადღება, როცა ფორტეპიანოს მიუჯდა და დაკვრა დაიწყო, თანდათან სხვადასხვა სიმღერების მელოდიებიააწყო და სამი წლისას თავისუფლად შეეძლო ნებისმიერი მელოდიის შესრულება.

სოსოს განსაკუთრებული ნიჭი შეუმჩნეველი არ რჩებოდა. სწორედ ამან განაპირობა ის ფაქტი , 5 წლის ასაკში, ის გამოცდებს აბარებს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალურ მუსიკალურ ათწლედში და ხდება ამ სასწავლებლის გამორჩეული მოსწავლე. მრავალი წინააღმდეგობების მიუხედავად, რასაც ძირითადად ყოფითი პრობლემები ქმნიდა, მან შეძლო დიდი წარმატებებით გაეარა ეს პერიოდიც. ამ პერიოდში მრავალმა ცნობილმა ქართველმა საკუთარ მოსწავლეებთან ერთად მონაწილეობდა სხვადასხვა კონკუსებში წარმატებით. როგორც თავად სოსო ამბობს, ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი იყო მის ცხოვრებაში , ლიტვაში 2010 წელს გამართული ფესტივალ-კონკურსი „ბეიბი სონგს“, სადაც იგი ჟიურიში იყო მიწვეული. აქვე, მონაწილეობას იღებდა მისი აღსაზრდელი, ყვარლელი ლიზი სეფაშვილიც.



კომპოზიტორმა გაიცნო სოსო და ყველა მათგანი აღნიშნავდა, რომ მისი ადგილი კონსერვატორიაში იყო. თუმცა, ხშირად მოულოდნელობებიც ახლავს ცხოვრებას, თუნდაც ის ფაქტი, რომ მან სტომატოლოგიურ ფაკულტეტზე ჩააბარა და ექიმობა გადაწყვიტა. მაგრამ ...

ნიჭმა თავისი გაიტანა. სოსო მოწოდებით, სულით, გულით მუსიკოსია და მუსიკალური სამყაროსთვისაა დაბადებული. სწორედ ამან განაპირობა, რომ კონსერვატორიას დაბრუნებოდა...

წარმატებით აბარებს ის კონსერვატორიაში მისაღებ გამოცდებს, აკადემიური გუნდის დირიჟორის სპეციალობაზე, სადაც უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს საგამოცდო კომისის წევრებზე. სწორედ აქ უწინასწარმეტყველა დიდი მომავალი საგამოცდო კომისიის თავჯდომარემ იოსებ კეჭაყმაძემ.

მაშინ სოსო ამბობდა:“ უსაზღვროდ ბედნიერი ვარ. თითქოს ახლა ვიპოვე ადგილი ცხოვრებაში, ავმაღლდი, ძალა მომეცა, შემიძლია მთას შევეჭიდო...ჩემი პროგრამა მინიმუმი 20 წლის ასაკში დავძლიე“.

მან, წარჩინებით გაიარა კონსერვატორიის სამივე საფეხური – ბაკალავრია, მაგისტრატურა და ასპირანტურა, რის შემდეგაც, აქვე კათედრაზე დატოვეს, კონცერტმაისტერად. ამასთან ერთად, პედაგოგიური საქმიანობასა ეწეოდა და დღემდე, სოსო აქტიურად მოღვაწეობს მუსიკის სფეროში – მუშაობს სულხან ცინცაძის ხელოვნების კოლეჯში, ევროპულ სკოლა-სასწავლებელში, უკრავს ბენდში, აღიარებულია საუკეთესო კონცერტმაისტერად. პარალელურად არის ყვარლის კულტურის განვითარების ცენტრის მუსიკალური პროდიუსერი. ყვარელთან დაკავშირებით ბევრი იდეა აქვს განსახორციელებელი. მის სამომავლო გეგმებში შედის მუსიკალური სტუდიის ჩამოყალიბება, რომელიც აღმოაჩენს და გაზრდის ნიჭიერ მომღერლებს.

პროგრამა მაქსიმუმზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. ხშირად მიფიქრია სოსოზე: ევროპაში ან ამერიკაში რომ ეცხოვრა , ბევრად წარმატებული და აღიარებული იქნებოდა. თუმცა, მას არასოდეს უფიქრია სხვაგან წასვლა.

დიახ, ჩვენ გყავს ნიჭიერი და საამაყო ადამიანები!

ისინი ჩვენ გვერდით ცხოვრობენ. უბრალოებით, პატიოსნებით, და ნაკლები ამბიციებით გამოირჩევიან, მაგრამ მათ განუსაზღვრელი შესაძლებლობები გააჩნიათ იმის, რომ სასარგებლო საქმე აკეთონ და ქვეყანას ემსახურონ.

მთავარია, ჩვენ დავინახოთ, დავაფასოთ, ვაღიაროთ და შესაძლებლობა მივცეთ საკუთარი ნიჭის ქვეყნისათვის სასიკეთოდ გამოყენების !

**ია გიგიაშვილი**



# პოეზიის უმშვენიერესი საღამო, რომელმაც დამსწრე საზოგადოება სულიერად გაამდიდრა და აღფრთოვანებული დატოვა





22 დეკემბერს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმის სააქტო დარბაზში ყვარლის ინტელიგენციის წარმომადგენლები შეიკრიბნენ, რათა ჩვენს თანამემამულეს, ნიჭიერ პოეტს ნინო უძილაურს მოფერებოდნენ. დარბაზში ისხდნენ ცნობილი პოეტები, პედაგოგები, ნინოს ახლობლები და მეგობრები.

საღამო გახსნა ყვარლის საპატიო მოქალაქემ, პოეტმა იზოლდა იოსებიანმა, რომელმაც ნინოს მიერ გამოცემული ორი კრებულის მნიშვნელობაზე ილაპარაკა და მიულოცა საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ მწერლის წოდების მინიჭება. მან ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნინო ბევრგან არის მიწვეული, მაგრამ მან ახლახანს გამოცემული წიგნის „მე ფშავლის ქალი“ პრეზენტაცია პირველად მშობლიურ ყვარელში, ილია მართლის მუზეუმში მოახდინა.

შემდგომ სიტყვა გადასცა ნიჭიერ პოეტს, ქალბატონ ნინოს, რომელმაც საზოგადოებას მადლობა მოახსენა მობრძანებისთვის და ვიდეოკოლაჟის ფონზე საკუთარი ლექსები წაიკითხა. ნინოს კლასის ხელმძღვანელმა ნათელა მოლაშვილმა გაიხსენა მისი ბავშვობის წლები და ლექსით შეამკო მისი დამსახურება.

სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ყვარლელი პოეტები – ზაურ სეფაშვილი, მამა ბენიამინი (ჩიხორლიშვილი), ლია გიგიტაშვილი, მწერალთა კავშირის ყვარლის ორგანიზაციის თავმჯდომარე მანანა შატავიძე, რომელთაც საკუთარი ლექსებით შეამკეს ნინოს შემოქმედება.

პოეტის შემოქმედებაზე თავიანთ გამოსვლებში ვრცლად ილაპარაკეს ნინოს დედის მეგობარმა თამარ ნაზრიშვილმა, ახლო მეგობარმა ლალი კუპრაშვილმა, ყოფილმა მასწავლებლებმა ეთერი ხარებაშვილმა და ლიანა ვარადაშვილმა, ჟურნალისტმა ვალერი ზურაშვილმა და ყვარლის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა თამარ ზურიაშვილმა.

საღამო დაამშვენა თბილისიდან ჩამობრძანებულმა იოსებ მირიანაშვილის გამოსვლამ – მე ვარ ამაყი, რომ ნინოსნაირი მეგობარი მყავს. როცა ნინოს წიგნს კითხულობ, ვერც ერთ ლექსს ვერ გამოტოვებ, თითოეული მათგანი არის სრულყოფილება, ადამიანი ვერ გრძნობს დაღლას. იმდენად თბილი საღამოა, რომ არ შემიძლია უსიმღეროდ ჩამოვიდე სცენიდან.

მან შესანიშნავად შეასრულა მურმან ლებანიძის ლექსზე „გაზაფხული შემოსულა ლენ“ შექმნილი სიმღერა.

საღამო დაამშვენა ტრიო „თოლიას“ მიერ შესრულებულმა სიმღერებმა. უნდა აღინიშნოს, რომ ტრიოს შემოქმედი მომღერლები ლელა ბეჟანიშვილი, ლია შაოშვილი და ნინო საზანიშვილი ნინო უძილაურის ბავშვობის მეგობრები არიან.

საღამო მიჰყავდა იზოლდა იოსებიანს.

22 დეკემბერი ყვარლის ისტორიაში ჩაიწერება ღირსსახსოვარ დღედ, რადგან ნინოს შემოქმედებას თაყვანი სცეს თანამემამულეებმა და დაუფასეს ის ღვაწლი, რაც მან ქართული პოეზიის გამდიდრებისათვის გასწია.

**ალეკო ქაფიანიძე**



# გვიყვარდეს ერთმანეთი, რადგან სიყვარულშია ადამიანთა ბედნიერება

*საახალწლოდ ბლიც-ინტერვიუ ვთხოვეთ ჩვენი რაიონის მკვიდრს, ყვარლის შპს „ავერსის“ აფთიაქის მენეჯერს, ქალბატონ ირმა ბერიაშვილს. იგი საააფთიაქო საქმითაა ყოველთვის დაკავებული და მუდამ ხალხის სამხსახურშია. ქალბატონ ირმას მივულოცეთ ახალი წელი, ვუსურვეთ ჯანმრთელობა, ახალი წარმატებები და სიხარული ცხოვრებაში.*

ვაქვეყნებთ ბლიც-ინტერვიუს ქალბატონ ირმასთან.

**– საქმე, რომელიც გაკეთილშობილებთ?**

– ვიყო კარგი მეუღლე, კარგი დედა. ყველა ქალს უნდა ჰქონდეს ოჯახი და იყოს ბედნიერი. მაგრამ როდისაა მასზე დამოკიდებული... სხვისი არასოდეს შემშურდება, ბოროტს ბოროტებით არ ვუპასუხებ. თუ არ მომწონს, გავერიდები...

**– ფიქრები, რომელიც ყოველთვის თან გდევთ?**

– ცხოვრების გაწა-მაწიაში დავასკვენ: – როდესაც ყველაფერს ღვთის ნებად წარმოვიდგენ – ტკივილი უკვალოდ ქრება – ფიზიკურიც და სულიერიც.

**– სიხარული, რომელმაც ფრთები შეგასხათ?**

– „შვილიშვილი ორჯერ შვილიაო“. შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მისი მამა, რომ იქიდან დაიწყოს ცხოვრების უღლის წევა“

**– სიტყვა, რომელიც წამალზე ძვირფასია?**

– გვიყვარდეს ერთმანეთი, რადგან სიყვარულშია ადამიანთა ბედნიერება.

**– დრო, რომელმაც წარმატება მოგიტანათ?**

– ოჯახი, საყვარელი ქმარ–შვილი, ხალხის სამსახური, ცხოვრების სუფთა გზა – ვიყო მაგალითი იმისა, თუ როგორი უნდა იყოს შვილი, მეუღლე, დედა, ბებია, ნათესავი, მეგობარი, მეზობელი, დისახლისი და მასპინძელი.

**– სკოლისდროინდელი ოცნება?**

– თავიდანვე ჩემი ოცნება იყო, წავსულიყავი იქით, სადაც ყოველდღიურობაა, სადაც მოკრძალებული კეთილდღეობაა!

**– მონაგარი, რომელიც გახარებთ?**

– ოჯახი არის სალესავი ქვა. ამ ქვაზე ილესება ჭკუა, აზრის გამოთქმის ნიჭი, ადამიანთა ურთიერთობის სიდიადის გაგება და ის პატარა არსება, რომლისთვისაც მზად ვართ თავი გავწიროთ.

ღმერთო, ააჟრიამულე ეზო-კარი შვილიშვილებით, შვილთაშვილებით!

დაუშრეტელ მდინარედ იდინე ბედნიერებავ ჩემს ოჯახში, ჩემს ქვეყანაში!

ჩემი საყვარელი შვილების – სალომესა და როსტომის ჯანმრთელობა, პატარა არჩილის ჯანმრთელობა, მისი გაზრდა-გახარება. შეძენილი შვილების – რძლის – ლიკას, სიძის – აკაკის ჯანმრთელობა.

**– ყველაზე ძვირფასი?**

– ადამიანთა ჯანმრთელობა, ვისაც ვემსახურები საააფთიაქო საქმით.

**– წამები, როდესაც უფალი თავს გახსენებთ?**

– სიცოცხლე ის კი არ არის, რაც იცხოვრე, არამედ ის, რაც გახსენდება და როგორ გახსენდება. „ეს ცხოვრება ბრძოლაა და ბრძოლა გვმართებს მკაცრი“.

„არას გვარგებს სიმძიმილი,
უსარგებლო ცრემლთა დენა“.
„გვახსოვდეს სიკვდილი!“

**– თქვენი ღირებულებები?**

– ღირსება, ქვეყნის სიყვარული, პატიოსნება, ტრადიციების, ოჯახის პატივისცემა.

**– ნატვრა, რომელიც აგისრულდებათ?**

– ჩემი, მრავალჭირნახული სამშობლოს, გამთლიანება და აყვავება, გაყიდულ-წართმეული მიწების დაბრუნება, მშვიდობიანი ცხოვრება.

არ მოუშალოს საქართველოს გონიერი ერის კაცი!

**– ყველაზე დიდი სურვილი?**

– ვუსურვებდი ჩემს შვილს – როსტომს, საზოგადოების მიმართ გააჩნდეს დიდი სიყვარული, პატივისცემა, თავაზიანობა.იყოს ზედმიწევნით ყურადღებიანი ყველასა და ყველაფრის მიმართ, რაც მის გარშემო ხდება. შემხვედრ ვითარებაში შესწევდეს სწრაფად და საღად გარკვევის უნარი.

**– გმადლობთ.**

**ესაუბრა
დალი ტატულიშვილი**

# ასეთი მორთულ-მოკაზმული ყვარელი და საახალწლო ამაღლებული განწყობით მოსახლეობა ჯერ არ გვინახავს...







ახალ წელს ყველა განსხვავებული საზეიმო განწყობით ხვდება, თადარიგს ნაადრევად იჭერენ და პროდუქტების მომარაგებასთან ერთად ნაძვის ხის ლამაზად გაფორმებისათვის ზრუნავენ.

რასაკვირველია, საახალწლო სამზადისი ყველაზე მეტად ბავშვებს უხარიათ და ოჯახის წევრებს სთხოვენ საახალწლო სიურპრიზები მოუმზადონ.

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ და მერიამ ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ ახალი წელი სიურპრიზებით დატვირთული ყოფილიყო ახალგაზრდა თაობისათვის და 31 დეკემბრისათვის გრანდიოზული გალა-კონცერტი დაგეგმეს, რომელიც საღამოს 9 საათიდან დაიწყება და ფოიერვერკით აღინიშნება ახალი წლის შემობრძანება.

26 დეკემბერს, საღამოს 19 საათზე, ყვარლის მთავარ მოედანზე საზეიმოდ აინთო ულამაზესი ნაძვისხე, რომლის სანახავად უამრავი ადამიანი მობრძანდა. ადგილობრივი ანსამბლების მონაწილეობით გაიმართა კონცერტი, ხოლო თოვლის პაპამ სკოლამდელი აღზრდის ასაკის ბავშვებს საჩუქრები გადასცა.

ასეთი მორთულ-მოკაზმული ყვარელი და საახალწლო ამაღლებული განწყობით მოსახლეობა ჯერ არ გვინახავს. ყველაზე მეტად გაიხარეს ბავშვებმა, რისთვისაც უდიდესი მადლობა უნდა მოვუხადოთ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას.

**ალეკო ქაფიანიძე**

# საქმე, რომელსაც ვემსახურები გახდა ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი



*ჩვენი ლამაზი ქალაქის ქუჩებს, ბევრი ღირსეული, მომხიბვლელი, კეთილშობილი, განათლებული და საკუთარი საქმიანობით გამორჩეული ადამიანი ამშვენებს.*

*მათი შეფასება ერთი შეხედვით შეიძლება – ისინი მოკრძალებული, თავმდაბალი და კეთილშობილი ადამიანები არიან, დიდი პროფესიონალიზმითა და პასუხისმგებლობით გამოირჩევიან. ასეთ პიროვნებად კი ყალიბდებიან სიახლეების მუდმივი ძიებით და შრომით, სხვადასხვა გამოწვევების მიღებით.*

*ქალბატონი, რომელთან ინტერვიუსაც გთავაზობთ, სწორედ ამ ნიშნით შევარჩიე. თამამად ვიტყვი, რომ ასეთი პოზიტიური, მომხიბვლელი, ენერგიული და აქტიური ადამიანი იშვიათად შემხვედრია. ეს ქალბატონი მედეა გეგეჭკორია, რომელსაც ჩვენი საზოგადოების წინაშე წარდგენა არ სჭირდება. მომღერალი, მუსიკოსი. მნიშვნელოვანია ასევე, რომ მას საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს პედაგოგიური საქმიანობის, რაც დღემდე გრძელდება.*

**– ქალბატონო მედეა, ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ. როგორ გაიხსენებთ ბავშვობას, რაზე ოცნებობდით?**

– ჩვენი თაობა საბჭოთა ეპოქას ეკუთვნის. კარგად მახსენდება გეგეჭკორების დიდი ოჯახი, ოთხი დედმამიშვილი, ქართული ტრადიციებით მოცული. ეს იყო უდარდელი ბავშვობა.

რაზე ვოცნებობდი? მიყვარდა უცხო ენის გაკვეთილები, მყავდა არაჩვეულებრივი პედაგოგი ქალი დარეჯან ჩოჩია და ვოცნებობდი მეც ინგლისური ენის პედაგოგობაზე. მაგრამ მიუხედავად ამისა, რომ ვემზადებოდი რეპეტიტორთან თბილისში, მქონდა შანსი მაგრამ გადავიფიქრე და იმ წელს ჩავაბარე საესტრადო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელში და სწორედ ეს აღმოჩნდა ჩემი ცხოვრების ის ნაბიჯი, რომელმაც განსაზღვრა როგორც პროფესიული მხარე ასევე ჩემი ბედიც და აღმოვჩნდი ქ. ყვარელში.

**– როგორ დაიწყო თქვენი კარიერა, რა ნაბიჯები გაიარეთ, რა დაბრკოლებები შეგხვდათ ამ გზაზე?**

– რაც შეეხება კარიერას, მე ამას ასე ვერ დავარქმევ იმიტომ, რომ კარიერა ცოტა ფართო მცნებაა, თამამად ნათქვამიც. კარიერა, რომელიც შეიძლებოდა გაგვეგრძელებინა მე და ჩემს მეუღლეს ალ. ჩიხიაშვილს (ჩვენ ვიყავით კურსელებიც და ჯგუფელებიც) თბილისში, რომ არა მისი უარი, ალბათ კარიერაზე საუბარი უფრო სწორი იქნებოდა, მაგრამ მე ვფიქრობ მისი მშობლიურ ქალაქში დაბრუნება კულტურის სახლის დირექტორის თანამდებობაზე ძალიან მნიშვნელოვანი და სწორი გადაწყვეტილება გახლდათ, მაგრამ ჩემთვის ეს ძალიან რთული აღმოჩნდა. ძალიან ძნელია დაიმკვიდრო ადგილი და მოიპოვო სიყვარული უცხო ქალაქში სადაც არავინ გიცნობს. მინდა გულწრფელი ვიყო – ბევრი დაბრკოლება გადავლახე დღემდე.

**– რას საქმიანობთ ამჟამად და რას ნიშნავს ეს საქმე თქვენთვის?**

– საქმე, რომელსაც მე ვემსახურები, გახდა ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილი. ბავშვებს ვასწავლი სიმღერას, ვეხმარები მათ ამ ნიჭის სწორად განვითარებაში. ეს იმდენად ფაქიზი და მოსაფერებელი ნიჭია, რასაც მოფრთხილება და სიყვარული სჭირდება. ამ საქმისადმი არასწორი მიდგომა განაწყობს ბავშვებს უარი თქვას იმ ნიჭზე, რაც მას ღმერთმა უბოძა, ეს ხომ გამონაკლისთა ხვედრია. მაგრამ ჩვენ, ქართველები ნიჭიერი ერი ვართ, ამას აღიარებს მთელი მსოფლიო.

**– რა გაძლევთ მოტივაციას თქვენს საქმიანობაში?**

– ჩემი საქმიანობის მოტივაცია სწორედ რომ ბავშვებშია. ურთიერთობა და ის დიდი პასუხისმგებლობაა, რომელიც ყველა პედაგოგს აკისრია. იყო მართალი შენს საქმეში, ალბათ ამას ის მუშაობის სტაჟიც განაპირობებს, რომელიც თითქმის 28 წელს მოიცავს. მიუხედავად ასაკის სხვაობისა, ჩვენ ვმეგობრობთ, ხშირად ვსაუბრობთ მათთვის საინტერესო თემებზე. ყველაფერს მათი გადმოსახედიდან ვუყურებ, მათ ფერხულში ვარ ჩაბმული და სწორედ ეს მიადვილებს მათთან ურთიერთობას.

**– ყველაზე გამორჩეული ეპიზოდები თქვენს ცხოვრებაში?**

– გამორჩეულ ეპიზოდებს რაც შეეხება, ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მაგრამ არის რამოდენიმე ეპიზოდი, რომელიც მართლა გამორჩეულია. სასწავლებელში სწავლის პერიოდია ჩემთვის ყველაზე დასამახსოვრებელი და მნიშვნელოვანი იმიტომ, რომ სასწავლებელში არსებული ანსამბლის პედაგოგი გახლდათ კომპოზიტორი გოგი ცაბაძე. ეს იყო დიდი გამართლება, რომ იმ წლებში ჩვენთან მოღვაწეობდნენ კომპოზიტორები: შ. მილორავა, გ. თბილელი, ზ. მჟავია, ვოკ-პედაგოგი გახლდათ ქალბატონი მერი შილდელი, ქორეოგრაფი ფრიდონ სულაბერიძე, მსახიობი გია ფერაძე. რაოდენ დასანანია, რომ ვერ მოხერხდა ამ ლექციების ფოტოზე აღბეჭდვა. დამერწმუნეთ ეს დიდი სკოლა იყო. შემდეგ უკვე ყვარელში 1975 წლიდან ვიყავი ყვარლის კ/ს არს. ვ.ი.ა. „დურუჯის“ სოლისტი (ხემძღვანელი ა. ჩიხიაშვილი) თითქმის თხუთმეტი წელი არსებობდა ეს ანსამბლი. ამ ანსამბლში მოღვაწეობა ჩემი ცხოვრების ბევრ გამორჩეულ ეპიზოდს უკავშირდება – კონცერტები ყვარელში, ყვარლის რაიონში, კახეთის რეგიონში, ფესტივალები. ერთ-ერთ ფესტივალს გავიხსენებ გურიანთა – 90, სადაც ანსამბლმა აიღო მეორე ხარისხის დიპლომი. ჟიურის თავმჯდომარე გახლდათ კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი. 1995 წელს ანსამბლმა „მხიარული ახალგაზრდები“, რომლის ხელმძღვანელი ვიყავი, ქ. რუსთავში დაიმსახურა პირველი ხარისხის დიპლომი. ჟიურის თავმჯდომარე გახლდათ კომპოზიტორი ნუნუ გაბუნია, რითაც ძალიან ვამაყობ.

**– თუ გქონიათ ისეთი სირთულეები რომელიც ვერ გადაგილახავთ?**

– სირთულეებს რაც შეეხება ძალიან ბევრი მქონდა, ისევ შემოქმედებით გზაზე. როცა ხარ ძიებაში და ცდილობ შექმნა რაღაც ახალი, ყოველთვის აწყდები სირთულეებს. სულით მებრძოლი ვარ და ვფიქრობ ბევრ შემთხვევაში მე ეს გადავლახე.

**– აუხდენელი ოცნება თუ გაქვთ?**

– აუხდენელი ოცნება როგორ შეიძლება გქონდეს როცა ხარ ბედნიერი მეუღლე, დედა, ბებია, გაქვს შენი საქმე, რომელსაც არა იძულებით, არამედ სიყვარულით ემსახურები, გყავს წარმატებული შვილები,შვილიშვილი – თათია, რომელმაც ასე ძალიან გამახარა და გახდა სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი, გყავს მეუღლე, რომელიც გაფასებს, მე ვფიქრობ ქალისთვის ეს უმნიშვნელოვანესია.

**– და ბოლოს, ქალბატონო მედეა, მინდა მოგილოცოთ შობა – ახალი წელი. გისურვოთ მრავალი სიკეთე, სიხარული, წარმატებები და ბედნიერება, როგორც თქვენს საქმიანობაში ისე პირად ცხოვრებაში. როგორი იქნება თქვენი საახალწლო მილოცვა?**

– მადლობას გიხდით ყურადღებისთვის და მინდა გისურვოთ ყველაფერი საუკეთესო, რასაც იმსახურებს ჩვენი ერი. გვიყვარდეს ერთმანეთი და ყველაფერი კარგად იქნება.

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს, დაესწარით მრავალს, გფარავდეთ უფალი!

**ესაუბრა
ია გიგიაშვილი**



გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ლონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86